ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 სექტემბერი ხუთშაბათი 2011
№211 (13508) ფასი 80 თეთრი

რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი
როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# მზადება ახალი სიურპრიზისთვის

## ვლადიმერ ბორისა: მაკედონიას მოგება უნდა? ვნახავთ, როგორ მოიგებს

ვაჟა სიმონიშვილი კლაიპედიდან



10

ვლადიმერ ბორისა (№5) ილიევსკის ელაპარაკება

# რუსეთი გლოვობს

## ავიაკატასტროფაში შვედეთის, ჩეხეთის, ლატვიის, ბელარუსის, სლოვაკეთისა და რუსეთის ნაკრებების ჰოკეისტებით დაკომპლექტებული გუნდი დაიღუპა



14

# ნეიმარი რეალში გადასულა?

## ესპანური პრესა ბრაზილიელი ვუნდერკინდის ტრანსფერზე წერს



ესპანური პრესა ამტკიცებს, რომ ბრაზილიური ფეხბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავი **ნეიმარი** „რეალის“ ფეხბურთელი გახდება. ფორვარდმა უკვე გააფორმა მომავალი სეზონისთვის ექვსწლიანი კონტრაქტი „სამეფო კლუბთან“ და ხელშეკრულების მიხედვით წელიწადში 5 მილიონ ევროს მიიღებს.

თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, „სანტოსი“ „რეალს“ ფიფას სადისციპლინო კომიტეტში უჩივლებს. საქმე ისაა, რომ მოთამაშესთან კონრაქტის გაფორმებაზე მოლაპარაკების დაწყება მიმდინარე ხელშეკრულების ამოწურვიდან ექვსი თვით ადრეა შესაძლებელი.

თავის დროზე, ამ წესის დარღვევისთვის „ჩელსი“ დაისაჯა. ლონდონურმა კლუბმა **გაელ კაკუტა** კანონდარღვევით გაიფორმა, რის გამოც წელიწადნახევრით აეკრძალა ტრანსფერების განხორციელება, გარდა ამისა, მოთამაშემ დისკვალიფიკაცია მიიღო, კლუბს კი სოლიდური ჯარიმაც დაუწესეს. თუმცა, მოგვიანებით, „არისტოკრატებს“ სატრანსფერო ემბარგო მოუხსნეს.

იმასაც შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ნეიმარმა უარყო რომელიმე უცხოურ კლუბთან კონტაქტი.

lariwin.com
the better way to play
მეტი მიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“
როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# პირველი ვარჯიში ახალ ზელანდიაში

## რიჩი დიქსონი: ისე ვითამაშებთ, რომ ჩვენით იამაყებთ

ბესიკ ჯანგვაძე ქვინზთაუნიდან



11




# 9 სექტემბერს ლელოსთან ერთად

## რაგბის მსოფლიოს თასისადმი მიძღვნილი პოსტერი-კალენდარი

ქართული ფეხბურთი

● ზესტაფონი



# ქიაბრიშვილს ყიფიანი დაეხმარება

გუშინ „ზესტაფონმა" დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ოფიციალურად წარადგინა გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი **გიორგი ქიაბრიშვილი**, რომელიც იმერული კლუბის ხელმძღვანელობამ "ზესტაფონის" თავკაცად ერთი კვირის წინ დანიშნა. ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან "ზესტაფონის" გამოთიშვისა და **გია გეგუჩაძის** გადადგომის შემდეგ ქიაბრიშვილი მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა. ევროპის ლიგის პლეიოფში „ბრიუგესა" და ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს" წინააღმდეგ ზესტაფონელებს სწორედ მან უთავკაცა. კლუბის ხელმძღვანელობა მისი გარჯით კმაყოფილი დარჩა და მოკლე ხანში ქიაბრიშვილს დიდი ნდობაც გამოუცხადა.

მთავარი მწვრთნელის ასისტენტად დაინიშნა **გიორგი ყიფიანი**, რომელიც შარშან ბოლნისის „სიონის" მთავარი მწვრთნელი იყო, შემდეგ კი ისრაელში ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა. „ზესტაფონის" დუბლებში **გურამ ასპინძელაშვილს** შეცვლის **თემურ გიორგობიანი**, რომელიც ამასთანავე „ზესტაფონის" საფეხბურთო აკადემიის კურატორიც იქნება. ქიაბრიშვილის მსგავსად, ყიფიანმა და გიორგობიანმა კლუბთან 3-3-წლიანი კონტრაქტები გააფორმეს. გუშინ ქიაბრიშვილი მასმედიის წინაშე სწორედ თავისი ახალი გუნდით წარსდგა.

გიორგი ქიაბრიშვილი: *„ჩემთვის დიდი პატივია ჩემპიონი გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა. სამწვრთნელო შტაბთან და ფეხბურთელებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ, რათა კლუბის ხელმძღვანელობის ნდობა გავამართლო. გია გეგუჩაძის სახით „ზესტაფონს" ძლიერი მწვრთნელი ჰყავდა, რომელმაც კლუბში უდიდესი სამუშაო გასწია. აწყობილი გუნდი ჩავიბარეთ, რომელსაც თავისი ხელწერა აქვს. მის ნამუშევარს ახალს თუ რაიმეს შევმატებთ, თორემ არაფრის შეცვლა არ არის საჭირო. „ზესტაფონი" კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ჩვენს კლუბს შეუძლია, სანახაობრივი ფეხბურთით მიაღწიოს წარმატებას და ამით გულშემატკივარსაც ასიამოვნოს."*

ქიაბრიშვილის თქმით, „ზესტაფონი" კვლავ ადგილობრივ ფეხბურთელებზე გააკეთებს აქცენტს და ლეგიონერების შეძენა უახლოეს მომავალში არ იგეგმება:

*„ლეგიონერს თუ მოვიყვანთ, იგი ადგილობრივს ბევრად უნდა აღემატებოდეს. ასეთი ფეხბურთელები ძლიერ კლუბებში თამაშობენ და აქ არ ჩამოვლენ. თუ უახლოეს მომავალში ჩემპიონთა ან ევროპის ლიგაზე მოვხვდებით და შევატყობთ, რომ ადგილობრივი ძალებით შეუძლებელია ამ დონეზე თამაში, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ ლეგიონერებით გაძლიერებაზე. თუმცა, ვიმეორებ, ჩვენი რესურსი, უპირველესად, ადგილობრივ კადრებში უნდა ვეძებოთ. ჩვენი მიზანი იყო საქართველოს ჩემპიონობა და გავხდით კიდეც. რატომ უნდა დავიმატოთ ლეგიონერები, როცა ამ ეტაპზე სხვა მიზანი არ გვაქვს? თანაც, გუნდში ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც ევროპულ გუნდებსაც გააძლიერებდნენ. რამდენიმე მოთამაშე ტრავმირებულია და ველოდებით მათ გამოჯანმრთელებას. მათი დაბრუნების შემდეგ კონკურენცია უფრო გაიზრდება. ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ფეხბურთელის ყიდვა კი არ გვჭირდებოდეს, აქ გაზრდილი მოთამაშეების კარგ ევროპულ გუნდებში გაშვება შეგვეძლოს. ჩვენს აკადემიაში ბევრი კარგი სპეციალისტი მუშაობს. გვაქვს საკუთარი აზრი და შეხედულება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ სელექცია. ჩემს ახალ სამწვრთნელო გუნდთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ, რათა გეგუჩაძის დაწყებული საქმე წარმატებით გავაგრძელო და ზესტაფონელები კვლავ გავახაროთ დიდი წარმატებებით".*

**გიორგი ყიფიანი:** *„შარშან ბოლნისის „სიონის" მთავარი მწვრთნელი ვიყავი. შემდეგ ნავედი ისრაელის რამდენიმე კლუბში სამწვრთნელო კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ბოლოს ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელის" სამწვრთნელო შტაბში ვმუშაობდი. სწორედ იქ მივიღე „"ზესტაფონიდან" შემოთავაზება. ჩემპიონი გუნდია, მოტივაცია დიდია და სიამოვნებით დავთანხმდი ამ წინადადებას. გიორგი ქიაბრიშვილთან კარგა ხნის მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, ერთნაირი საფეხბურთო მსოფლმხედველობა გვაქვს და ერთად მუშაობა არ გაგვიჭირდება.*

**თემურ გიორგობიანი:** *„ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს და ვეცდები, რომ კლუბისთვის სასარგებლო საქმე ვაკეთო".*

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან



ზესტაფონელთა ვარჯიში

● ევროპული საქმეები

# ქართველის კლუბმა ფიგუს და ბუტრაგენიოსას სძლია

## ვიტ ჯორჯიას მიმართვა: შევქმნათ კლუბების გაერთიანება!

**ევროპის კლუბების ასოციაცია წლებია, წევრთა ასამბლეებს აწყობს. კლუბთა წლევანდელ შეხვედრას 5-6 სექტემბერს ჟენევამ უმასპინძლა. მასში თბილისის "დინამოდან" მმართველი დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილი და თეა შამათავა, "ვიტ ჯორჯიადან" კი კლუბის სპორტული დირექტორი და მედიაოფიცერი დავით თავართქილაძე მონაწილეობდნენ.**

**ვიტჯორჯიელთა წარმომადგენელი დავით თავართქილაძე ასამბლეის, კლუბის ახალ ინიციატივასა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გველაპარაკა.**

- ასამბლეას ლაიტმოტივად გასდევდა საკლუბო ფეხბურთში დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის გაზრდა. ეს არის უმნიშვნელოვანესი თემა, რომელსაც ევროპის კლუბების ასოციაცია დიდ ყურადღებას აქცევს. პლენარული სხდომების გარდა, იმართებოდა სამუშაო ჯგუფების სხდომები, სადაც ამა თუ იმ თემაზე მსჯელობას ერთად ვესწრებოდით თბილისური კლუბების წარმომადგენლები.

ასოციაციის პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ილაპარაკა იმის თაობაზე, რომ კლუბების ავტორიტეტი ეცემა, რადგან ფიფა, უეფა და ეროვნული ფედერაციები გადაწყვეტილებებს კლუბებთან შეუთანხმებლად იღებენ. რუმენიგეს თქმით, პლატინისთან და ბლატერთან შეხვედრისას მათგან ცვლილებების დაპირება მიიღო - ახლა გადამწყვეტი ეტაპია და თუ სიტყვას არ შეასრულებენ, გადამწყვეტ ზომებსაც მივიღებთო, გვითხრა რუმენიგემ.

**- კონკრეტულად რას გულისხმობდა?**

- მისი აზრით, ივლისსა და აგვისტოში სანაკრებო შეხვედრებზე ფეხბურთელების გაშვება მიუღებელი და აბსურდული მოთხოვნაა. გარდა ამისა, კლუბები ნაკრებებში მოთამაშეთა დაზღვევას ითხოვენ. არის შემთხვევები, როდესაც მოთამაშე ტრავმირებულია და უნდობლობის გამო ნაკრებში მაინც იძახებენ. რუმენიგეს თქმით, მთავარი უნდა იყოს კლუბის ექიმის დასკვნა, თუ მოთამაშეს ტრავმა აქვს, გუნდს მისი არგაშვების უფლება უნდა ჰქონდეს, რადგან კლუბი უხდის მოთამაშეს ხელფასს და არა ნაკრები.

ასეთი ბევრი ნიუანსია.

**- რას ნიშნავს, კლუბების ავტორიტეტი ეცემა, რადგან ფიფა, უეფა და ეროვნული ფედერაციები გადაწყვეტილებებს კლუბებთან შეუთანხმებლად იღებენო. ეს საინტერესო დაპირისპირებაა.**

- ასოციაციას აქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ არაერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებადებში, ფედერაციები კლუბებს ანგარიშს არ უწევენ. მოგვიწოდეს კიდეც, ყოველ ასეთ შემთხვევაზე მოგვაწოდეთ ინფორმაცია და აუცილებლად დაგეხმარებითო. ჩემი აზრით, ეს მართლაც ასეა, რაზეც თუნდაც გასული ჩემპიონატის ბოლოს კლუბებთან შეუთანხმებლად დებულების შეცვლის ინიციატივა მეტყველებს.

აქვე "ვიტ ჯორჯიას" მნიშვნელოვან ინიციატივას გაგაცნობთ – ვინაიდან პროფესიული ფეხბურთის ლიგა აღარ მოქმედებს, ჩვენი კლუბის სურვილია, ეს ვაკუუმი შეავსოს ქართული კლუბების ასოციაციამ, რომელშიც ყველა ჩვენი პროფესიული კლუბი გაერთიანდება.

**- ეს წინადადება კლუბებს უკვე გააცანით?**

- ნაწილს ჟენევაში გამგზავრებამდე ველაპარაკეთ, ნაწილსაც ახლა შევხვდებით. იმედია, ჩვენს მოსაზრებებს გაიზიარებენ. მიგვაჩნია, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთის განვითარებისთვის ასეთი გაერთიანება აუცილებელია, რადგან კლუბების ინტერესი უნდა დავიცვათ.

**- ორგანიზაციის ქმედითუნარიანობისთვის აუცილებელია სახსრები, რომელიც პროფლიგამ ვერ მოიზიდა და ამიტომაც დაიშალა. თქვენ ფულის მოზიდვის იმედი გაქვთ?**

- ჟენევაშიც ძალიან საინტერესო იდეა შემოგვთავაზეს – საქართველოშიც და უცხოეთშიც არის ტოტალიზატორები, რომლებიც ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე ფსონებს იღებენ. იდეა ასეთია: ეროვნული ჩემპიონატი არის ჩვენი პროდუქტი, რომლითაც ტოტალიზატორები სარგებლობენ და თუ იქნება საკანონმდებლო ინიციატივა ან ნორმატიული აქტი, ტოტალიზატორები ვალდებულები იქნებიან, მოგების გარკვეული ნაწილი საქართველოს კლუბების ასოციაციას ჩაურიცხონ. ამ და სხვა სამართლებრივი საკითხების თაობაზე ასამბლეაზე მოწვეული იყო ევროპარლამენტის დეპუტატი ივო ბელეტი.

ჟენევაში იმყოფებოდა ბორისოვის ბატეს წარმომადგენელი, რომელთან საუბრისას დავინტერესდი, რა სახსრებით არსებობ-და კლუბი. მან მითხრა, რომ ქვეყნის ყველა კლუბს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებს, მათ შორის, ბატესაც, დაფინანსების ოდენობა კი კლუბის მიღწევებზეა დამოკიდებული.

ეს არის პირადად ლუკაშენკოს გადაწყვეტილება, რომელიც ბატეს ყოველწლიურად 6 მილიონ ევროს ურიცხავს, დაბალ ადგილებზე გასულებს კი შედარებით ნაკლებს. ანუ ამ შემთხვევაში ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორ წარმართავ მენეჯმენტს, ყველაზე წარმატებული კი მეტადაც ფინანსდება. ამას ემატება ევროპულ ტურნირებში მონაწილეობითა და ტელერეპორტაჟებით მიღებული შემოსავლები. ბატე კი ბოლო ორი სეზონია, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ხვდება და საკმაოდაც მოლონიერდა. მარტო ლიგიდან ბატეს ბიუჯეტი 7,1 მილიონი ევროთი შეივსო. ვფიქრობ, დასაფიქრებელი მაგალითია, ჩვენ კი სხვათა გამოცდილება უნდა გავიზიაროთ, რადგან პოსტსაბჭოეთში სხვა რეალობაა, ევროპაში — სხვა, საქართველომ კი უფრო ნაცნობი რეალობიდან უნდა აიღოს მაგალითი.

კიევის "დინამოს" გენერალური დირექტორი რევაზ ჭოხონელიძე გავიცანი, ბევრი საინტერესო მიამბო, მაგალითად,



ლუიშ ფიგუ (მარცხნივ) და დავით თავართქილაძე

მძლავრ უკრაინულ ბიზნესჯგუფს ფეხბურთში ინტერესები აქვს, მათ შორის, საქართველოშიც. გულდაწყვეტილი იყო, სერგო კოტრიკაძის გარდაცვალების ამბავი არავინ გამაგებინაო.

ასამბლეის ბოლოს კი ტრადიციული ტურნირი გაიმართა, სადაც იმ გუნდმა გაიმარჯვა, სადაც მე მოვხვდი. ჩვენს გუნდში იყო "ვერდერის" ყოფილი მოთამაშე ფრანკ ბაუმანი, ასოციაციის გენერალური მდივანი მიკელე ჩენტენარო კი კარში იდგა. ჯერ ბუტრაგენიოს გუნდს მოვუგეთ, ფინალში კი ფიგუს გუნდი დავამარცხეთ. ზურაბ პოლოლიკაშვილის გუნდმაც წარმატებით ითამაშა და მესამეზე გავიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები უცხოეთში

# იოჰან ბოსკამპი საქართველოში ბრუნდება

## ჟორდანია ჰოლანდიელს საფეხბურთო სკოლას ჩააბარებს. რამდენ ფრონტზე იმუშავებს ქინქლაძე?

ჰოლანდიურმა ინტერნეტგამოცემა voetbalzonem-მ არნემის "ვიტესის" პრესიდენტ მერაბ ჟორდანიას სენსაციური კომენტარი გაავრცელა.

"შესაძლოა, იანვარში ბოსკამპი ჰოლანდიაში დაასაქმონ. იყო ცნობები, რომ უმუშევარი მწვრთნელს სელექციონერად "მანჩესტერ სიტი" იწვევდა, მაგრამ მან ეს ხმები უარყო. თუმცა, შესაძლოა, ანალოგიურ სამუშაოს არნემის "ვიტესში" დათანხმდეს. არნემული კლუბის მფლობელ მერაბ ჟორდანიას რი ფეხბურთის მოთხოვნებს იცნობს და როგორც ჩანს, "ვიტესის" მეპატრონეს მისი კარგი სელექციური მონაცემებისა და გემოვნების იმედიც აქვს.

გიორგი ქინქლაძე აგვისტოს დასარულს კვიპროსში, ფამაგუსტას "ანორთოსისის" ტექნიკურ დირექტორად დანიშნეს. მას "ანორთოსისში" 2004-2005 წლებში **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით უთამაშია, კვიპროსის ჩემპიონი გახდა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ითამაშა.

ბა, ალმოჩენილი მოთამაშეების ნაწილი კი "ვიტესში" თამაშობს.

"ვისერთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ის ამერიკაში ეძებს ტალანტებს და მისი რეკომენდაციით შეიძინა "ჩელსიმ" "ფლამენგოდან" ალექს ანდერსონი. ჩემი რეკომენდაციით ლონდონელებმა მექსიკელი ალეხანდრო დავილა შეიძინეს და იჯარით "ვიტესში" გამოუშვეს. დასამალი არაა, რომ "ჩელსი" ჩვენთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია" – ამბობს ჟორდანია.



მერაბ ჟორდანია და იოჰან ბოსკამპი

სურს, რომ თავის სამშობლოში, საქართველოში დააფუძნოს საფეხბურთო სკოლა, სადაც ძველ მეგობარს იოჰან ბოსკამპს დაასაქმებს. მიზანი ის არის, რომ ჰოლანდიურმა კლუბმა ნიჭიერი ბავშვებით მდიდარ ამ ქვეყანაში ტალანტების შერჩევისას უპირველესი უფლება მოიპოვოს".

„ჩემი აზრით, ბოსკამპი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სკაუტია. კარგი იქნება, თუ ის ახალგაზრდა ფეხბურთელებს ნახევარგანაკვეთზე მაინც ავარჯიშებს" - განაცხადა ჟორდანია soccernews-თან.

ინტერნეტპორტალის ცნობით, ჟორდანიას გიორგი ქინქლაძესთან თანამშრომლობაც სურს. საქართველოს ნაკრების ყოფილ პლეიმეიკერს ამსტერდამის "აიაქსში" უთამაშია, ჰოლანდიუ-

ბოლო წლებში ქინქლაძე მოსკოვში ცხოვრობს და ბიზნესს აწარმოებს, თუმცა ფეხბურთს არ ჩამოშორებია, **გოგა გახოკიძესთან, ბესიკ აბაშიძესთან** და **დავით ყენიასთან** ერთად საფეხბურთო სააგენტო დააარსა და ქართულ ბაზარზე საკამოდ აქტიურობდა.

„ჰოლანდიაში არაევროკავშირელ მოთამაშეს თამაშის უფლება თვრამეტი წლის შემდეგ შეუძლია. კვიპროსში სხვა წესები მოქმედებს და ქინქლაძესთან პარტნიორული ურთიერთობებით ამ პრობლემების მოგვარებას შევეცდებით" – ამბობს ჟორდანია.

ამავე დროს ჟორდანიამ დაადასტურა, რომ მეგობრობს **რომან აბრამოვიჩთან** და რომ ტალანტების მოძიებაში **პიეტ დე ვისერი** ორივე გუნდს ეხმარე-

თავდაპირველად იყო ლაპარაკი, რომ ჟორდანია საქართველოში პარტნიორობას საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" სთავაზობდა, რადგან ამ სკოლის ორი გაზრდილი **გიორგი ჭანტურია** და **ვალერი ყაზაიშვილი** აიყვანა, მაგრამ შემდეგ ეს მოლაპარაკებები ალარ გაგრძელებულა. სად, როდის და ვისთან ერთად აპირებს "ვიტესის" მეპატრონე საფეხბურთო სკოლის დაფუძნებას, ჯერაც უცნობია.

ჰოლანდიური გამოცემა "ვოეტბალკრანტ" კი ამტკიცებს, რომ ჟორდანია საქართველოში არა ერთი საფეხბურთო სკოლის, არამედ, საფეხბურთო სკოლების ქსელის ჩამოყალიბებას აპირებს და ბოსკამპს სწორედ მის თავკაცობას სთავაზობს.

**მერაბ მამულაშვილი**

# სახალისო ფეხბურთი მცხეთაში



მცხეთის განახლებულ სტადიონზე ამ დღეებში 200-მდე ბავშვმა იხალისა ფეხბურთის თამაშით. მოზარდთა შორის იყვნენ წეროვანის ახალ დასახლებაში მცხოვრები სამაჩაბლოდან დევნილი ოჯახის შვილები. 12 მწვრთნელი უძღვებოდა ვარჯიშს. ბავშვებს დაურიგდათ სპორტული სამოსი, ბურთები, საჩუქრები...

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ მცხეთის მუნიციპალიტეტი, „სახალისო ფეხბურთი ღია სკოლების" რეგიონული ორგანიზაცია და მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის ფედერაცია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ინფრასტრუქტურა



# ტექნიკურ უნივერსიტეტში სტადიონი განაახლეს

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი ქალბატონია, **მანანა სანაძე**, მაგრამ ისეთ საქმეებს აკეთებს, ბევრ მამაკაც რექტორს შეშურდება. სასწავლებელში მანამდეც იყო საფეხბურთო მოედნები და სპორტული დარბაზები, რომელთაც ახლა სტანდარტული (96/63 მ) ხელოვნურსაფრიანი საფეხბურთო მოედანი შეემატა. ამავე დროს, ამუშავდა ოთხი საშხაპე, დარბაზი გათბობით...

"გეპეიში" ეს სტადიონი ადრეც მოაწყვეს, მაგრამ მოედანი ისე გაფუჭდა, მტრისას... დიდი ხანია მუშაობს საფეხბურთო სკოლა "საქართველოს უნივერსიტეტი", რომლის სპორტული დირექტორიც **გივი ნეფარიძეა**. სკოლაში მუშაობენ ლიცენზირებული მწვრთნელები **ზაზა დიდებაშვილი, ლევან ანდღულაძე, პაატა კირთაძე, ირაკლი გორგოშიძე, გოჩა ერაძე, გია ბუაძე**.

სკოლის გუნდი ჭაბუკთა ლიგაზე "ვიტ ჯორჯიას" სახელით გამოდიოდა, მაგრამ არ არის გამორიცხული, მალე საკუთარი საფეხბურთო კლუბი ჩამოაყალიბონ და რეგიონულ ლიგაში იასპარეზონ - ესეც ქალბატონი მანანას ინიციატივაა.

გუშინ, სტადიონის გახსნის შემდეგ, მანანა სანაძე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** შეხვდა და დაინტერესდა, როგორ, რა ფორმით შეიძლება ფედერაციისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობა, ფიფა-უეფას პროგრამებში უნივერსიტეტს მონაწილეობა, ურთიერთდახმარება...

"გვაინტერესებს, რა სახით შეგვიძლია ფიფა-უეფას პროგრამებში მონაწილეობა, რათა მიზნობრივი დაფინანსება სკოლისა და, აქედან გამომდინარე, ქართული ფეხბურთის განვითარებას მოვახმაროთ. უეფასა და ფიფას სასწავლო პროგრამების განხორციელებაში ჩვენს აუდიტორიებს დაგითმობთ. ცხადია, გვაინტერესებს სტადიონის ხარისხის შეფასება, რა დონის ტურნირების მასპინძლობის უფლებას მივიღებთ და ბევრი სხვაც. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ფეხბურთი ნამყვანი სახეობაა და ვალდებულნი ვართ, სტუდენტებში მის პოპულარიზაციას ხელი შევუწყოთ" - თქვა რექტორმა.

"მიხარია, რომ სასწავლებელი ფეხბურთით დაინტერესდა და სტადიონი განაახლეთ. ჩვენი ფეხბურთი ვერ განვითარდება, თუ სტადიონები და მთლიანად ინფრასტრუქტურა არ გაუმჯობესდება.

ჩვენი თანამშრომლობის შესახებ უფრო დეტალური მსჯელობისთვის ვთხოვ გრიგოლ ცაავას, შეგხვდეთ და მოილაპარაკოთ. შემოგვთავაზეთ კონკრეტული წინადადებები, როგორ შეგიძლიათ ჩვენს პროგრამებში მონაწილეობა ისე, რომ სწავლების პროცესში პრობლემები არ შეიქმნას, რომ ეს იყოს წმინდა საფეხბურთო და ფედერაციასთან დაკავშირებული პროექტები" - განაცხადა სიჭინავამ.

**მერაბ მამულაშვილი**



## შენ იქნები, შენ ჩვენთან იქნები



გია ბერიკაშვილი გარდაიცვალა, უცნაური ბიოგრაფიის კაცი. პროფესიით ექიმი იყო, კარდიოლოგი. მერე გულმა ზღვისკენ გაუწია და მეზღვაური გახდა. ნაპირზე დაბრუნებულმა საქმედ ჟურნალისტობა აირჩია. „კავკასიონში" და "დილის გაზეთში" მუშაობდა, ბოლოს "სარბიელში" იყო და განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

შაბათს სარბიელელებმა დავურეკეთ. ისე გულიანად და მხნედ გვიპასუხა, გაგვიხარდა, უკეთ არის-თქო. არადა, ბოლო თვეებში ავადმყოფობამ ეს მთასავით კაცი გვარიანად მოტეხა. მეორე დილას კი მისი გარდაცვალების სულისშემძვრელი ამბავი შევიტყვეთ. კაცი სიცოცხლის ბოლო საათებს ითვლიდა, უკურნებელ სენს ველარ ებრძოდა და რომ გველაპარაკა, უკანასკნელი ძალა მოუკრებია, რომ არ შევეწუხებინეთ.

აი, ასეთი კაცი იყო.

გაზეთის ამბავი ისეთია, მუდმივად ფაქტების გახსენება და გადამოწმება გჭირდება. "სარბიელში" გიას მოსვლის მერე ეს საქმე ერთი-ორად გაგვიადვილდა. ასი წლის წინანდელ ამბავზეც რომ გეკითხა, პასუხი ჰქონდა და მის მონაყოლს გადამოწმება ალარ სჭირდებოდა. უნიკალური ცოდნის პატრონი იყო.

საქმე საქმედ და, ცხოვრებაში ხომ მთავარი ადამიანური ურთიერთობებია, ამაში კი გია ჩვენ შორის საუკეთესო იყო. ამიერიდან მეგობრები რომ შევიკრიბებით, გიასთან ერთად გატარებული წუთების გახსენებაც მოგვიწევს.

48 წლისა იყო. ახლახან უმცროსი შვილის სტუდენტობით გაიხარა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● მალტა-საქართველო. გამოხმაურება

# ვინ გვეტყვის, რა ხდება?

## ნურავინ ნურაფერს დააბრალებს

**...ის, რაც ამ შემოდგომის დასაწყისში მოხდა, ყველაზე ცუდ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდით: „უეჭველი“ და „გარანტირებული“ ექვსი ქულის ნაცვლად ლატვიასთან და მალტასთან მატჩებში საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ერთადერთი ქულა აიღო! ანუ, შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩის წინ 15 ქულა რომ უნდა გვქონოდა, ახლა მხოლოდ და მხოლოდ 10 ქულა გვაქვს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფის საგზურისათვის ბრძოლას ვინ ჩივის, ახლა უკვე ჯგუფში მეოთხე ადგილზე გასვლაც სათუო გახდა. თუმცა ისიც ვაღიაროთ, რომ ფაქტობრივად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აღარც უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს, ამ შესარჩევ ციკლს მეოთხე ადგილზე დავასრულებთ თუ მეხუთეზე. თანაც, ახლავე უნდა განვმარტოთ, რომ ისრაელს მესამე ადგილში ვერაფრით შევეცილებით: ბოლო ტურში საქართველომ საბერძნეთს რომ მოუგოს, ხოლო ისრაელმა სტუმრად მალტასთან წააგოს, ორივე ნაკრებს 13-13 ქულა ექნება, მაგრამ ამ შემთხვევაში, ურთიერთშეხვედრების მიხედვით, უპირატესობა ლუის ფერნანდესის გუნდს ექნება. აი, ასე, მართლაც უცნაურად სრულდება ეს შესარჩევი ციკლი, იმედიანი დასაწყისი რომ ჰქონდა; ჰო, ალბათ, „უცნაურზეც“ მეტი რამ მოხდა — საბერძნეთიდან ქულის წამოღებისა და თბილისში ხორვატიის დამარცხების შემდეგ, ეტყობა, საკუთარი ძალები ზედმეტად შევაფასეთ; ან კიდევ, იქნებ, ზედმეტად წავიოცნებეთ? არადა, მეორე მხრივ, რატომაც არ უნდა გვქონოდა ოპტიმიზმის საფუძველი — საქართველოს ნაკრებმა 2010 წელი წაუგებლად დაასრულა და ასეც რომ არ მომხდარიყო, შესარჩევი ციკლის ხუთი ტურის შემდეგ ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტად მივიჩნეოდით! მაგრამ, ამის მერე რა და რატომ მოხდა, მართლაც ძნელი ასახსნელია — პირველი ხუთი ტურის შემდეგ ჩვენს უპირველეს გუნდს 9 ქულა ჰქონდა, მომდევნო ოთხ შეხვედრაში კი მხოლოდ... ერთი დავუმატეთ! კიდევ ვიმეორებთ: ძნელი კი არა, რთულზე რთული ასახსნელია ჩვენი ნაკრების ბოლოდროინდელი წარუმატებელი ასპარეზობა; მოდი, იმაზე შევთანხმდეთ, რომ „გარეშე მოვლენებს“ არავინ არაფერი დააბრალოს: მოედნის საფარს, არაობიექტურ მსაჯობას, წამყვანი ფეხბურთელების ტრავმიანობას, მეტოქეთა შეუფასებლობას, ფსიქოლოგიურ წნეხსა და ასე შემდეგ; ანუ, ალბათ, დროა, რომ ამ მართლაც მოულოდნელი წარუმატებელი სერიის (ხუთი მატჩია გამარჯვებას ვერ ვახერხებთ) მიზეზ(ებ)ი „გარეთ“ კი არა, „აქვე“ მოვიძიოთ. ამას გარდა, ცოტა არ იყოს, უკვე სასაცილოდაც ჟღერს არაერთხელ გახმოვანებული ბოლო წლების ქართული ფეხბურთის მარადიული პრობლემაც: მაღალი კლასის შემსრულებლების დეფიციტიაო, გოლის გამტანი ცენტრფორვარდიც არ გვყავს და არც „ბოლო პასის“ მიმცემი თუ თამაშის გამმწვავებელი ნახევარმცველ(ებ)იო...**



მალტა-საქართველო 1:1



თემურ ქეცბაია

### მალტამაც ისტორია შექმნა...

...ზედიზედ ოთხი მარცხისა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის ყველანაირი შანსის დაკარგვის მიუხედავად, მალტასთან მატჩსაც მაინც მეტ-ნაკლები ოპტიმიზმით ველოდით; უბრალოდ, ვერაფრით წარმოგვედგინა, რომ 6 სექტემბრის შეხვედრასაც ვერ მოვიგებდით, მით უფრო, რომ მატჩის წინ მალტელებს „ყველასათვის სასურველი მეტოქეც“ ვუწოდეთ და ჩვენთვის „დამაიმედებელი“ არაერთი სტატისტიკური ფაქტიც მოვიშველიეთ. უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპზე ამ გუნდის „მიღწევები“ გავიხსენეთ: 1970 წლიდან დღემდე მხოლოდ ოთხი გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული და, საერთოდაც, მალტის ნაკრების უმთავრესი მიზანი შესარჩევ ციკლში ერთი ქულის მოპოვება იყო! არადა, რამდენიც გნებავთ, იმდენი შესარჩევი ციკლი ყოფილა, მალტელებს ქულაც რომ ვერ მოუპოვებიათ და სარეკორდო მიღწევა კი 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჰქონდათ, როცა უნგრელებს მოუგეს, ხოლო თურქეთთან და მოლდოვასთან ფრედ ითამაშეს. წინა შესარჩევ ციკლში მალტელებმა ერთადერთი ქულა აიღეს — ალბანეთთან ფრეს მიაღწიეს, ახლა კი, საქართველოს ნაკრებთან მატჩამდე შვიდიდან შვიდივე შეხვედრა ჰქონდათ წაგებული. და აი, **ჯონ ბუტიჯეჯის** გუნდისა და საერთოდ, მალტური ფეხბურთის ქომაგთათვის ამ შესარჩევ ციკლში პროგრამა-მაქსიმუმიცა და მინიმუმიც მიღწეულია: 6 სექტემბერს საქართველოსთან მატჩში სრულიად დამსახურებული ქულა აიღეს! ისე, 2011 წელი მალტელებისათვის საკმაოდ წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ: ოფიციალურ შეხვედრებში საბერძნეთთან (ორჯერ) და ხორვატიასთან დამარცხდნენ, სამაგიეროდ ამხანაგურ მატჩებში იყოჩაღეს და შვეიცარიასთან მართლაც საპატიო ფრეს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებთან გამარჯვებაც მოაყოლეს. ახლა კი, როგორც ყველამ ნახა, საქართველოსაც „ტოლი-ტოლზე“ ეთამაშნენ და, კიდევ ვიმეორებთ, დამსახურებული ქულაც აიღეს! ჰო, იმას ნამდვილად ვერ ვიტყვით, 90-მა წუთმა საქართველოს ნაკრების ორგანიზებული თუ მრავალფეროვანი შეტევებით ჩაიარაო; ჩვენების ვერ მოგებას ვერც უიღბლობას დავაბრალებთ და ვერც ზემოთ ნახსენებ „არაობიექტურ მსაჯობას“. ეგ კი არა, ჩვენი გოლი ბევრად უფრო შემთხვევითი იყო, ვიდრე მასპინძელთა უდავოდ გამორჩეული ფეხბურთელის, 30 წლის **მაიკლ მიფსუდის** ჯერ ჩინებული ფინტი და მერე, არანაკლებ შთამბეჭდავად შესრულებული ზუსტი და ძლიერი საგოლე დარტყმა...

აი, ასე: აღარც მალტელებთან აქამდე არსებულმა დადებითმა ბალანსმა გვიშველა და არც მეტოქის „სიძლიერის“ ფაქტორმა; სამაგიეროდ, მალტელებმა ჩვენთან მიღწეული ფრით კიდევ ერთი ისტორიული ქულა მოიპოვეს. თუმცა, რატომ გვიკვირს? აბა, გავიხსენოთ: მოლდოვა იყო და ოფიციალურ ტურნირებში პირველი გამარჯვება ჩვენთან მოიპოვა, ისე როგორც ჩერნოგორიამ; თუნდაც ახალზელანდიელთა პირველი მოგებაც არ დაგვავიწყდეს ევროპულ გუნდებთან (საქართველოს ვგულისხმობთ) და ასე შეიძლება კიდევ ბევრი მაგალითიც მოვიყვანოთ...

### ძება მეზობლებს!

არცთუ დიდი ხნის წინ იყო, საქართველოს ნაკრების მართლაც წარმატებული ასპარეზობით რომ ვხარობდით; დავაკონკრეტებთ და რვა თვის წინანდელ ამბავს გავიხსენებთ, როცა საქართველოს ნაკრების წაუგებელი წელიწადით ვამაყობდით! ეგ კი არა, შარშან, წლის ბოლოს ჩვენი ნაკრების წაუგებელი სერია მართლაც სულითა და გულით რომ გვიხაროდა, „ნიშნის მოგებით“... ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრებების შედეგებზეც ვსაუბრობდით; ანუ, რუსეთისა და ბელარუსის ნაკრებების გარდა, თითქმის ყველას „ზემოდან დავცქეროდით“, ახლა კი, რვა თვის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ერთი-ორსლა თუ ვჯობივართ; მაგალითები გნებავთ, სიამოვნებით მოგახსენებთ: აზერბაიჯანს ჩვენზე ნაკლები ქულა აქვს მოპოვებული, მაგრამ ჩვენზე ბევრად ძლიერ ქვეჯგუფში მოასპარეზეებმა მეტოქეთა კარში 9 გოლი გაიტანეს (ჩვენზე ორით მეტი); ესტონელებს ხომ, საერთოდ, „სათვალავში“ არასდროს ვაგდებდით, ახლა კი ამ გუნდს 13 ქულა აქვს (მეტოქეთა კარში 13 გოლიც არ უნდა იყოს ურიგო შედეგი) და ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსსაც ინარჩუნებს; ეგ კი არა, მოლდოვასაც ჩვენზე მეტი გოლი აქვს გატანილი და რომ აღარაფერი ვთქვათ სომხებზე: ჩვენს „კარის მეზობლებს“ ისტორიული მიღწევის რეალურზე რეალური შანსი გაუჩნდათ! სომხები 14 ქულით მესამე ადგილზე იმყოფებიან და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან **ჯოვანი ტრაპატონის** ირლანდიის ნაკრებს; სომხების შთამბეჭდავი თამაში ევრო-2012-ის წლის შესარჩევი ტურნირის ერთ-ერთი სასიამოვნო სიურპრიზია და იმასაც ვიტყვით, რომ ახალგაზრდა მწვრთნელის, **ვარდან მინასიანის** გუნდმა რვა შეხვედრაში მეტოქეთა კარში 14 ბურთის გატანა შეძლო! აი, ჩვენ კი... კვლავაც ნანატრი საგარეო გამარჯვებების მოლოდინში ვართ და ხუთი წლის წინ ფარერებთან სტუმრად მოგება, ალბათ, კიდევ დიდხანს გვემახსოვრება. მით უფრო, თუ გავიხსენებთ მომავალ ციკლში რა გუნდებს უნდა ვეთამაშოთ...

**გია ტუხაშვილი**

*P.S. კონკრეტულად მალტა-საქართველოს მატჩზე საუბრის სურვილი კი ნამდვილად აღარა გვაქვს; ან კი, რა არის სასაუბრო თუ სალაპარაკო? უფრო ზუსტად, სხვების, ანუ ბევრად უფრო კომპეტენტური ხალხის (სფფ-ს პრეზიდენტის, ნაკრების მთავარი მწვრთნელის, წამყვანი ფეხბურთელების) აზრი იქნება საინტერესოც და აქტუალურიც...*

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# იუვე რევოლუციას გვპირდება!

## ოცნებების სტადიონზე ნებისმიერი სახის ოცნება უნდა ასრულდეს



იუვენტუსის ახალი სახლი

ტურინის „იუვენტუსი" რევოლუციას გვპირდება? გეთანხმებით, ხმამაღალი განცხადებაა და ლოგიკურად, ამ დაპირების მიღმა უამრავი რამ უნდა იყოს ჩაფიქრებული. პრინციპში ასეცაა: პირველი და უმთავრესი ახალი, „იუვენტუსის" პირადი სტადიონის გახსნაა – რაც ტურინში დღეს იგეგმება. მართლაც ულამაზესი და წმინდა საფეხბურთო არენა „იუვენტუს სტადიო" „ბებერი ქალბატონის" ისტორიაში ახალი ერის დასაწყისი უნდა გახდეს – ასეა დაგეგმილი და ჯერჯერობით, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის.

Lo Stadio Che Cabia il Calcio– სტადიონი, რომელიც ფეხბურთს შეცვლისო, ამაყად უწერიათ ტურინელებს ყველგან, სადაც თავიანთ ახალ არენაზე საუბრობენ. და მართლაც, იტალიური ფეხბურთისთვის ეს არენა იდეალური სიახლე, სრულიად ახალი კონცეფციაა.

სტადიონი, რომელიც წმინდა საფეხბურთო არენაა და 41000 მაყურებელს იტევს, ტურინის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და პირველი სტადიონია იტალიაში, რომელიც 100 პროცენტით საფეხბურთო კლუბს, ამ შემთხვევაში „იუვეს" ეკუთვნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტადიონი ფანებისთვის ყოველდღე გახსნილი იქნება და როგორც კლუბს, ისე მის გულშემატკივრებსა თუ უბრალოდ დაინტერესებულ ტურისტებს, ფეხბურთს მიღმაც მოემსახურება.



იუვეს თავკაცი ანტონიო კონტე ოპტიმისტურადაა განწყობილი

გარდა „იუვეს" ოფისისა და მუზეუმისა, არენაზე არის უდიდესი შოპინგ და გასართობი ცენტრები, რაც 30000 კვადრატულ მეტრზეა განყობილი. „ოცნებების სტადიონზე ნებისმიერი სახის ოცნება უნდა ასრულდეს," - წერია „იუვენტუსის" ვებ-გვერდზე, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბიანკონერის" სახლში ის ადამიანებიც კარგად გაატარებენ დროს, რომლებსაც ფეხბურთი დიდად არც აინტერესებთ. მეტიც, „იუვეს" ხელმძღვანელებს სწორედ იმის იმედი აქვთ, რომ ასეთ ადამიანებს „იუვენტუსით" დააინტერესებენ. ცხადია, მთავარი მიზანი ისიცაა, რომ „სტადიო იუვემ" ტურინულ კლუბს უდიდესი შემოსავალი მოუტანოს - ფული, რომელიც მხოლოდ კლუბის საკუთრება იქნება.

ფულს რაც შეეხება: ტურინში კარგად იციან, რომ მხოლოდ ახალი, თუნდაც გრანდიოზული არენით ტიტულებს ვერ მოიგებენ. „იუვემ" ამიტომაც დახარჯა ტრანსფერებში საკმაოდ დიდი ფული. საერთო ჯამში, „ბებერმა ქალბატონმა" ზაფხულში ახალი ფეხბურთელების სანაცვლოდ 85 მილიონი ევრო გაისროლა და სხვებთან ერთად, ისეთი საინტერესო მოთამაშეები შეიძინა, როგორებიც არიან ჩილელი საყრდენი ნახევარმცველი **არტურო ვიდალი** (ლევერკუზენიდან"), ნიჭიერი ჰოლანდიელი გარემარბი **ელჯერო ელია** („ჰამბურგიდან"), მონტენეგროელი თავდამსხმელი **მირკო ვუჩინიჩი** („რომადან") და იტალიის ნაკრების გამოცდილი გამთამაშებელი **ანდრეა პირლო** („მილანიდან"). „იუვე" წარმატებულ გზაზე სწორედ ამ მოთამაშეებმა უნდა დააბრუნონ. შეგახსენებთ, რომ წინა ორ სეზონში იტალიის რეკორდსმენი მხოლოდ მეშვიდე ადგილებს დასჯერდა.

### კონტეს ატმოსფეროს იმედი აქვს

„იუვეს" ახალ მწვრთნელ **ანტონიო კონტეს** ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ სტადიონი, რომლის მშენებლობა 105 მილიონი ევრო დაჯდა, ტურინულ კლუბს და მის ქომაგებს „ნამდვილი სპექტაკლებით" გაანებივრებს.

*„წინა წლებში, სანამ კალჩოპოლი „იუვეს" ბოლოს მოუღებდა, კლუბს ჰყავდა შესანიშნავი ფეხბურთელები, იგებდა ტიტულებს, მაგრამ საშინაო მატჩების დროს ჩვენთან მაინც მოწყენილობა იყო. წლების მანძილზე „იუვენტუსის" შეუცვლელი ფეხბურთელი ვიყავი, მერე კაპიტანიც გავხდი და მადლობა ღმერთს, საუკეთესო წლებში მომიხდა აქ თამაში. წარმატებებით ყველანი ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ერთ რამეზე მაინც გვწყდებოდა გული – ჩვენს სტადიონზე არასდროს იყო ისეთი ატმოსფერო, როგორიც ევროპის სუპერგრანდს შეეფერება. დარწმუნებული ვარ, ახალი არენა ყველაფერს შეცვლის,"* - აცხადებს კონტე.

მისი აზრით, ყველაზე მთავარი ის არის, რომ „იუვენტუსის" ძველი სტადიონის, „სტადიო დელე ალპისგან" განსხვავებით, ახალ არენას არ აქვს სარბენი ბილიკები, რაც სტადიონზე განწყობას ყოველთვის კლავს ხოლმე. ახლა კი, ფანები მოედნიდან მაქსიმუმ 28 მეტრით იქნებიან დაშორებულები. თანაც, ყველაზე შორს მსხდომთ აღარ დასჭირდებათ ჭოგრიტები იმისათვის, რომ მოედანზე მიმდინარე მოვლენები კარგად დაინახონ, მათ არც რაიმე ბარიერი შეუშლით ხელს. სხვა იტალიურ სტადიონებზე კი ასე არ არის...

ამრიგად, „იუვენტუს სტადიო" დღეს იხსნება და ამის აღსანიშნავად, ტურინული კლუბი ამხანაგურ მატჩს გამართავს ინგლისის მესამელიგელ „ნოთს ქაუნთისთან". რატომ მაინცდამაინც „ნოთს ქაუნთი"? საქმე იმაშია, რომ 1903 წელს სწორედ ამ კლუბმა ათხოვა „იუვეს" თავისი ფერები თეთრი და შავი, რის შემდეგაც „იუვენტუსის" ფორმა შეიცვალა – მას მერე, ვარდისფრის ნაცვლად „იუვე" სწორედ შავ-თეთრი ფორმით თამაშობს. პირველ ოფიციალურ მატჩს კი ტურინელები ახალ არენაზე კვირას გამართავენ – ტურინის უბან „ლე ვალეტეში" (ახალი სტადიონი სწორედ იქ მდებარეობს) „პარმას" უმასპინძლებენ.

### სამაგალითო არენა

თუმცა „იუვენტუსის" ახალმა სტადიონმა საყოველთაო ქება გახსნამდე დაიმსახურა. უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი**, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები სწორედ „იუვენტუსში" გაატარა, ამბობს: *„დარწმუნებული ვარ, რომ ამ შესანიშნავი არენით „იუვეს" ისტორიაში ახალი ერა დაიწყება. თანამედროვე ფეხბურთში საკუთარი სტადიონის ქონა ნებისმიერი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია."*

რაც მთავარია, ახლა სხვა იტალიურ კლუბებსაც სურთ იგივე და ტურინულ კლუბს ბაძავენ – ასეთი პროექტები არაერთ იტალიურ კლუბში დაიგეგმა. მაგალითად, მილანის „ინტერს" 2014 წლამდე საკუთარი 60 000-იანი სტადიონის აშენება უნდა. საკუთარი არენები სურთ გენუაში, ფლორენციაში, უდინესა და რომშიც. ლოგიკურიცაა, რადგან სერია A-ს 16 ყველაზე ხანდაზმული სტადიონის საშუალო ასაკი 67 წელია...

რომა

# კრკიჩი: ბარსა მენატრება!

## რომი გენიალურია, მაგრამ ჩემთვის ბარსელონა სულ სხვაა

**ბოიან კრკიჩი** „ბარსელონადან" „რომაში" ახლახან გადავიდა და „ჯალოროსის" შემადგენლობაში ჯერ ერთი ოფიციალური მატჩიც კი არ ჩაუტარებია, მაგრამ კატალონიური გრანდი უკვე ძალიან ენატრება, რასაც არც მალავს. 21 წლის თავდამსხმელი, რომელიც „ბარსას" აღზრდილია, რომში თავს ცუდად არ გრძნობს, მაგრამ ამბობს, „ბარსელონა" სულ სხვა იყო და „ნოუ კამპს" ვერაფერი შეედრებაო. კრკიჩი იმასაც აღიარებს, „ბარსაში" სათამაშო პრაქტიკა რომ მქონოდა, არასდროს არსად გადავიდოდიო.

*„ბარსელონადან" ყველაფერი მენატრება, აბსოლუტურად ყველაფერი!* – ამბობს ახალგაზრდა ფეხბურთელი „კატალუნია რადიოსთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *მენატრებიან ჩემი ყოფილი თანაგუნდელები, მეგობრები და ყველა, ვისაც „ბარსასთან" რაიმე შეხება აქვს. ზუსტად ვიცი, რომ ნოსტალგიის განცდა არც არასდროს დამტოვებს."*

ამასთან, ბოიანი გულახდილად საუბრობს იმის შესახებ, რომ მისი აზრით, „რომა" „ბარსასთან" ახლოსაც ვერ მიდის: *„დღესდღეობით მსოფლიოში არ არსებობს კლუბი, რომელიც „ბარსელონასთან" თუნდაც ახლოსაა. „ბარსას" ყველაფრის მოგება უნდა და შეუძლია. „რომაც" ძალიან კარგი, ამბიციური გუნდია და ქალაქზე აღარაფერს ვამბობ – იტალიის დედაქალაქი გენიალურია, მაგრამ „ბარსელონა", კლუბიც და ქალაქიც, პირადად ჩემთვის სულ სხვაა."*

თუმცა კრკიჩისთვის „ბარსელონა" უკვე წარსულია და ახლა მთლიანად „რომაზე" უნდა იყოს კონცენტრირებული. 11 სექტემბერს კი ალბათ მისი რომაული დებიუტიც შედგება – „ოლიმპიკოზე", „კალიარისთან" პირველ კალენდარულ შეხვედრაში.




ბოიან კრკიჩს ბარსა ენატრება

ვოლფსბურგი

# ჰლები ჯერ ვერა!

„ვოლფსბურგის" თავკაც **ფელიქს მაგათს** ამაშიც არ გაუმართლა: „ბარსელონადან" არენდით აყვანილი ბელარუსი გამთამაშებელი **ალექსანდრ ჰლები** ტრავმირებულია და „მგლებს" ახლო მომავალში ვერ დაეხმარება. ვოლფსბურგელებმა ჰლები ოფიციალურად გუშინ წარადგინეს და 30 წლის ნახევარმცველმა პრეზენტაციისას მაგათს დიდი მადლობა გადაუხადა – მადლობა მწვრთნელს იმის გამო, რომ მენდობა და მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა მაწუხებს, მაინც ამიყვანაო.

„ვოლფსბურგის" სამედიცინო შტაბის ინფორმაციით, ჰლები ვარჯიშის განახლებას დაახლოებით ორ კვირაში შეძლებს – ბელარუს ნახევარმცველს ივნისში გაკეთებული ოპერაცია გაუმიზეზდა. შეგახსენებთ, რომ ჰლები „ვოლფსბურგს" არენდით 31 დეკემბრამდე ჰყავს აყვანილი. თუმცა პირველი წრის დასრულების შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, „მგლები" იჯარას სეზონის ბოლომდე გააგრძელებენ. ბელარუსმა „ვოლფსბურგში" მადრიდის „ატლეტიკოში" გადასული **დიეგო** უნდა შეცვალოს, რომელიც მაგათმა თავიდან მოიშორა.

„ვოლფსბურგისთვის" კარგი მხოლოდ ის არის, რომ ჭკვიანმა მაგათმა, „ბარსელონასთან" ჰლებთან შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საკმაოდ სარფიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების მიხედვით, 30 წლის ბელარუს გამთამაშებელს ხელფასს (4 მილიონი ევრო წელიწადში) კვლავ მთლიანად „ბარსელონა" უხდის, ვოლფსბურგელთა ვალდებულება კი მხოლოდ ისაა, რომ თითოეულ მატჩზე, რომელსაც ჰლები „მგლების" შემადგენლობაში ჩაატარებს, „ბარსას" 100 000 ევრო უნდა გადაუხადონ. ანუ, სანამ ჰლები ვერ თამაშობს, „ვოლფსბურგს" ცენტიც არ ეხარჯება!

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ვოლფსბურგელებმა ალექსანდრ ჰლები გუშინ ოფიციალურად წარადგინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



● მანჩესტერ იუნაიტედი

# პენსია ჯერ ადრეა



რომის სახელგანთქმულმა უნივერსიტეტმა "ტორ ვერგატამ" სერ **ალექს ფერგიუსონი** მარადიულ ქალაქში მიიწვია, რათა მისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა. ბუნებრივია, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ შოტლანდიელი სტუდენტებს შეხვდა და მათ შეკითხვებს პასუხი გასცა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მისი თქმით, პენსიაზე გასვლას ჯერ არ აპირებს. გასაკვირი არ არის, რომ შეხვედრა სწორედ ფერგის მომავალ მემკვიდრეზე ლაპარაკით დაიწყო. ბოლო 10 წელიწადია, ამ შეკითხვას მას ხშირად უსვამენ. "ბოლო წლების განმავლობაში ხშირად მისვამდნენ შეკითხვას, ვის შეეძლო ჩემი შეცვლა "მანჩესტერ იუნაიტედში". და მოვიდა დრო, როცა რამდენიმე მწვრთნელი, ვისაც ამის გაკეთება შეეძლო, ფეხბურთიდან უკვე წავიდა. ასე რომ, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ახლაც ძალიან რთულია. ჩემი შემცვლელი უნდა იყოს გამოცდილი და ამასთან ისეთ ასაკში, რომ მუშაობა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შეძლოს. ასეთი კანდიდატურა კი მე ნამდვილად არ მყავს. არ მყავს უპირველესად იმიტომ, რომ პენსიაზე გასვლას ჯერ არ ვაპირებ. გირჩევთ ამ შეკითხვაზე პასუხის ძებნით თავს ნუ დაიღლით. მწვრთნელი ჯერ მე ვარ, ვიქნები ხვალაც და ზეგაც. არ ვიცი, შეიძლება მალევე წავიდე, შეიძლება კიდევ დიდხანს ვიმუშაო," – განაცხადა ვეტერანმა.

წარმოგიდგენიათ, იტალიაში **ვესლის სნეიდერის** შესახებ შეკითხვა რომ არ დაესვათ? "სნეიდერი სქოულზის იდეალური შემცვლელი ნამდვილად არ არის. ჰოლანდიელი მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ ის არ არის, ვისაც ჩვენ ვეძებთ. პოლთან ახლოს მხოლოდ ჩავი და ინიესტა თუ მოვლენ", – მიუგო შოტლანდიელმა და იქვე მეორე შეკითხვასაც უპასუხა: "ჩემთვის ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ურთიერთობა ძალიან ადვილია, რადგან მუდამ წინ ვიყურები. ზოგადად ძალიან მიჭირს ფეხბურთელებთან გამოთხოვება, განსაკუთრებით ისეთებთან, ვისთანაც ახლო ურთიერთობა მაქვს, მაგრამ მიხდება ამასთან შეგუება, რადგან ჩემი ვალია განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ჩემს გუნდში და სხვაგანაც, რათა მოვნახო ისეთი, რომელიც წასულს ღირსეულად შეცვლის".

**ლევან ბიბილაშვილი**

● ფურია როხა. გამოხმაურება

# ექვსიდან ექვსისა და 6:0-ის ამბავი

## ფერნანდო ტორესი განაცხადშიც ველარ ხვდება

შესაძლოა, **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდი ისე დამაჯერებელი აღარ არის, როგორც „ფურია როხა" მუნდიალზე იყო, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ესპანელებმა მაინც ძალზე იოლად დაძლიეს. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებს ჯერ კიდევ დარჩათ ორი მატჩი გასამართავი ოქტომბერში, მაგრამ მათთვის ამ შეხვედრებს მხოლოდ ამხანაგური დატვირთვა ექნება, რადგან 6-დან 6 გამარჯვების შემდეგ პოლონეთ-უკრაინის საგზური ჯიბეში უდევთ.

ლიხტენშტაინის ნაკრებს რომ ესპანეთი „შეჭამდა", ცხადი იყო - ლოგრონიოში გოლები ჯუჯა ქვეყნის შვილების კარში გავიდა და გავიდა: **ვილიამ, ნეგრედომ, ჩავიმ** და **სერხიო რამოსმა** გაიტანეს. თანაც, პირველმა ორმა დუბლი შეასრულა. სხვათა შორის, წინა ტურში სენსაციის მომხდენმა ლიხტენშტაინმა (სტუმრად ლიტვასთან ფრე ითამაშა, თანაც 10 კაცით), 33 წუთი გაძლო. აქ კი საქმეში „სევილიას" ფორვარდი ალვარო ნეგრედო ჩაერთო, მან ოთხ წუთში დუბლი შეასრულა - ჯერ ჩავის შორეული პასი მიიღო საჯარიმოში და ისე გაიტანა, შემდეგ **ინიესტას** დაწყებული კომბინაცია, ქუსლით გააგრძელა ვილიამ და ნეგრედოს არ გასჭირვებია კარიერაში მე-6 გოლის გატანა ეროვნული ნაკრების მაისურით. შეიძლება ითქვას, რომ ამ ოთხწუთიან მონაკვეთში ყველაფერი გადაწყდა და „ფურია როხამაც" ბურთის გორება დაიწყო.

ტაიმის მიწურულს ოსტატობა ჩავიმ გვაჩვენა, როცა საჯარიმო დარტყმით მაღალ კუთხეში გაიტანა. მეორე ტაიმში ლიხტენშტაინმა კიდევ ერთხელ, 51-ე წუთზე გამოაცხადა კაპიტულაცია, როცა ინიესტა-ნეგრედოს კომბინაცია სერხიო რამოსმა დაასრულა. ამას მოჰყვა დავიდ ვილიას რიგით 48-ე და 49-ე გოლები „ფურია როხას" მაისურით - 6:0.

ერთი საინტერესო დეტალი - ამ შეხვედრაში ვისენტე დელ ბოსკემ „ჩელსის" ფორვარდ **ფერნანდო ტორესს** სათადარიგოთა სკამზეც ვერ გამოუძებნა ადგილი და ის მატჩის განაცხადში არ შეიყვანა. მატჩში საუკეთესო კი ერთ დროს მისი თანაგუნდელი ვილია იყო, „ელ გუახეს" ანგარიშზე დუბლი და საგოლე პასია.

**ვისენტე დელ ბოსკე:** *„კონტრაქტის გაგრძელებაზე სერიოზულად ვფიქრობ. უკვე ვისაუბრე ფედერაციის პრეზიდენტთან და გენერალურ მდივანთან და ვერ ვხედავ რაიმე პრობლემას. უბრალოდ, ევროპის ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. დღეს ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ და მიღწეულით ბედნიერები ვართ. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, საკვალიფიკაციო ეტაპების დაძლევას და ამას დიდ მიღწევად არ ვთვლით, თუმცა დღეს რომ საგზური უკვე მოვიპოვეთ, ძალზე მნიშვნელოვანია".*

**ალვარო ნეგრედო:** *„ძალზე ვწუხვარ, რომ დღეს ფერნანდო ტორესს შანსი არ მიეცა, თუმცა ფეხბურთი ასეთია, დღეს მე უკეთეს ფორმაში ვარ. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მიმაჩნია, რომ „ელ ნინიო" ნაკრების ლიდერთაგანია და მისი დრო ისევ მოვა".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვილიას გამჩერებელი არავინაა

● ბარსელონა

# ადრიანომ ვარჯიში განაახლა

„ბარსელონას" ბრაზილიელმა განაპირა მცველმა **ადრიანო კორეიამ** სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა. „ბარსა" „რეალ სოსიედადთან" დაპირისპირებისთვის ემზადება, რომელიც „ანოეტაზე" 10 სექტემბერს გაიმართება. ადრიანომ ტრავმა უეფას სუპერთასზე, „პორტუს" წინააღმდეგ 2:0 დასრულებულ მატჩში მიიღო. მან უკვე გამოტოვა კლუბში სეზონის საწყისი მატჩი „ვილიარეალის" წინააღმდეგ და ნაკრებში ამხანაგური შეხვედრა განის ეროვნულ გუნდთან. 26 წლის მცველი უკვე ჯანზეა და **ხოსეპ გვარდიოლა** მას სან სებასტიანში წაიყვანს კიდეც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● არსენალი



კირან გიბსი

# გიბსი: სანერვიულო არაფერია

"არსენალისა" და ინგლისის ნაკრების 21 წლის განაპირა მცველი **კირან გიბსი** იმედოვნებს, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ საჭირო კონდიციებში მალე ჩადგება და **არსენ ვენგერი** ადგილს ძირითად შემადგენლობაში ისევ ანდობს. "მეთოფეები" შაბათს "სუონისთან" დასაჭიდებლად ემზადებიან. ლონდონელებმა გამოჯანმრთელებულ გიბსს სერიოზული კონკურენტი დაახვედრეს, ბრაზილიის ნაკრების 28 წლის მარცხენა მცველი **ანდრე სანტოსი**. ამ ფეხბურთელებს თანაბრად შეუძლიათ დაცვის ორივე ფლანგზე ასპარეზობა და შესაბამისად, შეიძლება ადგილი ძირითადში ორივემ დაიმკვიდროს, მართალია ცოტა საეჭვოა, ცაციებმა ნამდვილ მემარჯვენე **ბაკარი სანიას** აჯობონ, მაგრამ მაინც... დაცვის მარჯვენა ფლანგზე შეუძლია თამაში "მეთოფეთა" კიდევ ერთ ახალწვეულ **კარლ ჯენკინსონსაც**. გიბსი ფიქრობს, რომ გუნდის ახალწვეულებს ნამდვილად შეუძლიათ "არსენალის" გაძლიერება. აი, რას აცხადებს ფეხბურთელი: *"მიყვარს გუნდის დახმარება, როცა ამის შანსი მაქვს. "არსენალს" შეუძლია ნებისმიერი მეტოქე დაამარცხოს, არ აქვს მნიშვნელობა, სანია იქნება ძირითადში თუ ვინმე სხვა. ჩვენ შეგვიძლია კარგი ფეხბურთის თამაში. იმედია, შედეგები გვექნება. პირადად რაც შემეხება, სასწავლი ჯერ კიდევ ძალიან ბევრი მაქვს. მესმის, რომ რაც უფრო მეტს ვითამაშებ, მით უფრო სწრაფად გავიზრდები. ვიცი, რომ თამაშებისას მეტი კონცენტრაცია მმართებს, განსაკუთრებით იმ სქემისას, რომლითაც "არსენალი" თამაშობს. ჩვენ ხომ შემტევი სტილის გუნდი ვართ. ასე რომ, მცველებს განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს".*

გუნდში შექმნილ ვითარებაზე "არსენალის" ახალწვეულმა **მიკელ არტეტამაც** ილაპარაკა. ესპანელი მოუთმენლად ელის დებიუტს "მეთოფეთა" რიგებში. სპორტული ვებგვერდები წერენ, რომ ვენგერი მას აუცილებლად ძირითადში გაამწესებს: *"სუონსისთან" შეხვედრას მოუთმენლად ველოდები. "ემირატსზე" მატჩის დაწყება ძალიან ამაღელვებელი მომენტი იქნება ჩემთვის. გარწმუნებთ, "არსენალის" მიმართ ყოველთვის მქონდა განსაკუთრებული სიმპათია, რადგან მისი თამაშის ცქერა ყოველთვის დიდი სიამოვნება იყო. იმედია, გუნდთან ადაპტაცია განსაკუთრებული პრობლემების გარეშე ჩაივლის. პირადად ამისთვის ძალასა და ღონეს არ დავიშურებ".*

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

## დრენტე და პრემიერლიგა

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს "ევერტონმა" "რეალიდან" 24 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი **როისტონ დრენტე** შეიძინა. ფეხბურთელი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ შეთავაზება რამდენიმე კლუბიდან ჰქონდა, მაგრამ მას თამაში მხოლოდ პრემიერლიგაში სურდა. შეგახსენებთ, რომ სამეფო კლუბის ფეხბურთელი წინა სეზონში იჯარით "ერკულესში" თამაშობდა, სადაც კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო ერთი პერიოდი ის მოკვეთილიც კი იყო. სეზონის დაწყებამდე **ჟოზე მოურინიომ** განაცხადა, რომ ფეხბურთელთან თანამშრომლობას არ აპირებდა, რის გამოც ჰოლანდიელი ტრანსფერზე დააყენეს. *"რეალში" სურდათ, რომ კარიერა "ბენფიკაში" გამეგრძელებინა, მაგრამ ამ წინადადებაზე უარი ვთქვი. 31 აგვისტოს ყველაფერი გაირკვა, აგენტმა დამირეკა და მთხოვა, ბარგი ჩამელაგებინა და ლივერპულში გავფრენილიყავი, სადაც "ევერტონის" წარმომადგენლები დამხვდებოდნენ და კონტრაქტს გამიფორმებდნენ. ამის შემდეგ თავისუფლად ამოვისუნთქე და ღმერთს მადლობა გადავუხადე," –* განუცხადა ფეხბურთელმა "სანის" ჟურნალისტს.

## არეულობა ფეხბურთის გამო

ეგვიპტეში "ალ აჰლის" ფანებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა, გვამცნობს სააგენტო "ასოშიეიტედ პრესი". ინციდენტი ქაიროს სტადიონზე მოხდა. მიზეზი თავად გულშემატკივრები გახდნენ, რომლებიც პოლიციელების მიმართ მთელი თამაშის განმავლობაში შეურაცხმყოფელ შეძახილებს სკანდირებდნენ. რამაც სამართალდამცავთა გაღიზიანება და მათთან ხალხის ხელჩართული ჩხუბი გამოიწვია. გულშემატკივრებმა სტადიონის ახლო-მახლო განლაგებული პოლიციის 13 მანქანა დაწვეს. სულ დაზიანება 130-მა პოლიციელმა მიიღო, საიდანაც სტაციონარული მკურნალობა 50-ზე მეტს სჭირდება. მასამ ქუჩების გადაკეტვა და ქალაქის პარალიზება სცადა, თუმცა ადგილზე დროულად გამოცხადნენ პოლიციისა და საარმიო სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებმაც სიტუაციის ჩაწყნარება მალევე მოახერხეს. მოქალაქეებს შორის მსხვერპლისა და დაზარალებულთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

● იტალიის ნაკრები

# სკუადრა აძურა დაბრუნდა!

## ...და ეს ჩეზარე პრანდელის დამსახურებაა

მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი კრახიდან ერთი წლის შემდეგ, იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური აბსოლუტურად უპრობლემოდ მოიპოვა და საფეხბურთო იტალიაში შვებით ამოისუნთქეს – საქმე არცისე ცუდად ყოფილა, როგორც ეს შარშან ამ დროს ეგონათ. მართალია, „სკუადრა აძურამ" ფარერებთან მინიმალური ანგარიშით გამარჯვების შემდეგ ვერც სლოვენიის ნაკრებთან შეძლო ერთზე მეტი გოლის გატანა, მაგრამ რაც მთავარია, **ჩეზარე პრანდელის** გუნდმა კარი ისევ მშრალად შეინახა. მოკლედ, იტალიამ ისევ თავისი საყვარელი ანგარიშით მოიგო და მერე რა, რომ აპენინელებმა გამარჯვების გოლი მატჩის მიწურულს გაიტანეს – მთავარი შედეგია, „აძურამ" კი ევრო 2012-ის საგზური რვა მატჩის შემდეგ, შვიდი მოგებითა და ერთი ფრით მოიპოვა.

*„ერთი წლის წინ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ ზუსტად ერთ წელიწადში იტალიის ნაკრებს ასეთი პროგრესი ექნებოდა. რვიდან შვიდი თამაში მოვიგეთ და არც ერთი არ წაგვიგია – ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი შედეგია. თანაც, რაც მთავარია, წარმატებას საკმაოდ ახალგაზრდული გუნდით მივაღწიეთ, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, დიდი პერსპექტივა აქვს,"* - აცხადებს „სკუადრა აძურას" მცველი **ჯორჯო კიელინი.**

ამრიგად, იტალიამ ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური - ტურნირისა, რომელიც იტალიელებს 1968 წლის შემდეგ აღარ მოუგიათ. ამ შემთხვევაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი „აძურის" ასე შედეგიანად მანამდე არასდროს ჩაუტარებია.

*„როგორც წესი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბოლო ტურამდე ვნერვიულობდით ხოლმე. ახლა კი ყველაფერი ნაადრევად გადაწყდა, რაც თითოეულ ჩვენგანს ახარებს,"* - ეს იტალიელთა კარის დარაჯის, **ჯანლუიჯი ბუფონის** სიტყვებია. ჯიჯი შარშან ამ დროს ძალიან პესიმისტურად იყო განწყობილი, ახლა კი თამამად საუბრობს იტალიის ნაკრების საჩემპიონო შანსებზე: *„ვფიქრობ, არავისი არ უნდა გვეშინოდეს. საკვალიფიკაციო მატჩები ისე დამაჯერებლად ჩავატარეთ, რომ საშიში არაფერია. ჩემი აზრით, იტალიას ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია. მართალია, მატჩები დიდი ანგარიშებით ვერ მოვიგეთ, მაგრამ „სკუადრა აძურა" დიდი ანგარიშებით არც არასდროს იგებდა ხოლმე."*

იტალიაში ყველა აღიარებს, რომ მუნდიალზე შერცხვენილი გუნდის პროგრესი მეტწილად პრანდელის დამსახურებაა. ჩეზარემ **მარჩელო ლიპის** დაბერებული გუნდი თამამად გააახალგაზრდავა, ძველ ვარსკვლავებს „აძურას" კარი მიუხურა და ფაქტობრივად ახალი გუნდის ფორმირება შეძლო. სწორედ პრანდელიმ მისცა კიდევ ერთი შანსი **ანტონიო კასანოს**, რომელიც იმდენადვე ექსცენტრული და არაპროგნოზირებადია, რამდენადაც გენიალური ფეხბურთელი შეუძლია იყოს. 54 წლის პრანდელიმ ყველაზე მოუთვინიერებელი **მარიო ბალოტელის** მოთვინიერებაც შეძლო – შესაძლოა, არა ასი პროცენტით, მაგრამ იმ დონეზე მაინც, რომ ეს უკანასკნელი იტალიის ნაკრებს გარკვეულწილად გამოადგეს.

სლოვენიასთან კასანო ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმის შუაში შეცვალეს, ბალოტელი კი მოედანზე 76-ე წუთზე შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვების გოლი **ჯამპაოლო პაცინიმ** გაიტანა (სწორედ ამ უკანასკნელმა შეცვალა კასანო) და მატჩის შემდეგ ფანები და ჟურნალისტები სწორედ პაცინის აქებდნენ, უნდა ვთქვათ, რომ კასანომ და ბალოტელიმ მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს.

*„პაცინიმ ევროპის ჩემპიონატი გვაჩუქა!"* - როგორც ყოველთვის, ცოტათი გადაჭარბებული და ხმამაღალი იყო „კორიერე დელო სპორტის" სათაური. თავად პრანდელი კი აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელს აქებდა და ამბობდა, თუ ასე გავაგრძელებთ, ხალხს სტადიონისკენ მოვაბრუნებთო.

*„ყველაზე კარგი ის არის, რომ ფარერებთან და სლოვენიასთან ფაქტობრივად უთამაშებელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდით მოვიგეთ. იმის გამო, რომ იტალიის ჩემპიონატის სტარტი ცნობილი დაპირისპირების გამო გადაიდო, ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა არ აქვთ და მიუხედავად ამისა, სლოვენიაც დავამარცხეთ, რის გამოც ჩემი გუნდი პატივისცემას იმსახურებს,"* - აღნიშნა პრანდელიმ.

ზოგადად, ჩეზარეს ძალიან კარგი სტატისტიკა აქვს: მის ხელში „აძურამ" 14 მატჩიდან 9 მოიგო, სამი ფრედ დაასრულა და მხოლოდ ორში დამარცხდა. თანაც, ორივე წაგება ამხანაგურ მატჩებზე მოდის. გამარჯვებებს შორის იყო მოგებული ტესტ-მატჩი ევროპისა და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ესპანეთთან (2:1) და დამსახურებული ფრე გერმანიასთან (1:1 დორტმუნდში). გულახდილი და თავდაჯერებული სტილით პრანდელიმ „აძურის" მენტალიტეტი შეუცვალა და ის ფაქტი, რომ იტალიამ ევრო 2012-ის საგზური ნაადრევად მოიპოვა, პირველ რიგში სწორედ ჩეზარეს დამსახურებაა. მანვე მიაღწია იმასაც, რომ იტალიელებს „სკუადრა აძურა" ისევ უყვართ.

### პაცინი: როცა იტალიას ვჭირდები...

სლოვენიის კარში გატანილი გამარჯვების გოლის ავტორი ცხადია, ამით ძალიან ამაყობს – ლოგიკურია, რადგან ეს პაცინის კარიერაში ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გოლი იყო.

*„იტალიის ნაკრებში ბევრი გოლი ვერ გამქონდა და ახლა ორმაგად მიხარია, ის, რომ „აძურიმ" ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება სწორედ ჩემი გოლის შემდეგ მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ სლოვენიასთან ძირითად შემადგენლობაში არ ვიყავი გამწესებული, ზუსტად ვიცი, რომ პრანდელი ნაკრების ერთ-ერთ უმთავრეს ფიგურად განმიხილავს. ამიტომაცაა, რომ როცა სასტარტოში არ მაყენებს, არ ვბრაზდები ხოლმე. ვითამაშებ და ბოლომდე დავიხარჯები მაშინ, როცა იტალიას ვჭირდები და როდის ვჭირდები იტალიას, ეს ყველაზე უკეთ სწორედ ჩეზარე პრანდელიმ იცის,"* - ამბობს პაცინი.

**გოტფრიდ ლენცი**




იტალიელები სლოვენიასთან გამარჯვებას ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას ზეიმობენ

● არგენტინა. აპერტურა. V ტური



სანტა ფე-ატლეტიკო. შეტევაზე სტუმრები არიან

# დებიუტანტი აღარ ხუმრობს

## მოჰამედის თავიც დაგორდა

**ნიუელსი-კოლონი 0:0**

გაძევება: ბასტია (72. კოლონი), კილესი (90. კოლონი)

**ტიგრე-ბანფილდი 1:0**

გოლი: 1:0 ეჩევერია (31)

**სან ლორენსო-ბელგრანო 0:1**

გოლი: 0:1 მანსანელი (39)
გაძევება: ფარე (82. ბანფილდი)

**არსენალი-გოდოი კრუსი 1:2**

გოლები: 0:1 ნავარო (53), 0:2 რამირესი (90), 1:2 ობოლო (90)

**ოლ ბოისი-რასინგი 0:0**

გაძევება: მარტინესი (72. რასინგი)

**ლანუსი-ესტუდიანტესი 2:1**

გოლები: 1:0 რეგეირო (13), 1:1 მ. გონსალესი (28), 2:1 რომერო (29)

**სან მარტინი-არხენტინოსი 0:0**

**სანტა ფე-ატლეტიკო 0:1**

გოლი: 0:1 კარდენასი (18 ს.კ.)
გაძევება: კარდენასი (87)

**ინდეპენდე-ბოკა ხუნიორსი 0:1**

გოლი: 0:1 სკიავი (49)

**ოლიმპო-ველესი 2:1**

გოლები: 1:0 როლე (11), 1:1 ფრანკო (40), 2:1 ბარეირო (70)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 5 | 4 | 0 | 1 | 9-5 | 12 |
| 2. ბოკა | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 11 |
| 3. ლანუსი | 5 | 3 | 2 | 0 | 4-1 | 11 |
| 4. რასინგი | 5 | 2 | 3 | 0 | 5-1 | 9 |
| 5. ტიგრე | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 6. კოლონი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| 7. ველესი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| 8. სან ლორენსო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| 9. გოდოი კრუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 10. სან მარტინი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| 11. ბელგრანო | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 12. ნიუელსი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 13. ოლ ბოისი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 14. ოლიმპო | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 15. სანტა ფე | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 16. არსენალი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |
| 17. ინდეპენდ. | 4 | 1 | 1 | 2 | 1-2 | 4 |
| 18. არხენტინოსი | 5 | 0 | 4 | 1 | 3-5 | 4 |
| 19. ესტუდიანტესი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |
| 20. ბანფილდი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-8 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - განდინი (ატლეტიკო), გუტიერესი (რასინგი), მატოსი (ოლ ბოისი), რამირესი (გოდოი კრუსი).

**მომდევნო ტური**

8 სექტემბერი: ინდეპენდიენტე-სან მარტინი.

9 სექტემბერი: ატლეტიკო-ნიუელსი, კოლონი-სან ლორენსო.

10 სექტემბერი: გოდოი კრუსი-ოლ ბოისი, ესტუდიანტესი-ტიგრე, რასინგი-ოლიმპო.

11 სექტემბერი: ბანფილდი-არსენალი, ბელგრანო-ინდეპენდიენტე, ბოკა ხუნიორსი-სან მარტინი, ველესი-სანტა ფე.

12 სექტემბერი: არხენტინოსი-ლანუსი.

### ტურის მოვლენები

რაფაელას „ატლეტიკომ" თუნდაც ერთი ტურით, მაგრამ გაიხანგრძლივა ლიდერობა - ეს კი დებიუტანტისთვის დიდებული შედეგია. დიახ, კალენდარი ჯერჯერობით უღიმის „ატლეტიკოს", მაგრამ მათ თავკაც **კარლოს ტრულეტსაც** ნუ დავუკარგავთ დამსახურებას.

„ინდეპენდიენტეს" მარცხს „ბოკა ხუნიორსთან", მასპინძელთა მწვრთნელის, **ანტონიო მოჰამედის** გადადგომა მოჰყვა. „ინდე" მოჰამედის თავკაცობით კიდევ მოუმატებდა, მაგრამ ასეთი არასტაბილური თამაშით გუნდი მაინც ვერ წავიდოდა შორს. ეს „ბოკასთან" მატჩშიც კარგად გამოჩნდა. რა იქნება შემდეგ? ამბობენ, **ანხელ კაპა** ჩაუდგება გუნდს სათავეშიო, რომელიც ბოლოს „რივერ პლეიტში" და „ხიმნასიაში" წარუმატებლად მუშაობდა.

კრიზისი უდგათ „ველეს სარსფილდსა" და „ესტუდიანტესს", სამაგიეროდ, პირველად მოიგეს „ბელგრანომ" და „ოლიმპომ". აი, „ბანფილდის" თავს რაც ხდება იმას კრიზისიც აღარ ჰქვია - გუნდმა აპერტურას ყველა მატჩი წააგო. იმედია, **ლავოლპე** რამეს შეცვლის გუნდში, თორემ ეს უკვე აღარ არის საინტერესო.

მოედანს 6-თვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა **ჯოვანი მორენო**, „რასინგის" შესანიშნავმა „ენგანჩემ" მყესები გაიწყვიტა და ნახევარი წელიწადი ლაზარეთში გაატარა. ახლა **დიეგო სიმეონე** დიდი დილემის წინაშეა, მას არ უყვარს სუფთა გამთამაშებლით თამაში, მაგრამ მორენო არ დააყენო, ნიშნავს სამკვდროდ გადაეკიდო „რასინგის" ფანებს.

### ტურის ციფრები

სამი ნულოვანი ფრე და სულ 13 გოლი! ასეთი ცუდი ტური გამოდგა აპერტურაში. ერთადერთი „არსენალისა" და „გოდოი კრუსის" შეხვედრამ გაამართლა. ტურის გმირი კი გოდოი კრუსელი **ლეანდრო კარუსოა.** „უდინეზეს" ფეხბურთელი (ისევ იტალიური კლუბის საკუთრებაა) ორი საგოლე პასით გამოირჩა.

### ტურის გოლები

მარიო რეგეირო, სილვიო რომერო, სესარ მანსანელი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქოლესტერინის საზომი აპარატი



~~69~~ ლარი
35 ლარი

გლუკომეტრები
35-99 ლარი



შპს „კონტრასტი"

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 234 74 03; 599 19 60 55

ჩააბარე ძველი, დაამატე 27 ლარი და მიიღე
ახალი გლუკომეტრი + 10 ტესტ-ფურცელი

ინტერვიუ. ფრანსესკ ფაბრეგასი

# არაფერი ვენგერის გარეშე

**ფრანსესკ ფაბრეგასის "ბარსელონაში" დაბრუნების შემდეგ ფეხბურთელმა 170 წუთში 5 გოლი გაიტანა, მათ შორის 2 ნაკრებში. რას მივაწეროთ ეს გადასხვაფერება? მის ცხოვრებაში მომხდარი სიახლეების შესახებ თავად ესპანელი ფეხბურთელი საუბრობს.**

**- როდის მიხვდით საბოლოოდ, რომ "არსენალში" თქვენი დრო ამოწურული იყო?**

- გასულ სეზონში. ჩვენ ლიგის თასზე, ინგლისის თასზე, ჩემპიონთა ლიგასა და პრემიერლიგაში ვთამაშობდით და საბოლოოდ ვერაფერი მოვიგეთ. ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა უკვე იყო დრო, "ბარსელონაში" დავბრუნებულიყავი, მით უფრო, ამ კლუბს ჰქონდა ჩემდამი ინტერესი. აშკარა იყო, რომ ან კატალონიაში უნდა წავსულიყავი, ან ისევ "არსენალში" დავრჩენილიყავი. არასოდეს მიფიქრია, რომ სადმე წასვლა ხელფასის ან რამე სხვა ფაქტორის გამო გადამეწყვიტა. 18 წლიდან მოყოლებული ხომ არაერთი კლუბის წინადადება მიმიღია.

**- "რეალიდანაც"?**

- დიახ. არ არის აუცილებელი ყველას ჩამოთვლა. შემოთავაზებები იყო და ეს ფაქტია.

**- ვენგერმა თქვენ მოგიტაცათ?**

- არსენ ვენგერზე ბევრი არასწორი აზრია გავრცელებული. ის რომ არა, მე ახლა არ ვიქნებოდი "ბარსელონაში". იმიტომ, რომ 16 წლისას დებიუტი არ მექნებოდა ჩემპიონატში, 18-ისა არ ვითამაშებდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში, გუნდის კაპიტანი ვერ ვიქნებოდი 20 წლის ასაკში. რომ არა ვენგერი, საერთოდ არ ვიცი, ვინ ვიქნებოდი. სწორედ მან დაარწმუნა "არსენალის" მესვეურები, რომელთაც არ სურდათ ჩემი გაყიდვა, ფასი დაეკლოთ ჩემი ტრანსფერისთვის.

**- თავს დავალებულად გრძნობთ "მეთოფეების" მიმართ?**

- არა, რადგან მე მათ მთელი სულით და გულით ვემსახურე. გული მწყდება, რომ ვერაფერი მოვიგე. არადა, მარტო პრემიერლიგაში გამარჯვება სამჯერ შეგვეძლო. ამ მხრივ მინდოდა რამისთვის მიმეღწია, რათა უკეთესი კვალი დამეტოვებინა.

**- რა მიგაქვთ ლონდონიდან?**

- უამრავი მოგონება. ლონდონი ყოველთვის დარჩება ჩემს ქალაქად. იქ ჩვეულებრივ ხალხში დიდი მეგობრები ვერ შევიძინე, მაგრამ ასეთები მყავს გუნდიდან, მაგალითად როსიცკი და კარლოს ველა და, რა თქმა უნდა, ვენგერი. მის გარეშე არც მსოფლიოს ჩემპიონი ვიქნებოდი.

**- რა უფრო სევდიანი იყო, 8 წლის წინ ბარსელონის დატოვება თუ ახლა ლონდონის?**

- როცა ბარსელონიდან მივდიოდი, მგონი ვერაფერსაც ვერ ვიაზრებდი. მე ხომ ბავშვი ვიყავი. არასოდეს მიფიქრია, რომ პირველ გუნდში ვითამაშებდი, შეხედეთ ინიესტას, ის 23 წლის იყო, როცა პარიზში ჩემპიონთა ლიგის ფინალში ძირითადში დააყენეს. მაშინ ვფიქრობდი, როცა ანდრესიც კი არ თამაშობს, მე ვინ ვიქნებოდი-თქო. ახლა კი სრულად ვაცნობიერებ რას ვტოვებ ლონდონში და სად მივდივარ. ნამდვილად უფრო სევდიანი დღე იყო, ვიდრე მაშინ, როცა ბარსელონა დავტოვე.

**- როგორი იყო ვენგერთან დამშვიდობება?**

- მე და ის დიდხანს ვლაპარაკობდით. მისი სიტყვები დიდხანს მემახსოვრება და ალბათ იქითა ცხოვრებაშიც გამყვება... რთული იყო სათქმელისთვის თავის მოყრა. ასე რომ, ვერაფერიც ვერ ვუთხარი. რამდენიმე დღის შემდეგლა მოვახერხე, დავურეკე და მადლობა გადავუხადე ყველაფრისთვის. ის არის ადამიანი, ვისაც 10 ბალით ვაფასებ. მას აქვს ძლიერი და სუსტი მხარეებიც, მაგრამ რაც მან მე მომცა, ეს შეუფასებელია.

**- რა გასწავლათ ინგლისმა?**

- მოდი, ერთად წარმოვიდგინოთ. 16 წლისა ვიყავი, ანუ ბავშვი. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სულელი ვარ, მაგრამ თავიდან ინგლისურის სწავლა მიჭირდა. ვერც კი წარმომედგინა, რომ ოდესმე ყველა ინგლისურენოვანი ადამიანის ლაპარაკს გავიგებდი. იქ ვისწავლე სიძნელეების გადალახვაც.

**- როცა გაარკვიეთ, რომ ბარსელონაში ბრუნდებოდით, პირველი რა გააკეთეთ?**

- ჩემს დას დავურეკე, რადგან შეპირებული ვიყავი.

**- თქვენმა ბებიამ განაცხადა, რომ ასეთი ბედნიერი შვილიშვილი არასოდეს ენახა.**

- ახლა ხანდახან ისეთი ბედნიერი ვარ, რომ მინდა ხოლმე ამის დამალვა. მრცხვენია კიდეც ჩემი ბედნიერების.

**- "ბარსელონასთან" კონტრაქტი მართლა 2 წლის წინ გააფორმეთ?**

- არა. ერთხელაც არ მილაპარაკია მათთან იქამდე, ვიდრე "არსენალს" ყველაფერზე არ შეუთანხმდა.

**- ტიტო ვილანოვა ამბობს, რომ კლუბმა ხელშეკრულება გააფორმა არა სესკთან, რომელიც ოდესღაც 16 წლისა წავიდა გუნდიდან, არამედ "არსენალის" კაპიტანთან.**

- ტიტო "ბარსელონაში" ჩემი უკანასკნელი მწვრთნელი იყო. ჩვენ მშვენიერი ურთიერთობები გვაქვს. ბედნიერი ვარ, რომ გასახდელში ისევ ვხედავ მესისა და პიკეს. ტიტო მართალია, მე აღარ ვარ პატარა ბიჭი, რომელიც ოდესღაც დუბლებში თამაშობდა.

**- რა მოგცათ პრემიერლიგაში გატარებულმა წლებმა?**

- კარგი გაკვეთილები. ინგლისში ფეხბურთი ბევრად უფრო გიჟურია, ვიდრე აქ. ესპანეთში მეტი დისციპლინა, ტაქტიკა და პასია, ინგლისში კი ხანდახან ვილაცამ შეიძლება მაშინაც კი შემოგიტიოს, როცა ეს მართლა არ სჭირდება და ამას გააკეთებს იმის გამო, რომ ამას გულშემატკივარი ითხოვს. იქ მსაჯებიც ბევრის უფლებას აძლევენ ფეხბურთელებს.

**- ინგლისში მკვეთრად წარმოთქვამენ "სესკს"...**

- დიახ, უფრო მკვეთრად ვიდრე აქ.

**- მაისურაზე ფაბრეგასი რატომ გაწერიათ?**

- ინგლისში იმიტომ მეწერა, რომ იქ სავალდებულოა ამის გაკეთება. "ბარსელონაში" კი თავად მოვისურვე ტრადიციის შენარჩუნება.

**- "ბარსაში" პირველი რა ისწავლეთ?**

- ის, რომ რეალურად ძალიან ძნელია ასე მსუბუქ სტილში თამაში. პრესინგიც, რასაც გუნდი მიმართავს ხოლმე ძალიან ძნელი რამაა.

**- ეთანხმებით ჩავის, რომელიც ამბობს, რომ "ბარსელონაში" ყველაზე ლამაზი ვარჯიშია?**

- დიახ, ეს ყველაზე ლამაზია, რაც ოდესმე მინახავს. ვარჯიშებზე მხოლოდ ბურთზე შეხების ხმა ისმის. ყოველდღიური დატვირთვები ბევრად უფრო კარგი სანახავია, ვიდე თამაშები. აქამდე არაფერი ამის მსგავსი არ მინახავს.

**- გუნდში კარგი ატმოსფეროა?**

- თუკი ნათქვამია, რომ ვარჯიში 10:00-ზე იწყება, ყველა 9:30-ზე მოდის. დამატებით დადებით ატმოსფეროს პიკე ქმნის, ადამიანი, ვინც ყველას უყვარს.



ფრანსესკ ფაბრეგასს ბავშვობის ყველაზე დიდი ოცნება აუხდა

**- გვარდიოლამ რა გითხრათ?**

- განსაკუთრებული არაფერი. მხოლოდ ის, რომ ბევრი უნდა ვიშრომო და ძირითადში ადგილი დავიმსახურო.

**- პირველად "რეალთან" ითამაშეთ...**

- გვეყოფა "რეალზე" ამდენი ლაპარაკი. ჩვენ ახლა ახალ სეზონზე ვფიქრობთ. მოუთმენლად ველოდები სხვა სტადიონებზე გამოსვლასაც. ორჯერ მითამაშია "კამპ ნოუზე", ვყოფილვარ "სანტიაგო ბერნაბეუზე", "ელ მადრიგალზე", "მესტალიაზე". ახლა ძალიან მინდა "სან მამესზე" თამაში, იქ ხომ განსაკუთრებული ატმოსფეროა.

**- პატარა სესკი რაზე ოცნებობდა ყველაზე ხშირად?**

- იმაზე, რაც ახლა ამისრულდა, ერთადერთი ოცნება "ბარსელონაში" თამაში იყო.

**ლევან ბიბილაშვილი**

ლა ლიგა. კლუბების წარდგენა. ბარსელონა



# ზეცაზე ზემოთ

## ბარსელონას წერტილოვანი დარტყმები: ალექსის ბრწყინვალე და ასრულებული სესკი

**ხოსეპ გვარდიოლას** ყველაზე დიდი მოტივაცია ახალ სეზონში ესაა - ზედიზედ მეოთხედ ჩემპიონობის მოგება და **იოჰან კრუიფის** „ოცნების გუნდის" შედეგის გამეორება. სეზონის წინ „ბარსამ" შესანიშნავი განწყობა დაიბევა, „რეალს" ესპანეთის სუპერთასი მოუგო, თუმცა მაშინ ისიც გამოჩნდა, რომ **ჟოზე მოურინიო** წლეულს სერიოზულად არის მომზადებული და კატალონიელებს იოლი გასეირნება არ ელით.

„ბარსა" ტიტულების მომხვეჭელ მანქანად იქცა და არც აპირებს ტემპის შენელებას. პროგრამა მაქსიმუმი მათთვის პროგრამა მინიმუმია, მაქსიმუმი კი ღვთაებრივი ფეხბურთის თამაშია - ჯერ სეზონი არ დაწყებულა ხეირიანად და კატალონიური გრანდი უკვე შესაშურ ფეხბურთს თამაშობს.

პეპი ყოველთვის ცდილობდა კრუიფივით ლეგენდა გამხდარიყო, ასე რომ, მისთვის „მფრინავი ჰოლანდიელის" შედეგის გამეორება დიდი სტიმულია. *„მან ძალიან ბევრი გააკეთა გუნდისთვის, ჩემი ტიტულები არაფერია მის მიღწევებთან შედარებით, მე ხომ ფანტასტიკური ფეხბურთელები მყავს, რომ არა ისინი, სულ ვერაფერს მივაღწევდი"*, - ამბობს პეპი.

„ბარსელონას" შემადგენლობის შემხედვარე ვერავინ იფიქრებდა, რომ კლუბს გაძლიერება უნდა, თუმცა პეპმა გადაწყვიტა წერტილოვანი დარტყმებით მოეხდინა ეს გაძლიერება - ასე მივიდა გუნდში ჩილელი სუპერტალანტი **ალექსის სანჩესი** და დაუბრუნდა მშობლიურ გარემოს **სესკ ფაბრეგასი**. მისი შეძენის „სერიალი" დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს, როგორც იქნა, დასრულდა. სესკმა სულ 2-3 მატჩი იმყოფინა იმისთვის, რომ კრიტიკოსები და სკეპტიკოსები გაეჩუმებინა, მისი დამატებით „ბარსას" შუახაზი ერთიორად გაძლიერდა.

*„ვინც მყავს, სავსებით საკმარისია, მიზნის მისაღწევად, მეტი ფეხბურთელი არ მჭირდება"*, - აცხადებს გვარდიოლა. გვარდიოლამ მოიცილა **ბალასტი, მილიტო, ბოიანი, ხეფრენი**, სამაგიეროდ დააწინაურა **ტიაგო ალკანტარა**, რომელიც უკვე ესპანეთის ნაკრებში მოხვდა.

თქმა არ უნდა, ჩემპიონის ტიტული ისევ ორ გუნდში გათამაშდება, თუმცა მთავარი ის კი არ იქნება, უშუალო დაპირისპირებაში რომელი გუნდი იმარჯვებს, „რეალი" თუ „ბარსელონა", არამედ ის, რომელი გუნდი გაივლის მარათონს რაც შეიძლება უდანაკარგოდ. სტარტი ორივეს ბრწყინვალე ჰქონდა - 6:0 და 5:0.

### ციტატები

**ხოსეპ გვარდიოლა**: *„იმ ფეხბურთელებით, რომლებიც გვყავს, უბრალოდ, დიდებულად უნდა ვითამაშოთ, სხვა ვარიანტი გამორიცხულია".*

**სესკ ფაბრეგასი**: *„ბარსელონას" წყალობით, ჩემი ყველაზე თამამი ოცნებები ასრულდა, ახლა ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ამოცანა უნდა შევასრულო, „ბარსელონას" გამოვადგე".*

**ტიაგო ალკანტარა**: *„მე ვფიქრობ, რომ, დროა, „ბარსელონა"-„რეალს" მსოფლიო „კლასიკო" დაერქვას. მათთან თამაში და მოგება, უდიდესი მოტივაციაა, რაც ფეხბურთელს შეიძლება გაუჩნდეს".*

## სეზონის ამოცანა: ჩემპიონობა

უკომენტაროდ.

### ტრანსფერები

**მივიდნენ**: სესკ ფაბრეგასი („არსენალი", 29 მლნ. ევრო), **ალექსის სანჩესი** („უდინეზე", 26 მლნ.), **ტიაგო ალკანტარა** („ბარსელონა ბ"), **ფონტასი** („ბარსელონა ბ")

**წავიდნენ**: ვ. სანჩესი, გ. მილიტო, ხეფრენი, კასერესი, იბრაჰიმ[illegible], კრკიჩი, კეირისონი, ჰლები, ენრიკე.

### დოსიე



**ფუტბოლ კლუბ ბარსელონა**
**დაარსდა**: 1899 წ.
**სტადიონი**: კამპ ნოუ, 99 354
**პრეზიდენტი**: სანდრო როსელი
**მწვრთნელი**: ხოსეპ გვარდიოლა
**კლუბის წევრი**: 86 300

21-გზის ჩემპიონი (1929, 1945, 1948, 1949, 1952, 1953, 1959, 1960, 1974, 1985, 1991, 1992, 1993, 1994, 1998, 1999, 2005, 2006, 2009, 2010, 2011), თასის 25-გზის მფლობელი (1910, 1912, 1913, 1919, 1922, 1925, 1926, 1928, 1942, 1951, 1952, 1953, 1957, 1959, 1963, 1968, 1971, 1978, 1981, 1983, 1988, 1990, 1997, 1998, 2009), სუპერთასის 10-გზის მფლობელი (1983, 1991, 1992, 1994, 1996, 2005, 2006, 2009, 2010, 2011), ესპანეთის ლიგის თასი (1983, 1986), ჩემპიონთა თასი (1992, 2006, 2009, 2011), უეფას თასი (1958, 1960, 1966), ევროპის თასების თასი (1979, 1982, 1989, 1997) უეფას სუპერთასი (1992, 1997, 2009, 2011), საკონტინენტთაშორისო თასი (1992), საკლუბო ჩემპიონი (2009)

**მეტსახელი**: ბლაუგრანა

**გასულ სეზონში**: პირველი ადგილი

**ოფიციალური საიტი**: http://www.fcbarcelona.cat/

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: დანი ალვეში (35), კეიტა (35), ინიესტა (34), ვილია (34), მესი (33).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: მესი (31), ვილია (18), პედრო (13), ინიესტა (8), კრკიჩი (6).

### გუნდი 2011/12

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. **ვიქტორ ვალდესი** | 14.01.1982 |
| 13. **ხოსე პინტო** | 08.11.1975 |
| 31. **რუბენ** მინიო | 18.01.1989 |
| **მცველები** | |
| 2. **დანიელ ალვეში** (ბრაზ.) | 06.05.1983 |
| 3. **ჟერარდ პიკე** | 02.02.1987 |
| 5. კარლეს **პუიოლი** | 13.04.1978 |
| 19. **მაქსველი** (ბრაზილია) | 27.08.1981 |
| 22. ერიკ **აბიდალი** (საფრ.) | 11.09.1979 |
| 24. ანდრეუ **ფონტასი** | 14.11.1989 |
| 32. მარკ **ბარტრა** | 15.01.1991 |
| 35. მარტინ **მონტოია** | 14.04.1991 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. **სესკ ფაბრეგასი** | 04.05.1987 |
| 6. **ჩავი** ერნანდესი | 25.01.1980 |
| 8. ანდრეს **ინიესტა** | 11.05.1984 |
| 11. **ტიაგო** ალკანტარა | 11.04.1991 |
| 14. ხავიერ **მასკერანო** (არგ.) | 08.06.1984 |
| 15. სეიდუ **კეიტა** (მალი) | 16.01.1980 |
| 16. სერხიო **ბუსკეტსი** | 16.07.1988 |
| 18. **სერხი რობერტო** | 07.02.1992 |
| 20. იბრაჰიმ **აფელაი** (ჰოლ.) | 02.04.1986 |
| 21. **ადრიანო** კორეია (ბრაზ.) | 26.10.1984 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. დავიდ **ვილია** | 03.12.1981 |
| 9. **ალექსის** სანჩესი (ჩილე) | 19.12.1988 |
| 10. **ლიონელ მესი** (არგენტინა) | 24.06.1987 |
| 17. **პედრო** როდრიგესი | 28.07.1987 |
| 28. **ჯონათან დოს სანტოსი** (მექს.) | 26.04.1990 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით წარწერა მაისურზე*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# მეფე ვესლი

## ცუდი ნაციონალი და მკვლელობა ინგლისში



ჰოლანდია ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ზეიმობს

### ფინეთი-ჰოლანდია 0:2

ამ რთულ დაპირისპირებაში გამარჯვებით ჰოლანდიის ნაკრებმა პრაქტიკულად გაინაღდა ჯგუფში პირველი ადგილი, თუმცა ვითარება ყველაზე უარესი სცენარითაც რომ განვითარდეს, "ნარინჯისფრები" საუკეთესო მეორეადგილოსნის სახელს არავის დაუთმობენ. ასე რომ, 59 წლის **ბერტ ვან მარვიიკის** გუნდი ევროპის ჩემპიონატზე უკვე გავიდა. შვედებს მეტოქის გადასწრების მიზერული შანსი აქვთ. ამისთვის მათ ორივე თამაში უნდა მოიგონ, ხოლო ჰოლანდიამ ორივე წააგოს, რაც, დაგვეთანხმებით, უფრო მეტია, ვიდრე სენსაცია და ამ შედეგზე ფულის დამდები ადამიანი მსოფლიოში არც კი გვეგულება.

**მიქსუ პაატელაინენის** გუნდმა ფავორიტს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. 29-ე წუთამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ **კევინ სტროოტმანმა ვესლი სნეიდერის** (ინტერელმა წარმოუდგენლად დიდი სამუშაო გასწია და მინდორზე აშკარად საუკეთესი იყო) ფანტასტიკური პასის შემდეგ შეძლო ანგარიშის გახსნა. მეორე ტაიმში მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ ბურთი ცარიელი კარიდან **ერიკ პიტერსმა** გამოიტანა. თამაშს კი წერტილი კონტრშეტევაზე სტუმრებმა დაუსვეს – **ელჯერო ელიას** პასი **ლუკ დე იონგმა** შეირგო და ნაკრებში პირველი გოლი გაიტანა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ბერტ ვან მარვიიკმა შემდეგი განაცხადა: *"თამაში ძალიან კარგად დავიწყეთ. უამრავ მომენტს ვქმნიდით, თუმცა დამამთავრებელ სტადიაში აღარ ვვარგოდით. მომეჩვენა, რომ მეტოქეს ეშინოდა ჩვენი. კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის ნახევარდაცვის თამაშით. კომპლიმენტი ყველაზე მეტად სნეიდერს ეხება. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ასევე სტროოტმანისა და ვან ბომელის დუეტმაც".*

### რუმინეთი-საფრანგეთი 0:0

D ჯგუფის ლიდერმა საფრანგეთმა ბუქარესტში ვერაფერი გააწყო რუმინეთის ნაკრებთან და ახლა უშუალო კონკურენტ ბოსნიას სულ რაღაც ქულით უსწრებს. ბალკანელები **ლორან ბლანის** გუნდს 11 ოქტომბერს საფრანგეთში დაუპირისპირდებიან და "მამლების" უპირატესობაც სწორედ ეს არის. მეტოქეებს პარიზულ მატჩამდე თითო შეხვედრა კიდევ ელით. 7 ოქტომბერს ფრანგები შინ ალბანეთს მიიღებენ, იმავე დღეს ბოსნია ლუქსემბურგს დაუხვდება.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს: გოლის გატანა ორივე გუნდს რამდენჯერმე შეეძლო. პირველად ანგარიშის გახსნა **ბენელა ნიკოლიცეს** საჯარიმოდან შეეძლო, მაგრამ **უგო ლორისი** ბურთს საჭირო ადგილას დახვდა. საჯარიმოთივე შეეძლო გატანა **მატიე ვალბუენას,** მაგრამ მისი დარტყმული ხარიხას ოდნავ გადაცდა. 28-ე წუთზე ისევ ნიკოლიცეს შეეძლო თავის გამოჩენა. მეორე ტაიმის შუაწელს **იოან კაბაიმ** ისარგებლა მცველების შეცდომით და შორიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ **ჩიპრიან ტეტერუშანუმ** ითამაშა კარგად. შემდეგ **ფრანკ რიბერის** შეეძლო მახვილი კუთხიდან გატანა, თუმცა სულ მცირედი დააკლდა. 78-ე წუთზე **ბოგდან სტენკუმ** ვერ დაამუშავა ბურთი. მას ეს რომ გაეკეთებინა, გოლს ულაპარაკოდ გაიტანდა. მოკლედ, სულ ეს იყო. ვერ ვიტყვით, რომ ვისაც შეხვედრისთვის თვალი არ მიუდევნებია, რამე ღირებული დაკარგა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმართა თავკაცმა ბუქარესტის "ნაციონალის" მინდვრის საფრით უკმაყოფილება ვერ დამალა: *"საფარი აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებდა. არა, მესმის, რომ ცუდი მინდორი ორივე გუნდს უშლის ხელს, მაგრამ უფრო იმას, ვინც შეტევებზე მეტს ფიქრობს. ამას გარდა, ვერ მოვიგეთ იმიტომაც, რომ რუმინელთა მთელი ყურადღება დაცვისკენ იყო მიმართული. ცუდად მაინც არ გვითამაშია, დრო და დრო ხელთ უდიდესი უპირატესობა გვეპყრა ხოლმე. სამწუხაროდ, 3 ქულის აღება მაინც ვერ შევძელით".*



ინგლისი-უელსი 1:0

### ინგლისი-უელსი 1:0

ინგლისის ნაკრებს ერთი ნაბიჯის გადადგმაღა სჭირდება მის წინაშე დასახული ამოცანის გადასაჭრელად. ერთადერთი გოლი უელსელებს შეხვედრის 35-ე წუთზე **ეშლი იანგმა** გაუტანა. თუმცა შეხვედრის ბოლომდე მასპინძლებს ანგარიშის შენარჩუნება საკმაოდ გაუჭირდათ. უელსი **ფაბიო კაპელოს** გუნდს საფინალო სასტვენამდე ებრძოდა. მოგებულ შემადგენლობას არ ცვლიანო, ნათქვამია, მაგრამ იტალიელი მაესტრო იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო. **თეო უოლკოტი** ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სკამზეც ვეღარ მოხვდა. მის ნაცვლად ძირითადში **ჯეიმს მილნერი** ვიხილეთ. სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა **სკოტ პარკერმა,** მის ნაცვლად კაპელო **ფრენკ ლემპარდს** დაეყრდნო, თუმცა "ჩელსის" ლიდერი "ტოტენჰემის" ახალწვეულმა 73-ე წუთზე შეცვალა.

ინგლისმა სიტუაციაზე კონტროლი თავიდანვე იგდო ხელთ და ის, რომ 35-ე წუთზე ანგარიში გახსნა, ლოგიკური იყო. მშვენივრად გაათამაშეს ერთმანეთში ბურთი ყოფილმა ასტონვილელებმა **სტიუარტ დაუნინგმა** და **ეშლი იანგმა.** ლივერპულელმა ფლანგზე გაილაღა, **ჯო ლედლი** რამდენჯერმე მოატყუა და ბურთი საჯარიმოში შეაგდო, სადაც მცველებს უკვე მანჩესტერელმა დაასწრო წამით. გათანაბრება ჯერ **გარეთ ბეილს** შეეძლო, ვინც მეკარესთან ერთი ერთზე დარჩა, მაგრამ არბიტრმა უელსელზე რატომღაც თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. შემდეგ კი წარმოუდგენელი მომენტი გააფუჭა **რობერტ ერნშოუმ** - მან **ჯო ჰარტის** კარს დაახლოებით 3-4 მეტრიდან ააცილა. არადა, ხელს ნადვილად არავინ უშლიდა. აი, რა განაცხადა ფაბიო კაპელომ მატჩის შემდეგ: *"რატომღაც "უემბლიზე" გამართულ შეხვედრებში თავდაჯერებულნი არ ვართ. რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი კი, ვისაც შეტევისას ბურთთან კარგად მოპყრობა შეუძლია, ამ თვისებას მოულოდნელად კარგავს. მე მუდამ ვითხოვ, რომ მეტოქის კარის სიახლოვეს სამი ფეხბურთელი იყოს, ახლა კი მომენტებში ერთს ვხედავდი ხოლმე. დღეს ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ მოვექეცით, რადგან კონკრეტული შედეგისთვის უნდა მიგვეღწია. ჩემი შეგირდები მთელი შეხვედრის განმავლობაში სათანადოდ სწრაფად არ მოქმედებდნენ, უშვებდნენ შეცდომებს საკუთარ საჯარიმოსთან, მაგრამ კარგია, რომ ბედმა გაგვიღიმა. განსაკუთრებულად ცუდად ბოლო 15 წუთში ვითამაშეთ, რადგან მეტოქეს ბურთი ვერაფრით წავართვით. ყველაფრის მიუხედავად, გამარჯვებით კმაყოფილი ვარ. ეს ხომ ყველაზე მთავარია".*

გამარჯვებით მოგვრილი სიხარული დიდწილად თამაშამდე მომხდარმა ტრაგედიამ დაჩრდილა. მატჩის საღამოს, ადგილობრივი დროით 19:20 წუთზე სტადიონის სიახლოვეს დაშავებული ადამიანის საშველად სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს. ბუნებრივია, მას ფეხდაფეხ მიჰყვა პოლიციაც. უელსის 44 წლის მკვიდრს თავზე რამდენიმე სერიოზული დაზიანება აღენიშნებოდა, ამას გარდა, სასწრაფო დახმარების ექიმებმა მას გულის შეტევაც დაუდგინეს. დაზარალებული სასწრაფოდ გადაიყვანეს უახლოეს საავადმყოფოში, სადაც ოპერაცია ჩაუტარეს, მაგრამ ქირურგების მცდელობის მიუხედავად, 20:50-ზე ის გარდაიცვალა. ინციდენტი „უემბლისთან" ახლოს მოხდა. გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ინფორმაციის გავრცელებისთანავე სტადიონის დაცვა გაძლიერდა. პოლიციამ ექვსი ეჭვმიტანილის დაკავება მალევე შეძლო. ჩაცმულობიდან გამომდინარე, ისინი უელსის ნაკრების გულშემატკივრები არიან. გამომძიებლები მალევე წარდგნენ ჟურნალისტთა წინაშე და განაცხადეს, რომ დალუპულის ვინაობა დაადგინეს, მაგრამ იქამდე, ვიდრე ოჯახს საქმის კურსში არ ჩააყენებდნენ, ვინაობის დასახელებისგან თავს შეიკავებდნენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი

კალათბურთი. საქართველო-მაკედონია. მატჩის წინ

# მაკედონია მეოთხედფინალისთვის ემზადება, საქართველო – ახალი სიურპრიზისთვის



ამ სტატიის წერა ესპანეთი-გერმანიის მატჩისას დავიწყე და საფრანგეთი-თურქეთის შეხვედრის მსვლელობისას დავასრულე. ეს, პირველ რიგში, საქართველოს ნაკრების დამსახურებაა, რომელმაც ევროპის საუკეთესო 12 გუნდს შორის ასპარეზობის უფლება მოიპოვა და ახალი მიზანი დაისახა - მეოთხედფინალი. საქართველოს ნაკრები ევრობასკეტის მეოთხედფინალში! როგორ ჟღერს? საოცარია, მაგრამ ჩვენს გუნდს მართლაც აქვს შანსი ტოპ-რვაეულში ითამაშოს. შანსს კი გამოყენება უნდა. ბევრი რამ დღეს გადაწყდება - თუ ქართველები მაკედონიას მოუგებენ, მომდევნო ეტაპისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამენ, რადგან შემდეგ ფინეთი ელით და შესაძლებელია, ორი მოგებით მეოთხედფინალში ამოყონ თავი (თითო ჯგუფიდან 4 გუნდი გადის). მაკედონიას კი სხვა გეგმები აქვს:

*- ქართველებთან მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალის საგზურს მოვიპოვებთ. ქართველებს თუ ვერ ვაჯობეთ, შემდეგ რუსეთსა და სლოვენიასთან ურთულესი მატჩები გველის. როგორც ვიცი, ჩვენს წინააღმდეგ ზაზა ფაჩულია არ ითამაშებს, რაც თქვენს შანსებს ამცირებს. თუმცა კარგად ვიცნობ ქართველთა გუნდს და ვიცი, გამარჯვებას იოლად ვერ მივაღწევთ,* - გვითხრა გუშინ მაკედონიის ნაკრებისა და სლოვენიის „ოლიმპიას" ლიდერმა **ვლადო ილიევსკიმ** და იქვე დაამატა, ქართველ კალათბურთელებთან კარგი ურთიერთობები მაქვს, **გიორგი შერმადინთან, მანუჩარ მარკოიშვილთან, ვლადიმერ ბოისასთან...** ვლადიმერი და მე ლიუბლიანაში კარის მეზობლები ვართო.

მაკედონიელები დარბაზში ქართველების შემდეგ შევიდნენ. დერეფანში ბოისა და ილიევსკი ერთმანეთს შეხვდნენ, მოიკითხეს და მუქარის სიტყვებიც გაცვალეს.

*- მაკედონია მოგებას აპირებს, არა? ვნახავთ, როგორ გაიმარჯვებს,* - გვითხრა ბოისამ ილიევსკისთან საუბრის დასრულების შემდეგ, *- მართალია, ისინი ოთხი მოგებით გადმოვიდნენ და კარგი გუნდიც ჰყავთ, მაგრამ მათი ძლევა შესაძლებელია. არ გვეყოლება ზაზა ფაჩულია, რაც ჩვენთვის დიდი დანაკლისია. თუმცა მაკედონიის ნაკრები თამაშს ცენტრზე არ აგებს, უფრო სწრაფ კალათბურთს უჩვენებს. ასე რომ, მატჩს იმედიანად და კარგად მომზადებულები ვხვდებით.*

მოვუსმინოთ მანუჩარ მარკოიშვილს:

*- საქართველოს ნაკრებმა პირველი ჯგუფური ეტაპი გადალახა, რითაც ბევრი გააკვირვა. ნამდვილად არ ვაპირებთ მიღწეულზე შეჩერებას, ვეცდებით საკალათბურთო ევროპას ახალი სიურპრიზი შევთავაზოთ. რაც შეეხება მაკედონიასთან მატჩს, შეცდომა იქნება იმაზე ფიქრი, რა შედეგი მოჰყვება ზაზა ფაჩულიას გარეშე თამაშს, მოედანზე მოსაგებად გავალთ და ყველა ღონეს ვიხმართ წარმატების მისაღწევად.*

**ნიკა ცქიტიშვილიც** ოპტიმისტურადაა განწყობილი:

*- პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ ცოტა დავისვენეთ და შემიძლია ვთქვა, რომ ნაკრები მზადაა საბრძოლველად. თითოეულმა კალათბურთელმა მაქსიმუმი უნდა გავიღოთ და შედეგიც მოვა. მაკედონია უძლეველი მეტოქე ნამდვილად არ არის.*

გუშინვე, ვარჯიშის წინ საშუალება მოგვეცა ზაზა ფაჩულიასთვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გვეკითხა.

*- კუნთი ორ ადგილასაა მცირედით გაწყვეტილი, ამიტომ გუნდს ვერ დავეხმარები. ასეთი ტრავმის მკურნალობისთვის ერთ თვემდეა საჭირო,* - თქვა ზაზამ.

**ვიქტორ სანიკიძე** გამოცდილებას შეეხო:

*- პირველი ეტაპის შემდეგ დიდი გამოცდილება მივიღეთ, საკუთარი ძალისა კიდევ უფრო ვირწმუნეთ და ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ მეორე ტურში შემთხვევით არ გავსულვართ. ამის დასამტკიცებლადაც მზად ვართ.*

ბოლოს საინტერესო ინფორმაციას გაგაცნობთ: გუშინ ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში სხვადასხვა რეისით 300-მდე ქართველი ჩამოვიდა, ერთი ჩარტერი თბილისიდან დღეს დილას გამოფრინდება. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს ქომაგობა არც ვილნიუსში მოაკლდება. ისიც შევიტყვეთ, რომ კლაიპედას მსგავსად, ვილნიუსის ცენტრში დიდი სცენა მოეწყობა, სადაც სუხიშვილების ანსამბლი და ქართული ხმები მთელ ევროპას გააცნობენ ქართულ კულტურას.

კალათბურთი. რა გვაქვს მენიუში? - თევზი

# ლიტვა უკვე ჩემპიონია

*- ლიტვა ჩემპიონია!* - მომიბრუნდა მატიასი, რომელმაც ტელეფონით შეიტყო მისი ქვეყნის წარმატების ამბავი: *- უბრალო ტურნირი როდი იყო, იტალიის ქალაქ ვენეციაში ევროპის პირველობა იმართებოდა, სადაც ყველას ჩვენმა გუნდმა აჯობა.*

მივხვდი, რომ ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატს არ გულისხმობდა, რადგან ეს შეჯიბრება მეორე ფაზაში გუშინ გადავიდა და ლიტვას ჩემპიონობამდე დიდი გზა აქვს გასავლელი. თავის ტეხვას კითხვა ვამჯობინე:

*- სპორტის რომელ სახეობაში გაიმარჯვეთ?*

*- თევზჭერაში, ჩვენმა მებადურებმა გვასახელეს.*

მატიასი მეთევზეა, სამუშაოდან თავისუფალ დღეებში ზღვაზე ან მდინარეზე გადის, როცა დრო აქვს, მეგობრებთან ერთად სათევზაოდ ციმბირშიც მიემგზავრება.

ასეთია კლაიპედელთა უმეტესობა, რაც გასაკვირი სულაც არ არის - ეს ქალაქი ხომ ზღვის პირასაა, გვერდით კი ლიტველივით წელში გამოყვანილი გრძელი კუნძული აქვს, სადაც ევროპაში ცნობილი საზღვაო მუზეუმი, სხვადასხვა ტიპის პლაჟები (თავად მიხვდით, რა ტიპისებზეა ლაპარაკი) და ლამაზი დასახლებებია. ცხადია, ნიდა, სმელტინე და სხვა სოფლები მებადურთა გაშენებულია. თითოეულში მთავარი ადგილი უჭირავს ბადის გასაშლელ ხის კონსტრუქციებს, რომელიც ტანმოვარჯიშის ოთახს მოგაგონებთ.

კუნძულის ბოლო კუთხე რუსეთს ეკუთვნის, კალინინგრადის ოლქია. ლიტველები რუსებზე თავშეკავებულად ლაპარაკობენ, რასაც ვერ ვიტყვით კარმარანებზე:

*- 4-5 წლის წინათ ლიტვაში პირველად გამოჩნდნენ კარმარანები, მუქი ფერის ფრინველები, რომლებიც ჯგუფად დაფრინავენ და ცას აბნელებენ. თუ ბომბებიც გამოუშვეს, ცუდადაა საქმე - მანქანის შუშა თუ დროულად არ გაწმინდე, შავი ლაქა რჩება. ამ ტყეში გამხმარი ხეები რომაა, ერთ დროს კარმარანების საბუდარი იყო. ერთი ფრინველი დღეში კილონახევარ საკვებს ილებს, მებადურები ჩივიან, რომ ზღვაში თევზის შემცირება სწორედ კარმარანების ბრალია. ამიტომ მათზე ნადირობა დაშვებულია.*

სამაგიეროდ ტახის მოკვლაა აკრძალული. ასეთი ამბავიც მოვისმინე: რამდენიმე წლის წინ კუნძულზე გარეული ღორები ჯგუფებად, თანაც გრაფიკით დადიოდნენ. ისინი გზაზე სწორედ მაშინ გამოდიოდნენ, როცა ავტობუსს უნდა გაევლო და გზას მანამ არ უხსნიდნენ, სანამ ხალხი კარგად არ გამოკვებავდა.



კარმარანი (წყალზე) და ვიკინგების გემი

თავიდან გამიკვირდა, ხალხით დასახლებულ პატარა კუნძულზე როგორ შემორჩა გარეული ცხოველები (ირმებიც არიან), მაგრამ ჩვენ ხომ მეთევზეთა კუნძულთან გვაქვს საქმე. კლაიპედელების კვების რაციონში თევზს ისეთივე ადგილი უკავია, როგორიც ატმოსფეროში აზოტს - კატლეტსაც თევზისგან ამზადებენ, ქათმის ხორცსაც თევზის ფილეში ახვევენ...

ჰოდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, ქალაქში ერთი დიდი საავადმყოფო მებადურთა და მეზღვაურთათვის რომ აუშენებიათ.

*- აი, ჩვენი უნივერსიტეტი,* - მიგვითითა გიდმა აგურის შენობათა ლამაზ კრებულზე, *- ეს თავიდან გერმანელებმა ყაზარმებად ააშენეს, შემდეგ რუსი სამხედროები ცხოვრობდნენ. ლიტველებმა სასწავლებლად გადავაკეთეთ. უნივერსიტეტში სხვა დარგებზე არანაკლებ პოპულარულია თევზჭერის ფაკულტეტი. მისთვის სპეციალურად ორი სასწავლო გემი მოქმედებს...*

კომენტარისგან თავის შეკავება ძნელია: ბაკალავრი, ან მაგისტრანტი მეთევზე კიდევ გასაგებია, საინტერესოა, როგორ გამოიყურება აკადემიკოსი მებადური...

ანონსის სახით: ლიტვური შთაბეჭდილებების „მენიუში" შემდეგში ქომაგობის თემა გვექნება.

**ვაჟა სიმონიშვილი**
გზად კლაიპედადან ვილნიუსისკენ

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ეროვნული ბიბლიოთეკა

lariwin.com
the better way to play
მეტი ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია
ონლაინ კაზინო „ლარი[illegible]

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ბესიკ ჭანბაძე ქვინზთაუნიდან

რაგბი. ინტერვიუ რიჩი დიქსონთან




# ისე ვითამაშებთ, რომ ჩვენით იამაყებთ

**ხვალ ახალ ზელანდიაში მსოფლიოს რაგბის უდიდესი ფორუმი დაიწყება. გახსნით მატჩში ერთმანეთს მასპინძლები და მათი მეზობელი ტონგას ნაკრები დაუპირისპირდებიან.**

საქართველოს ეროვნული გუნდი კი ბრძოლაში 14 სექტემბრიდან ჩაერთვება. "ბორჯღალოსნები" ორ თვეზე მეტია, მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის ემზადებიან. ცხადია, რაგბის ქართველი ქომაგისთვის საინტერესოა, რას ფიქრობს მზადების განვლილ ეტაპებზე და რას გეგმავს სამომავლოდ ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი **რიჩი დიქსონი**, რომელიც მაშინ მოვიხელთეთ, როცა ქვინზთაუნში ოქლენდიდან ახალი დაბრუნებული იყო.

- როგორ მოვემზადეთ, ეს თამაშისას გამოჩნდება. თუმცა, მოკლედ მაინც შემიძლია მოგითხროთ მზადების განვლილი ეტაპების შესახებ. პირველი საწვრთნელი შეკრება თბილისში გავიარეთ. იქ ორი კვირის განმავლობაში ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვზრუნავდით. მორაგბეებს ტესტები ჩავაბარებინეთ, ძირითადად სისწრაფესა და გამძლეობაზე.

მერე, საფრანგეთში, კანში გავემგზავრეთ. იქ ერთი კვირა ისევ ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ, ამის შემდეგ კი ბურთით ვარჯიშზე გადავედით. მზადების მომდევნო ეტაპი ქალაქ ისუარში გავიარეთ. იქ ორი საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ.

**- რა დაგანახათ იმ ორმა თამაშმა?**

- ჩვენ ამ ეტაპზე საწვრთნელი შეხვედრის შედეგებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდით. საკმაოდ დიდმა დატვირთვებმა გუნდის თამაშზე, ცხადია, გავლენა იქონია, მაგრამ ჩვენ გრძელვადიანი მიზანი გვქონდა, მთავარი იყო, მორაგბეები საქმეში გვენახა და ძირითადი შემადგენლობის კრიტერიუმები განგვესაზღვრა.

ამ ორი თამაშისგან სარგებელი ის მივიღეთ, რომ ნაკრების ყველა წევრს მიეცა საშუალება თავისი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ წარმოეჩინა, რის შედეგადაც მწვრთნელებმა შევძელით მომავალი საქმიანობის დაგეგმვა.

**- ისუარის შემდეგ ისევ კანში დაბრუნდით. ბიჭები შვებულებაში გაუშვით...**

- დიახ, ეს აუცილებელი იყო. მათ ბევრი იშრომეს და ცოტა დასვენება, სულის მოთქმა სჭირდებოდათ. მერე ერთი კვირა ისევ კანში, უფრო ინტენსიურად ვიმუშავეთ. ვფიქრობ, ძალიან კარგი გუნდი შევქმენით, ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ.

**- ინვერქარგილში პირველ თამაშამდე დრო საკმაოდაა, როგორია საქართველოს ნაკრების მზადების გრაფიკი?**

- საკმაოდ მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, ბიჭებმა ჩამოსვლის დღესვე მსუბუქად ივარჯიშეს ძალოსნობის დარბაზში. მეორე დღე განტვირთვის იყო. მაორებმა სახალისო წარმოდგენა გაგვიმართეს. საღამოს ისევ სიმძიმეების აზიდვაში ვივარჯიშეთ.

დღეს კი გუნდი პირველად შევიდა მინდორზე და საკმაოდ ნაყოფიერი, კარგი ვარჯიში გამოვიდა.

**- ვარჯიშისას ვერსად განხეთ...**

- ნაკრების მენეჯერთან, ვასილ აბაშიძესთან ერთად ოქლენდში, მწვრთნელებისა და მენეჯერების სავალდებულო შეხვედრაზე ვიყავი. ყველა გუნდის მთავარი მწვრთნელი შეიკრიბა და მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელმა პედი ობრაიანმა მსოფლიოს თასის მომსახურე ათ მთავარ მსაჯთან შეგვახვედრა. მან მოხსენება წაიკითხა, სადაც განმარტებული იყო, არბიტრები რას მიაქცევდნენ ძირითადად ყურადღებას.

**- არგენტინის ნაკრებმა სასტარტო შემადგენლობა გუშინ დაასახელა, დღეს მათ ახალზელანდიელებმაც მიჰბაძეს. ჩვენ როდის გვეცოდინება საქართველოს ნაკრების იმ მორაგბეთა ვინაობა, ვინც შოტლანდიის ნაკრებთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს?**

- ჯერჯერობით საბოლოოდ ჩამოყალიბებულნი არ ვართ. ხვალ ვარჯიშის წინ მწვრთნელები შევიკრიბებით და მოვითათბირებთ. შემადგენლობასაც, ალბათ, იმავე დღეს გამოვაცხადებთ, ოღონდ ერთი შენიშვნით. ის საბოლოო არ იქნება და მატჩამდე შეიძლება შეიცვალოს.

**- რას ელოდებით თქვენ მსოფლიოს თასის ამ გათამაშებისგან და რას უნდა ელოდონ რაგბის ქართველი ქომაგები?**

- ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ პროგრესი განვიცადეთ. ქომაგებს კი გარწმუნებთ, რომ საქართველოს ნაკრები ისე ითამაშებს, მისით აუცილებლად იამაყებთ.

**- ჩვენ საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავს ჯგუფში. პირველი თამაში ელიტური რაგბის წარმომადგენელ შოტლანდიის ნაკრებთან გვაქვს. წარმატებით თამაში ძალიან გაგვიჭირდება...**

- ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. ხვალ მსოფლიოს თასის პირველი მატჩია. დავაკვირდებით, ნამდვილად ასრულებენ თუ არა მსაჯები ინსტრუქციას. ზეგ კი ჩვენი ოთხივე მეტოქე თამაშობს. ცხადია, ამ მატჩებსაც ყურადღებით ვნახავთ.

ჩვენი ორიენტირი ამ ეტაპზე შოტლანდიის ნაკრებია. მათ რუმინელებთან მატჩის შემდეგ მალევე უწევთ ჩვენთან თამაში. ჩვენ კი ამ დროს წყნარად მოვემზადებით მათთან საპაექროდ. ვნახოთ, რა გამოვა.

ამის მერე კი უკვე მომდევნო მეტოქეზე, ინგლისის ნაკრებზე დავიწყებთ ფიქრს. "სკოტებთან" მატჩის შედეგს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. დასკვნებს და შესაბამის ცვლილებებს, სწორედ ამ შეხვედრის შედეგიდან გამომდინარე გავაკეთებთ.

რაგბი. საქართველოს ნაკრები

# ბორჯღალოსნებმა ქვინზთაუნში პირველად ივარჯიშეს

საზეიმო დახვედრებისა და მილებების შემდეგ, საქართველოს ნაკრები საწვრთნელ პროცესს დაუბრუნდა. "ბორჯღალოსნებმა" "რეკრეაციული პარკის" სარაგბო ბაზაზე პირველი ვარჯიში გამართეს. არსად ჩანდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რიჩი დიქსონი**, რომელიც მენეჯერთან, **ვასილ აბაშიძესთან** ერთად ოქლენდში იმყოფებოდა.

სარაგბო ბაზა, რომელზეც საქართველოს ნაკრები ქვინზთაუნში ყოფნისას ივარჯიშებს, ზედ "საკი ლაინის" მისადგომებთან მდებარეობს და ისეთივე თვალწარმტაცი მიდამო აკრავს, როგორიც თავად ეს ქალაქია.

"ბორჯღალოსნებმა", როგორც წესია, ვარჯიში მსუბუქი მოთელვით დაიწყეს. მწვრთნელებმა **დონ კასკიმ, გარეთ ადამსონმა** და **ილია მაისურაძემ** გუნდი ორად გაყვეს. ერთ თხუთმეტეულს შავი მოსაცმელები მოარგეს, მეორე კი, რომელიც, სავარაუდოდ, პირველ მატჩში სათადარიგო იქნება, წითელ სავარჯიშო მაისურებში დატოვეს.

თუ ამ ვარჯიშის მიხედვით ვიმსჯელებთ, 14 სექტემბერს შოტლანდიის ნაკრებთან თამაშს ასეთი შემადგენლობით დავიწყებთ:

**15. რეზო გიგაური, 14. ალექსანდრე თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე.**

**1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ვახტანგ მაისურაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმა ბასილაია.**

"შავების" და "წითლების" შერკინებამ ცალ-ცალკე დერეფანში ბურთის აგდებაში ივარჯიშა. ამ დროს, ამავე ფერის უკანახაზელები, ასევე ცალ-ცალკე ცდილობდნენ სწრაფად ხელდახელ ბურთაობას.

მერე ორივე ნაწილი, ანუ მორკინლები და უკანახაზელები გაერთიანდნენ და წინააღმდეგობის გარეშე შეტევის ორგანიზებას ცდილობდნენ. აღსანიშნავია, რომ გუნდი წინასწარ არჩეული მიმართულებით, მაქსიმალურად დიდი რაოდენობის მორაგბეებით უტევს. ამით მეტოქეზე რიცხობრივი უპირატესობა მიიღწევა, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საპირისპირო ფლანგი დაუცველი ხდება.

ამის შემდეგ გუნდი ისევ უკანახაზად და შერკინებად დაიყო. უკანახაზელებმა, ფეხით დაკიდებული მაღალი ბურთის დაჭერაზე ივარჯიშეს, მორკინალებმა კი მეტოქის ლელოდან 10 მეტრში აუტის მონოდების შემდეგ მოლის აგორება დაამუშავეს. ამას მოჰყვა მოლის ჩაქცევის შემთხვევაში შეტევის ეგრეთ წოდებული პიკ ენდ გოუთი (აილე მიეძალე) გაგრძელება. "ბორჯღალოსნებს" აქ იერიშის დასრულების რამდენიმე კომბინაცია აქვთ.

ამ ვარჯიშისას ფეხი დაიშავა შერკინების პირველხაზელმა **ვასილ კაკოვინმა**, თუმცა სერიოზული არაფერია, ის საღამოს გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს.

აღსანიშნავია, რომ გუნდთან ერთად იმყოფებოდნენ და ვარჯიშობდნენ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** და ვეტერანი მორაგბე, მომღერალი **გივი ჭიჭინაძე**.

**გივი ჭიჭინაძე:**

*"ორი დღეა, მსოფლიოს რაგბის მექაში, ახალ ზელანდიაში ვიმყოფებით. როგორც კი ამ მიწაზე ფეხი დავადგით, მაშინვე ვიგრძენით, რომ ეს ქვეყანა რაგბით, მსოფლიოს თასის გათამაშების მოლოდინით ცხოვრობს. ჩვენც ჩავერთეთ ამ ფერხულში.*

*გუნდთან ერთად ულამაზეს ქალაქში, ქვინზთაუნში ვცხოვრობთ და მომავალი ბატალიებისთვის ვემზადებით. იმედი მაქვს, რომ ბიჭები წარმატებით იასპარეზებენ და ქვეყანას, თითოეულ ჩვენგანს გაახარებენ.*

*ვარჯიშის დასრულების შემდეგ მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. კარგი, ნაყოფიერი ვარჯიში გამოგვივიდაო. ერთი სიტყვით, გუნდს პროგრესი აქვს სისწრაფეში ხელდახელ ბურთაობაში. ფაქტობრივად, მთელმა ვარჯიშმა ისე ჩაიარა, რომ შეტევისას ბურთი ხელიდან არავის გავარდნია. ახალი კომბინაციებიც თითქმის სრულყოფილადაა დამუშავებული და მორაგბეები ფიზიკურად ძალიან კარგად არიან მომზადებულნი და საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებიან".*

**ლექსო გუგავა**, გარემარბი:

*"ყველანი მაქსიმალურად მობილიზებულნი ვიყავით, ძალიან კარგი ვარჯიში გამოგვივიდა, ალბათ ყველაზე საუკეთესო იყო მას შემდეგ, რაც საწვრთნელი შეკრება დაგვეწყო. გუნდს უკვე ეტყობა, რომ საბრძოლველად მზად არის. სხვა დანარჩენი 14 სექტემბერს შოტლანდიასთან თამაშში გამოჩნდება."*

| მსოფლიოს თასი |
|---|
| 14 სექტემბერი |
| საქართველო-შოტლანდია |
| 18 სექტემბერი |
| საქართველო-ინგლისი |
| 28 სექტემბერი |
| საქართველო-რუმინეთი |
| 2 ოქტომბერი |
| საქართველო-არგენტინა |

ავტორის ფოტოები



როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

msy.gov.ge

ძიუდო. ილიას ილიადისი



# ჯარჯი ზვიადაურიდან ილიას ილიადისობამდე

## გაბერძნებული ქართველი ოლიმპიადაზე ფიქრით თავს არ იტკიებს

პარიზში, მსოფლიოს პირველობის ფინალში შეხვედრის მიწურულს, გაბერძნებულმა ქართველმა ძიუდოისტმა **ილიას ილიადისმა (90; ჯარჯი ზვიადაური)** იაპონელ **დაიკი ნიშიამას** დრო უხელთა და უნაკლო მოგვერდით ისეთ იპონზე დაანარცხა, პირთამდე სავსე „ბერსის“ საჭიდაო დარბაზი ოვაციისგან კინაღამ ჩამოინგრა. ჯარჯი-ილიასმა სიხარული კი გამოხატა, მაგრამ არც მეტოქე დავიწყებია, ჩვეულებისამებრ მასთანაც მივიდა და ხელი აუწია, თუმცა ატირებულ ნიშიამას მისი დიდსულოვანი ჟესტისთვის ნამდვილად არ ეცალა - ზედიზედ მეორედ წააგო მსოფლიოს ფინალი ილიადისთან და გასაგებია, რა გუნებაზეც იქნებოდა. თუმცა იმ წუთებში დარბაზს მისთვის არ ეცალა და მხურვალე ოვაციას არ ანელებდა. არც ფრანგებს გაემტყუნებოდათ - ისინი ხომ მსოფლიოს ძიუდოს ახალ ლეგენდას ესალმებოდნენ. ილიადისმა უკვე ყველა დიდი ტურნირი მოიგო და ახლა მეორე წრეზე წავიდა - პარიზული გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატებზე მისი ზედიზედ მეორე ზეობა იყო. წლეულს სულაც დუბლი შეასრულა - აპრილში ევროპის ჩემპიონიც გახდა, რაც ასევე მეორე ოქროა კონტინენტურ ასპარეზზე. ახლა ოლიმპიადის მეორედ მოგება დარჩა, თუმცა ის იმდენად იოლად და დამაჯერებლად იმარჯვებს ყველგან, ეს ამბავიც დროის საკითხი გვგონია. ილიადისის უპირატესობა იმდენად აშკარაა ყველა შეჯიბრებაზე, თითქოს მისთვის მოუგებელი ტურნირი არ არსებობს და წლიდან წლამდე მართლაც იშვიათად თუ დამარცხდება. ის ჯერ 24 წლისაა და წინ კიდევ არაერთი სეზონი ელოდება. მით უფრო, არც შრომა ეზარება.

ილიადისის პარიზულ ტრიუმფს ქართულ ინტერნეტფორუმებზეც საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა: ილიადისი უკვე იმ დონის სპორტსმენია, რომელიც ყველგან უყვართ და ყველა ქვეყანაში ტაშს უკრავენო, წერდნენ ძიუდოს აქაური ქომაგები. „ბერსის“ დარბაზი ამის სრული დასტური იყო, ასე კი მხოლოდ ლეგენდებს ექცევიან.

უზომო პოპულარობისა და სახალხო პატივისცემის გარდა, წარმატებებმა ილიადის-ზვიადაური მილიონერადაც აქცია, თუმცა ამას პიროვნულად არ შეუცვლია - ისევ ისეთივე ხალისიანი და ხუმარაა, სულ ხუმრობის და სიცილის ხასიათზეა, არც წაგებული მეტოქის დამშვიდება ავიწყდება და ან ხელს აუწევს იმის ნიშნად, შენც მაგარი მოწინააღმდეგე იყავიო, ან რაღაც სხვა ფორმით ანუგეშებს, ირგვლივაც ისევ ისე აფრქვევს დადებით აურას და იხვეჭს სიმპათიებს. მედლებს არც მისი პროფესიონალიზმი გაუნელებია - კვლავაც ძველებური შემართებით ვარჯიშობს და საკუთარ თავს არანაირ შეღავათს არ აძლევს. მან მზადების რაღაც განსხვავებული სტილიც კი გამოიმუშავა და ეს მომქანცველი პროცესი სახალისო გასართობად აქცია - ხუმრობა, იუმორი და სიცილი არც ამ დროს ეკარგება სადმე. ალბათ, ამიტომაც არ იღლება ვარჯიშით და არც ბეზრდება ბევრისგან განსხვავებით.

ცხადია, ილიადისი ახლა მსოფლიოს მედიის ყურადღების ცენტრშია და ისიც არ აწბილებს ჟურნალისტებს. ამ დღეებში მასთან ინტერვიუ აზერბაიჯანულ საიტებზე გამოჩნდა, საიდანაც საინტერესო ამონარიდებს შემოგთავაზებთ. კითხვაზე, როგორ გრძნობდა თავს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის რანგში, მან ასე უპასუხა: *„ეს ისეთი გრძნობაა, რომლის გადმოსაცემადაც სიტყვები უძლურია. მხოლოდ ერთი შემიძლია ვთქვა - მე ბედნიერი ვარ“.* იქვე ჯარჯი-ილიასმა ოჯახში მოსალოდნელ სასიხარულო ცვლილებაზეც გააკეთა აქცენტი, რაც თურმე მისთვის დამატებითი სტიმული ყოფილა: *„ახლა ჩემი მეუღლე ისეთ მდგომარეობაშია, ოჯახში მორიგ მატებას ველოდებით. ამან დამატებითი ძალები მომცა და შთამაგონა პარიზში გამოსვლისას. ახლა მზად ვარ, ოქტომბერში ისევ გავხდე მამა“.* როცა დარწმუნებული ხარ საკუთარ ძალებში, წარმატება აუცილებლად მოვა, ოღონდ უნდა იბრძოლო ამისთვისო, დასძინა მან. ილიადისმა დაიკი ნიშიამასთან ზედიზედ ორგზის წარმატების საიდუმლოზეც ილაპარაკა და ეს ასე ახსნა: *„აზიელებთან ჭიდაობისას დაუშვებელია, ინიციატივა მათ დაუთმო და საშუალება მისცე, თავისი ჭიდაობა მოგახვიონ თავს. ნიშიამასთან ორივეჯერ ზედა ჩავლებას ვიღებდი, თუმცა ის, ულაპარაკოდ, ტალანტი სპორტსმენია“.*

ხსენებულ ინტერვიუში ყველაზე საინტერესოდ მაინც ის ადგილი მომეჩვენა, სადაც ილიადისი იმ შემართების მიზეზებზე ლაპარაკობს, რასაც ტურნირიდან ტურნირამდე, ტიტულიდან ტიტულამდე ავლენს. ვარჯიშები რომ არ ეზარება, ზევითაც გითხარით. არადა, წარმატებას ყოველთვის თან სდევს დაღმავალი პერიოდი. თუმცა, ეტყობა, ყოველთვის არა, რადგან ილიადისის კარიერაში მსგავსი არაფერი ყოფილა. აქ იყო ჩავარდნები, საკმაოდ ხანგრძლივიც, თუმცა ეს წელის ტრავმამ გამოიწვია, მწვერვალზე ასვლით გამოწვეული მოდუნება, ფსიქოლოგიური დაღმასვლა კი მას არ ჰქონია. როგორც ირკვევა, ასეთი შემართების მიზეზი ის გამოწვევაა, რასაც ტიტულის დაცვა ჰქვია. *„არსებობს გამოთქმა, ტიტულის მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე - მისი დაცვაო. როცა მოიპოვებ ტიტულს, მერე იწყება მთავარი გამოცდა, რადგან მეტოქეები შენს წინააღმდეგ სულ სხვა განწყობით გამოდიან - ყველას უნდა, მსოფლიოს ჩემპიონს მოუგოს. ასეა ახლაც, ჩემს შემთხვევაშიც“* - თქვა ილიადისმა და იცავს კიდეც მთელი მონდომებით მონაპოვარ სახელსა და ავტორიტეტს. ვარჯიშობს ლაღად, თავისუფლად, ძალდაუტანებლად, მერე გადის ტატამზე და ასევე ჭიდაობს, რითაც თვითონაც იღებს სიამოვნებას და ქომაგსაც ახარებს. ასე თამაშ-თამაშ და სიცილ-სიცილით მიიწევს ოლიმპიადისკენ, თუმცა თავს არ იტვირთავს იმაზე ფიქრით, მოვიგებ თუ არა იქო. *„ამ წუთებში ოლიმპიადაზე არ ვფიქრობ. არ მინდა, თავი გადავიღალო ამაზე ფიქრით. ღმერთმა ქნას, ჯანმრთელობა იყოს და ყველაფერი კვლავაც ნორმალურად იქნება“* - ამბობს ილიადის-ზვიადაური.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავგადასავლები

# ვეტერანი ფალავანი ძიუდოში, ჯემალ ნათელაშვილი

**ბატონ ჯემალს, როგორც მოჭიდავეს და მწვრთნელს, დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ძიუდოს განვითარების საქმეში. თავის დროზე იგი სსრკ და საქართველოს ნაკრებში ღვაწლმოსილ მოჭიდავეებთან, მარტყოფლიშვილთან, კიკნაძესთან, ქიბროწაშვილთან, ონაშვილთან და სხვებთან ერთად გამოდიოდა. დანარჩენზე კი ქვემოთ მოგახსენებთ.**

### რა მიშველი

„ჭიდაობას რა უნდა და ფეხის გამოკვრა უნდაო“ - არსებობს ასეთი გამოთქმა, რასაც მხოლოდ ისეთები დაიჯერებენ, რომლებსაც ის გამოთქმაც სჯერა: „ღვინოს რა უნდა, დაასხი-დალიე“...

არც მასეა საქმე. ჭიდაობა ძალიან შრომატევადი სპორტია. ყველაზე ძნელი კი მოჭიდავესთვის წონის რეგულირებაა.

ერთი ამბავს მოგახსენებთ, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა.

უცხოეთში ვართ ტურნეში. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ადგილზე რომ ჩავედით და ავიწონე - 2-3 კგ-ით მეტი აღმოვჩნდი.

სსრკ ნაკრებს მაშინ ძალიან სასტიკი, რუსი მთავარი მწვრთნელი ხელმძღვანელობდა.

- ბიჩო - მომმართა მკაცრად - შეჯიბრებამდე ორი დღეა. აუცილებლად უნდა დააგდო ზედმეტი წონაო.

დაიწყო ჩემი კოშმარული საათები... წუთები... წამები... ასეთ დროს წუთი საათს უდრის, საათი-დღეს. ჭამა - არა. დალევა (სითხე) - აპაპაპა... უნდა ირბინო და იმარტვილო.

სასტუმროს ნომერში ვარ. მწყურია და წყალსაც ვერ ვსვამ ჩემს გემოზე. მშია და თხლად დაჭრილი ორადორი პურის ნაჭერი უნდა ვიმყოფინო „სუტკაში“. როგორი საქმეა?! ამ ტანჯვა-წამებაში ვარ და მივეძალე წიგნის კითხვას. ბედი არ გინდა? ჰემინგუეის ნაწარმოებია, სადაც სულ ჭამაზე და ნადირობაზე წერია. უფრო და უფრო გამიღიზიანდა მადა. გამწარებულმა წიგნი საგულდაგულოდ გადავმალე (ჩემს თავს გადავუმალე). მერე გამახსენდა, რომ თავს ვიტყუებ. ჩავრთე ტელევიზორი. ფილმი გადის - მონადირეებმა შველი მოინადირეს, გაატყავეს და შამფურების გათლა რომ დაიწყეს, ველარ გავუძელი. მივლასლასდი ტელევიზორთან და ტკაცუნით გადავრთე სხვა არხზე. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა - ეკრანზე გამოჩნდა ლომი, რომელმაც ანტილოპა დაიჭირა. იქვე გამოლადრა ყელი და მიადგა გემრიელად... ახლა მართლაც ოოო!!! სხვა არხი არ მუშაობდა, ისევ მივლასლასდი და პირველ არხზე გადმოვრთე, რაც არ უნდა იყოს იქ შვლის მწვადებია, თან უმი არა...

აგიხდეთ ყველაფერი კარგი. ამათ უკვე შამფურებიც გაუთლიათ. მწვადებიც აუგიათ და ატრიალებენ ნაკვერჩხალზე. იქაურობას ნაზი, მონაცრისფრო კვამლი ასდის... ღმერთო ნუ გადამრევ! - აშკარად ვიგრძენი მწვადის სუნი.

ამ ამბავში ვარ და ნომერში ჩემი თანაგუნდელი შემოვიდა.

- თუ ძმა ხარ - ვეუბნები - შენ ახლა მწვადის სუნს გრძნობ?

- რა სუნი კაცო, რის სუნი... სადღაც მწვადს წვავენ, ტყეში, აქ სუნი როგორ მოაღწევს?

ტელევიზორს დავყნოსე. არა... ეკრანს არანაირი სუნი არ აქვს. ისევ დავშორდი.

- აბა, ჭკუიდან ვიშლები კაცო? - საწყლად შევხედე თანაგუნდელს.

- რა ვიცი მე - საჩვენებელი თითი დაიტრიალა საფეთქელთან - გარეკე შე საწყალო?

სუნი აშკარად გაძლიერდა... მადისაღმძვრელი და დაუნდობელი.

- მოიცა... მგონი მართლაც გამოდის ბიჭო სუნი ეკრანიდან - დამეთანხმა მოულოდნელად - ვაიმე! მგონი მეც გავრეკე, ხო იცი! არ მომეკარო, სიგიჟე გადამდებია!

ახლა უკვე ორივენი მადიანად ვისრუტავთ მწვადის მიმზნედავ არომატს.

თურმე, პირველ სართულზე, სასადილოში დარდიმანდ მოჭიდავეებს სამწვადე მოუტანიათ და ადგილობრივი მზარეულისთვის უთხოვიათ - შეგვიწვიო. იქნებოდა სუნი, აბა, რა იქნებოდა?

- სრულ ჭკუაზე ვარ! - ვაშაა! - გადავეხვიე გაოგნებულ თანაგუნდელს.

### იკრა - ანუ - ხიზილალა

1960-იანი წელია. ისევ ტურნეში ვართ შვეიცარიაში. მოგეხსენებათ, საბჭოთა წყობილების პერიოდში (თუმცა ახლაც ასეა მგონი) „პაეზდკის“ დროს ძალიან ცოტა ფულს გვიხურდავებდნენ. უბრალოდ, ქუჩაში „ბუტერბროდი“ და ერთი ჭიქა წვენი რომ გვეყიდა, დაახლოებით იმდენს. ამიტომაც ნაცნობ ხერხს მივმართეთ, და „სუვენირები“ მოვიმარაგეთ, რომ უცხოეთში გაგვეყიდა ან გადაგვეცვალა. ეს ფრიად აპრობირებული მეთოდი გახლდათ და ამას სსრკ-ს ყველა „პაეზდკოსანი“ გარანტირებულად მიიჩნევდა.

მოკლედ, ზოგმა რა შევიძინეთ, ზოგმა რა. ჩემმა თანაგუნდელმა ფ.მ-მ ოცი ცალი საშუალო ზომის „იკრის“ კონსერვი წამოიღო და ის ამბავიც, რაც უნდა გიამბოთ, ზუსტად აქედან დაიწყო.

ლოზანაში შესანიშნავი სასტუმრო დაგვახვედრეს. დავბინავდით ყველანი ჩვენ-ჩვენს ნომრებში. „იკრიანი“ „ფ.მ.“ ჩემს ნომერში მოხვდა. ცუდი ის გახლდათ, რომ ნომერში მაცივარი არ იდგა და ეს კონსერვები კარგა ერთი კვირა ჩემოდანში ეწყო. მოგეხსენებათ, ნებისმიერ კონსერვს თავისი ტემპერატურა სჭირდება და ეს ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ.

შემოგვაკლდა „ჯიბის ფული“.

კითხვა-კითხვით და თვალის პაჭუნით გაგვაცნეს იქაური რესტორნის მეპატრონე ბერძენი, რომელმაც „ოპტომ“, მთლიანად შეიძინა ჩვენი 20 კოლოფი „იკრა“ და გვარიანი თანხაც გადაგვიხადა.

- რა სჯობს ქეიფსა და ლხენას! - შესძახა ისედაც მოქეიფე „ფ“-მ და გვარიანადაც (დასვენების დღე გვქონდა) გაშალა ხელი. გემოზე ვისადილეთ, ზომიერად, მაგრამ რამდენიმე სახის სასმელიც დავაჭაშნიკეთ და გვარიანად კარგ ხასიათზე დავბრუნდით სასტუმროში.

მესამე დღეა და ქაქანით მოვარდა ჩვენი შუამავალი, „ტავარი“ რომ გაგვაყიდინა:

- კაცო, ეს რა მიყავით, ყველა კოლოფი გაფუჭებული აღმოჩნდაო.

ვაი ჩვენს დღეებს!!! უფროსობამ ეს ამბავი რომ გაიგოს, ხომ „პაზორ ნა ვეს სსრკ“, ამას თავი დავანებოთ და რით გინდა გადაუხადო? ფული უკვე დავხარჯეთ.

... არ ვიცი, რომაელებმა მოიგონეს ეს წესი, თუ - გერმანელებმა - გუნდში ერთი კაცის შეცდომისთვის მთელი შემადგენლობა ისჯებოდა-ხოლმე. აქაც თითქმის ასე განმეორდა, ოღონდ სულ სხვა წესით.

- რა ვქნათ ახლა?! - მეკითხება „იკრის“ ყოფილი პატრონი - რით გავისტუმროთ ეს ვალი? თანაც ისე, რომ მწვრთნელმა არ გაიგოს?!

სხვა გზა არ იყო და დავიწყეთ თანაგუნდელებთან - „დარი-დური“ (ასე მეტროში ამბობდნენ ადრე, ფულს და შეწევნას რომ სთხოვდნენ მგზავრებს). ზოგს სუვენირად წამოღებული კონიაკი „ვარციხე“ გამოვართვით. ზოგს ქართული „ჭაჭა“, ზოგს რა, ზოგს რა და ძლივს გავისტუმრეთ ის გადარეული ბერძენი. მართალია, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ იმის შემდეგ ვირწმუნე კ/ფ „სამი მუშკეტერიდან“ წამოსული ფრაზა: „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“.

### ნაზურად ნაქცევი სადღეგრძელო

ის წლებია (გასული საუკუნის), როდესაც ჩვენი „დინამო“ თაობების ცვლას განიცდიდა და გუნდი საკმაოდ სუსტად თამაშობდა. მოკლედ, ჩვენი „დინამო“ იმ დღეს შუა აზიის რომელიღაც გუნდს ხვდებოდა - სტუმრად.

დილაადრიანად დამირეკა მეგობარმა მოჭიდავემ:



- ჯემალ, - ჩემთან მოდი და აქ ვუყუროთ ჩვენი ფეხბურთელების მატჩს, თან პატარა პურიც ვჭამოთო.

ერთი-ორი ჩვენი კოლეგაც დაუპატიჟებია მასპინძელს. შემოვუსხედით სუფრას, გაიშალა პურმარილი.

ჩავრთეთ ტელევიზორი და მატჩიც დაიწყო.

- ქალები და ბავშვები გარეთ! - დააქუხა მასპინძელმა და დაორთქლილი (ზაფხულია) ოცლიტრიანი (!) „რქაწითელით“ სავსე ბოცა მოიდგა გვერდით.

- ე, ეს დავცალოთ (ხუთნი ვარ!) და მეტი არც მომთხოვოთ, მაინც არ მაქვს, საგულდაგულოდ ამ მატჩისთვის ვინახავდიო - გამოაცხადა და თამადობაც, ცხადია, თვითონ იკისრა.

მატჩიც დაიწყო და თეფშებზე დანაჩანგლის წკრიალიც. თამადა ღვინის დასხმას არ ჩქარობს. ერთი, ორი ჩაის ჭიქის ტევადობის თასი შემოდგა მაგიდაზე და გამოაცხადა:

- ამ თასს დავცლით მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენები მოწინააღმდეგის კარში ბურთს შეაგდებენ, მანამდე ხმა არ გავიგონო.

- თამადა სკაზალ, - ბოგ სკაზალ! - ვთქვით და ეკრანს მივაშტერდით.

მოწინააღმდეგე გუნდი ჩვენსავით უნიათოდ თამაშობს. დალასლასებენ საცოდავად. ბურთი გაიტანონ კი არა, ჩრდილს ეძებენ - სად წამოწვნენ. რა თქმა უნდა, ბურთის გამტანი არც ერთი მხარე არ ჩანს. დასდევენ ერთმანეთს ბოჩოლებივით.

გაგვიშრა ყელი. ჭამით კი ვჭამთ, მაგრამ... წვრილი ჭიქით მხოლოდ წყალს ვაყოლებთ.

პირველი ტაიმი თავდება, დასასრულისკენ მიდის და... არაფერი.

- ე, თუ ძმა ხარ, დავლიოთ ერთი თასი, იქნებ ეშველოთ რამე! - ამოიძახა ერთმა ჩვენგანმა.

- არრრა! ნათქვამია! როცა გოლს გაიტანენ - მაშინ! - შეუვალია თამადა.

ამასობაში პირველი ტაიმი დამთავრდა. რა თქმა უნდა, უშედეგოდ. დაიწყო მეორე ტაიმი და ისევ ისეთი სურათია.

- ე ბიჭო, გაგვიხმა ყელი, დავლიოთ რა! - შეეხვეწა მეორე მოჭიდავე თამადას.

იმანაც... იგუმანა რაღაც, მაგრამ სტუმართმოყვარეობას ისევ სპორტმა აჯობა:

- კარგი - წავიდა დათმობაზე - როცა მსაჯი კუთხურს მოგვცემს - მაშინ დავლიოთ.

- ამათი საშველი არ იქნება - ისევ პირველი გააქტიურდა - კაცო, მშობლების სადღეგრძელო მაინც დავლიოთ მაგ თასით.

- არა! - ბალელშიკობა - ბალელშიკობაა!!! ხო, კარგი - ისევ წავიდა დათმობაზე - ჯანდაბას, მსაჯი ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმას რომ დანიშნავს, ე, მაშინ „ვაჯახოთ“.

რა ჯარიმა, რის ჯარიმა... მოქიშპე ფეხბურთელები ბურთს ზიზღით უყურებენ და ერთი სული აქვთ, თამაში როდის მივა საფინალო სასტვენამდე. მოულოდნელად ერთი ჩვენი ფეხბურთელი - ჩვენდა გასახარად (კაცმა არ იცის, რატომ) გააქტიურდა, ბურთი მოიგდო ფეხებში (სამი ოთხი ნაბიჯი ატარა, მერე ბურთი ფეხებში გაებლანდა თვითონ - ხელს არავინ უშლიდა - და დინამიტდაკრული თევზივით ატრიალდა გულაღმა.

- ჯარიმა! - გაგვეხარდა ჩვენ - ე, დავლიოთ ახლა! - გახმა ყელი რააა!!!

- არ გამოვა! - წყალი გადაგვასხა თამადამ.

- რატომ კაცო, რატომ! - სულ გავგიჟდით.

- ჯერ ერთი, თავისი ინიციატივით წაიქცა, თან მსაჯს არ „დოუშტვენია“...

დასასრული ყველაფერს აქვს და მატჩიც დასრულდა. რა თქმა უნდა - უშედეგოდ.

დამწუხრებულები ვუყურებთ ერთმანეთს.

- რა ყურები ჩამოგიყრიათ კაცო! - მოულოდნელად დაიქუხა თამადამ. ის საოცნებო თასი ღაწაღუწით შეავსო, ხელში აიღო, მაღლა შემართა და საქართველოში, ქეიფის დაწყების უჩვეულო სადღეგრძელო წარმოთქვა:

- ეეეჰ... მაგათი („დინამო“ იგულისხმა) ხსოვნისა იყოს! - ეეჰ!

ქეიფი დაიწყო. თასი ხელიდან ხელში გადადიოდა. ოღონდ - ღვინის...

**P.S.** მას შემდეგ კარგა 25-30 წელი გავიდა და ასეთი სადღეგრძელო თუ დღესაც საჭირო გახდებოდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი!

**მურმან მერკვილიშვილი**

## ქართული სპორტი

### ვალერი რატიანი



მოულოდნელად გამოგვეცალა ჩვენი სამეგობროს ნამდვილი მშვენება, ღიმილით და თავმდაბლობით გამორჩეული კაცი - ვალერი რატიანი. ვერასდროს გავიგებთ მის ალერსიან ხმას, მოგვაკლდება მისი ალალი ღიმილი, ერთად ვერ გავივლით მთის ბილიკებს და კავკასიონის მწვერვალებს. რა დაგვავიწყებს მშობლიურ მესტიაში, მის სტუმართმოყვარე ოჯახში გატარებულ წლებს. სამეგობროში ყველაზე უბრალო, ბავშვური ხასიათის, დაუზარელი ადამიანი იყო. მთამსვლელობაში დიდი წარმატებები ჰქონდა. იყო სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, სსრკ ვერცხლის პრიზიორი ტრავერსების კლასში, სსრკ შეიარაღებული ძალების მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი მთამსვლელობაში. ჯგუფში გამოირჩეოდა უდიდესი შრომისმოყვარეობით, თითქმის ყველა შავ სამუშაოს ასვლების დროს თვითონ ასრულებდა. უსაზღვროდ უყვარდა ოჯახი, მეუღლე და ოთხი შვილი, ყველაფერს აკეთებდა მათთვის. ბოლო წლებში, როცა გავიგეთ მისი უკურნებელი სენით ავადმყოფობის შესახებ, ყველანი ძალიან განვიცდიდით. მასთან არ ვიმჩნევდით, თვითონ კი ხვდებოდა ყველაფერს, მაგრამ მხნეობდა, ჩვეული ღიმილით და იუმორით გვხვდებოდა. უზომოდ უყვარდა სვანეთი, თბილისიდან როგორც კი საშუალება მიეცემოდა, მესტიაში მიდიოდა დედასთან, დასთან და ძმასთან. სიცოცხლის უკანასკნელი დღეებიც მშობლიურ მესტიაში გაატარა და იქვე აღესრულა როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ნამდვილი ქრისტიანი.

ძალზე ძნელია შეგუება იმ აზრთან, რომ ვერ გავიგებთ ვალერის ომახიან შეძახილს, მის ღიმილიან მისალმებას, მუდამ გვემახსოვრება და მომავალ თაობებს გადავცემთ, რომ გვყავდა ღირსეული მეგობარი, პიროვნება, რომლის უპირველესი თვისება იყო ერთგულება და ადამიანების სიყვარული. იგი ნალდი ქართველი იყო, მუდამ ვიამაყებთ, რომ ჩვენ შორის ასეთი პიროვნება ცხოვრობდა.

**უახლოესი მეგობრები**

● ჩოგბურთი

## ჩახნაშვილი იტალიაში ყოჩაღობს



მაკა ჩახნაშვილი

28 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (214) იტალიაში, ბიელას საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობს, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. დაბალი რეიტინგის გამო, მაკა ვერ მოხვდა ძირითად ბადეში, მას სულ ცოტა დააკლდა - საკვალიფიკაციოში პირველ ნომრად განთესეს. ასე რომ, ჩვენებურს ბრძოლით მოუწია ძირითად ტურნირში გასვლამ.

I საკვალიფიკაციო წრეში ჩახნაშვილი ისვენებდა, მეორეში მან იტალიელ **სტეფანია ჩეპას** (846) მოუგო - 7:6 (0), 2:6, 7:5, ფინალურ წრეში კი ფრანგი **სელინ კატანეო** (562) დაამარცხა - 4:6, 7:5, 6:0. ასე გაინაღდა მაკამ ძირითადი ბადე, სადაც პირველ წრეში სლოვენიელ **ნასტია კოლარს** (252) შეხვდება, ჩვენებურივით საკვალიფიკაციო ბატალიებიდან გამოსულს. წყვილთა ბადეში ქართული დუეტი შედგა, ჩახნაშვილი **სოფიო ქვაცაბაიასთან** (458) ერთად ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჭადრაკი

## გურამიშვილმა ბელგიელ თანამემამულეს სძლია

რომში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის მესამე ტურში თბილისელმა **დავით არუთინიანმა** იტალიელი მარჩელო მალონის ძლევით ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა, **სოფიკო გურამიშვილმა** ფაბრიციო მაგის (იტალია) აჯობა, **ნაზი პაიკიძემ** კი მესამე ნომრად განთესილ უკრაინელ იური სოლოდოვნიჩენკოსთან წააგო.

გუშინ მე-4 ტურში არუთინიანის წინსვლა ალბერტო დავიდმა (ლუქსემბურგი) შეაჩერა - 0:1, პაიკიძე ფესტივალის რეიტინგფავორიტ გავიან იონესს (ინგლისი) დაუზავდა, გურამიშვილმა შავი ფიგურებით ბელგიაში მცხოვრებ ალექსანდრე დგებუაძეს გააჩერებინა საათი. მეწინავეთა სამი პარტია ყაიმით დამთავრდა, დაზავდნენ: ალექსანდრ ფიერი (ბრაზილია)-კაიდო კიულაოცი (ესტონეთი), იგორ ხენკინი (გერმანია)-ვასიფ დურარბეილი (აზერბაიჯანი), ლასლო გონდა (უნგრეთი)-იური სოლოდოვნიჩენკო.

ოთხი ტურის შემდეგ არუთინიანსა და გურამიშვილს 3-3 ქულა აქვთ, პაიკიძეს - 2,5 ქულა. დღეს მე-5 ტურში არუთინიანი სემ კოლინზს (ირლანდია) შეხვდება, გურამიშვილი - ლასლო გონდას, პაიკიძე - მარინ ბოსიჩიჩს (ხორვატია). ლიდერთაგან ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: კიულაოცი (3,5)-დავიდი (4), კრავცივი (3,5)-ფიერი (3,5), ბერკეში (3,5)-იანკოვიჩი (3).

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტის ქრონიკები

ბიბლიოთეკა

### მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

## მანანა მნათობიშვილი



დაიბადა 11.06.1962, თბილისი. **აკრობატიკა.** მსოფლიოსა (1980) და ევროპის (1980) აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე პრიზიორი (1981), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1979, 80, 81) და მეორე პრიზიორი (1984), სსრკ თასის სამგზის მფლობელი (1980, 81, 82) და მეორე პრიზიორი (1979), სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1979). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

### სათავეები

## თანამედროვე ხუთჭიდი



თანამედროვე ხუთჭიდი აერთიანებს ხუთ სახეობას: ცხენოსნობას, ფარიკაობას, სროლას, ცურვას და კროსს.

ანტიკურ საბერძნეთში ტარდებოდა ასპარეზობა ხუთჭიდში - პენტათლონში, რომელიც მოიცავდა სირბილს, სიგრძეზე ხტომას, შუბისა და ბადროს ტყორცნას, ჭიდაობას (პირველი შეჯიბრება გაიმართა მე-18 ოლიმპიადაზე, ძვ.წ 708 წელს). თანამედროვე ხუთჭიდი ანტიკური პენტათლონის ერთგვარი ანალოგია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ შვედეთში, შემდეგ კი ევროპის სხვა ქვეყნებშიც ეწყობოდა შეჯიბრებები ე.წ. საოფიცრო ხუთჭიდში. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში თანამედროვე ხუთჭიდი 1912 წელს შეიტანეს პიერ დე კუბერტენის თაოსნობით. 2000 წლიდან ოლიმპიადის პროგრამაშია ქალთა ინდივიდუალური შეჯიბრება.

საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდი 1950-იან წლებში დაინერგა. პირველი თაობის ხუთჭიდელთა შორის იყვნენ **რევაზ მანჯავიძე, ივანე მიხაილიცკი, ანატოლი პევცოვი, ჯუანშერ ზალდასტანიშვილი, გურამ კალმახელიძე, ვალერიან როგავა** და სხვები. საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიათლონის ფედერაცია. პრეზიდენტები **ვალერიან როგავა** (2003-04), **ჯუანშერ ზალდასტანიშვილი** (2004 წლიდან).

### იყო ასეთი შემთხვევა...



„1962 წელს მიხეილ მესხს სასტიკად გაუნაწყენდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები, რადგან მან გაბედა და ხმა აღიმაღლა გუნდში გამეფებული იმ განუკითხაობისა და აზროვნული ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ჩილეს მსოფლიოს პირველობაზე უფერული გამოსვლა.

ოთხი წლის შემდეგ კი, მთელი ქვეყნის მოწინავე სპორტული საზოგადოებრიობის აქტიური ჩარევის მიუხედავად, განაწყენებულმა თავკაცებმა მიშა საერთოდ აღარ შეიყვანეს ნაკრების შემადგენლობაში და ინგლისის ჩემპიონატს იგი ტელევიზიით ადევნებდა თვალს".

**შიო ლარცულიანის** წიგნიდან „ზღუდე იმიტომაა, რომ უნდა გადალახო" (2007).

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. შეჯიბრების მაჩანჩალა; 6. ანტიკური ხუთჭიდი; 7. ჩემპიონატი, რომელიც სხვების მონაწილეობას არ ზღუდავს; 9. საჭადრაკო რეიტინგის შემქმნელი; 10. უკანა ხაზზე მოთამაშე რაგბიში; 12. "ზესტაფონის" ფეხბურთელი ედიკ ...; 13. ძალოსნობის ინვენტარი; 14. კლდოვანი მასივი სვანეთში; 17. წმინდა მოგება ძიუდოში; 18. თბილისის "დინამოს" ყოფილი ჩეხი მწვრთნელი; 21. იხ. სურათი: ლეგენდარული ქართველი ფალავანი; 23. ორთავა მწვერვალი კავკასიონზე; 24. ვეტერანი ხელბურთელი ამბერკი ...; 25. ერთ-ერთი შეფასება ძიუდოში; 26. შეჯიბრება ორ ან რამდენიმე სპორტსმენს შორის; 27. მოტოციკლებით რბოლა ნიდიან ოვალურ ტრეკზე.

**შვეულად:** 2. სპორტის სახეობა; 3. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ....ჟირესი; 4. ტანმოვარჯიშე ლალი ...; 5. ბურთიანი ჰოკეის ნაირსახეობა; 6. თავისუფალი სტილით გორელი ვეტერანი მოჭიდავე დავით ...; 8. ყოფილი მორაგბე ვიქტორ ...; 10. სუმოისტთა შეჯიბრება; 11. ევრობასკეტის მასპინძელი ლიტვის ქალაქი; 15. ვეტერანი კალათბურთელი ნიკოლოზ ...; 16. კორიდის ერთ-ერთი მონაწილე; 19. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ხალხური თამაში; 20. შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი; 22. ბურთი სათამაშო მოედნის ხაზს გარეთ.

### თარიღი

**8-14 სექტემბერი**

**08. 1977 წ.** ფიდეს გადაწყვეტილებით, დაწესდა **ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თასი ვაჟთა და ქალთა ოლიმპიადებში ჯამური შედეგით გამარჯვებული ქვეყნისთვის.

**09. 1972 წ.** დაიბადა **რუსუდან ხოფერია** - ბატუტზე ხტომა.

**09. 2006 წ.** საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 80:65 დაამარცხა ისლანდიის ნაკრები.

**10. 1948 წ.** დაიბადა **მიხეილ ქორქია** - კალათბურთი. გარდაიცვალა 2004 წელს.

**10. 1939 წ.** დაიბადა **ზარბეგ ბერიაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა.

**10. 1973 წ.** დაიბადა **ბაკურ გოგიტიძე** - ბ/რ ჭიდაობა.

**10. 1925 წ.** დაიბადა **ავთანდილ ციბაძე**- პროფესორი (სპორტის მკვლევარი). გარდაიცვალა 2002 წელს.

**10. 1944 წ.** დაიბადა **ვახტანგ რეხვიაშვილი** - ფეხბურთი.

**10. 1966 წ.** დაიბადა **ახრიკ ცვეიბა** - ფეხბურთი.

**11. 1997 წ.** რაგბიში მსოფლიოს თასის გათამაშების მატჩში საქართველოს ნაკრებმა 3:33 წააგო არგენტინელებთან.

**12. 1958 წ.** დაიბადა **დავით გიგაური** - თ/ჭიდაობა.

**13. 1960 წ.** ფეხბურთში სსრკ ჩემპიონატში **ავთანდილ ღოღობერიძემ** გაიტანა 127-ე გოლი და გახდა კლუბის რეკორდსმენი.

**13. 1972 წ.** თბილისის „დინამომ" პირველი მატჩი ჩაატარა ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირში.

**14.09. 1914 წ.** დაიბადა **ვასილ ელაშვილი** - პროფესორი, სპორტის ეროვნული სახეობების და თამაშობების მკვლევარი. გარდაიცვალა 1997 წელს.

### ვიქტორინა

**1. შესაბამისად, რამდენგზის მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიური ჩემპიონია ლერი ხაბელოვი?**

ა — 5 4 1
ბ — 4 3 2
გ — 3 4 0

**2. რომელ წელს გახდა ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი?**

ა — 1984 წელს
ბ — 1988 წელს
გ — 1992 წელს

**3. რომელ წელს მიიღეს პირველად მონაწილეობა ქართველმა მხედრებმა პარდუბიცეს სტიპლჩეიზში?**

ა — 1991 წელს
ბ — 1993 წელს
გ — 1994 წელს

**4. მაია ჩიბურდანიძემ 1984 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა შეინარჩუნა ჭადრაკში ქალთა შორის. ვინ იყო მისი მეტოქე?**

ა — ნონა გაფრინდაშვილი
ბ — ელენა ახმილოვსკაია
გ — ირინა ლევიტინა

**5. რომელი ქართული ხალხური თამაშობაა ბალახის ჰოკეის მსგავსი?**

ა — მხოლოდ ჭოროლა
ბ — ჭოროლა და ჭაკუნაობა
გ — მხოლოდ ჭაკუნაობა

პასუხები: 1-ა, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ

### პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ნაკრების პირველი მწვრთნელი საქართველოში ქვიშის რაგბიში იყო **მამუკა ტყეშელაშვილი.**

**პირველმა** საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელებიდან ევროპის თასი პირად პირველობაში დაისაკუთრა თბილისელმა **იგორ ბრიზგალოვმა.**

**პირველად** თანამედროვეს მიმსგავსებული თხილამური საქართველოში იხილეს XX საუკუნის 20-იან წლებში, „ბორჯომში რომანოვების ბოტანიკურ ბაღში გამგედ მუშაობდა დაფასებული ბოტანიკოსი, წარმოშობით პოლონელი **კოზლოვსკი,** რომელსაც ჰქონდა საკმაოდ გრძელი თხილამურები... კოზლოვსკი ხშირად მასპინძლობდა ადგილობრივ დაინტერესებულ ადამიანებს, აგრეთვე თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებსაც, რომლებსაც აჩვენებდა ამ თხილამურებით სრიალსა და გამოყენებას" (**ოთარ გოცირიძე,** წიგნიდან „ბაკურიანი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჰოკეი

# დიდი ტრაგედია


ტრაგედიის ადგილი

გუშინ, სტარტი აიღო ჰოკეის კონტინენტალური ლიგის ახალმა სეზონმა, მაგრამ გახსნის მატჩი „სალავატ იულიაევსა“ და „ატლანტს“ შორის მეორე პერიოდის დროს შეწყდა. საქმე ისაა, რომ გუშინ რუსეთში საშინელი ავიაკატასტროფა მოხდა - ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი, რუსეთის სამგზის ჩემპიონი, იაროსლავის „ლოკომოტივი“ მინსკში პირველი ტურის ჩასატარებლად მიემგზავრებოდა, მაგრამ თვითმფრინავმა აფრენიდან 500 მეტრის შემდეგ კატასტროფა განიცადა. როგორც იაროსლავლის აეროპორტის თანამშრომლები ჰყვებიან, თვითმფრინავმა საკმარისი სიმაღლე ვერ აკრიფა, შუქურის ანტენას წამოედო და შუაში გადატყდა - ნახევარი მიწაზე დაენარცხა, მეორე ნახევარი მდინარე ვოლგაში ჩავარდა, რასაც მაშინვე ხანძარი მოჰყვა. სალონში „ლოკომოტივის“ 37 წევრი იმყოფებოდა - მოთამაშეები და მწვრთნელთა შტაბი.

ბოლო ინფორმაციით, კატასტროფას ერთადერთი ჰოკეისტი გადაურჩა - რუსეთის ნაკრების წევრი **ალექსანდრ გალიმოვი**, მაგრამ ის კრიტიკულ მდგომარეობაშია. მოთამაშე სხეულის 80-პროცენტიანი დამწვრობით რეანიმაციაშია მოთავსებული.

„ლოკომოტივში“ ბევრი სახელოვანი ჰოკეისტი თამაშობდა. მათგან ყველაზე გამორჩეული იყო სლოვაკი **პავოლ დემიტრა**. ასევე უნდა დავასახელოთ შვედი მეკარე **სტეფან ლივი**, ჩეხები - **იოზეფ ვაშიჩეკი** და **კარელ რახუნეკი**, ცნობილი ლატვიელი მცველი **კარლის სკრასტინში**, რომელიც ცოტა ხნის წინ გადავიდა „დალას სტარზიდან“ იაროსლავლში.

თავდაპირველი ინფორმაციით, დაღუპვას გადაურჩა ცნობილი ბელარუსი მცველი **რუსლან სალეი**, რომელიც ამ ზაფხულს „დეტროიტ რედ უინგზიდან“ ალმოჩნდა „ლოკომოტივში“. ის თითქოს მინსკში ელოდებოდა გუნდს, მაგრამ შემდეგ ეს ჰოკეისტიც შეიყვანეს დაღუპულთა რიგებში. აქ ჩამოთვლილი მოთამაშეები თავიანთი ქვეყნების ნაკრებთა წევრები იყვნენ. გუნდის მწვრთნელი კანადელი **ბრედ მაკრიმონი** იყო.

თვითმფრინავი - „იაკ-42“, რომლითაც „ლოკომოტივი“ ბელარუსის დედაქალაქში მიფრინავდა, 1993 წელს იქნა გაშვებული ექსპლუატაციაში.

კალათბურთი. ევროლიგა 2011

# ევროლიგა კლასიკით იწყება




ლიტვაში მიმდინარე ევრობასკეტმა სხვა საკალათბურთო მოვლენები დაჩრდილა, არადა, ამ დღეებში მნიშვნელოვანი იყო ევროლიგის 2011-12 წლების სეზონის ჯგუფური ეტაპის წილისყრა, რის შემდეგაც მატჩების განრიგიც გამოქვეყნდა.

ახალი სეზონი 17 ოქტომბერს კლასიკური დაპირისპირებით დაიწყება. ამ დღეს კაუნასში, „ჟალგირისის“ 15-ათასიან არენაზე ადგილობრივი კლუბი მოსკოვის ცსკა-ს უმასპინძლებს.

ევროლიგის ჯგუფური ეტაპი ზედიზედ ათი კვირა გაგრძელდება და დეკემბერში გამოვლინდება TOP16-ის მონაწილე გუნდები. წელს „ოთხთა ფინალი“ მაისში სტამბოლში გაიმართება.

### A ჯგუფი

**I ტური. 19 ოქტომბერი**
ფენერბაჰჩე-კახა ლაბორალი
კანტუ-ნანსი
ბილბაო-ოლიმპიაკოსი

**II ტური. 26-27 ოქტომბერი**
კახა ლაბორალი-კანტუ
ოლიმპიაკოსი-ფენერბაჰჩე
ნანსი-ბილბაო

**III ტური. 2-3 ნოემბერი**
კახა ლაბორალი-ოლიმპიაკოსი
ფენერბაჰჩე-ნანსი
კანტუ-ბილბაო

**IV ტური. 9-10 ნოემბერი**
კანტუ-ოლიმპიაკოსი
ბილბაო-ფენერბაჰჩე
ნანსი-კახა ლაბორალი

**V ტური. 16-17 ნოემბერი**
ფენერბაჰჩე-კანტუ
კახა ლაბორალი-ბილბაო
ოლიმპიაკოსი-ნანსი

**VI ტური. 23-24 ნოემბერი**
ოლიმპიაკოსი-ბილბაო
ნანსი-კანტუ
კახა ლაბორალი-ფენერბაჰჩე

**VII ტური. 30 ნოემბერი**
კანტუ-კახა ლაბორალი
ფენერბაჰჩე-ოლიმპიაკოსი
ბილბაო-ნანსი

**VIII ტური. 7-8 დეკემბერი**
ბილბაო-კანტუ
ნანსი-ფენერბაჰჩე
ოლიმპიაკოსი-კახა ლაბორალი

**IX ტური. 14-15 დეკემბერი**
ფენერბაჰჩე-ბილბაო
კახა ლაბორალი-ნანსი
ოლიმპიაკოსი-კანტუ

**X ტური. 21-22 დეკემბერი**
ბილბაო-კახა ლაბორალი
ნანსი-ოლიმპიაკოსი
კანტუ-ფენერბაჰჩე

### B ჯგუფი

**I ტური. 17-20 ოქტომბერი**
ჟალგირისი-ცსკა
ბამბერგი-ზაგრები
პანათინაიკოსი-უნიკახა

**II ტური. 25-26 ოქტომბერი**
უნიკახა-ჟალგირისი
ცსკა-ბამბერგი
ზაგრები-პანათინაიკოსი

**III ტური. 2-3 ნოემბერი**
ზაგრები-ცსკა
ბამბერგი-უნიკახა
პანათინაიკოსი-ჟალგირისი

**IV ტური. 9-10 ნოემბერი**
უნიკახა-ზაგრები
ჟალგირისი-ბამბერგი
პანათინაიკოსი-ცსკა

**V ტური. 16 ნოემბერი**
ცსკა-უნიკახა
ბამბერგი-პანათინაიკოსი
ზაგრები-ჟალგირისი

**VI ტური. 23-24 ნოემბერი**
ცსკა-ჟალგირისი
ზაგრები-ბამბერგი
უნიკახა-პანათინაიკოსი

**VII ტური. 30 ნოემბერი**
ჟალგირისი-უნიკახა
პანათინაიკოსი-ზაგრები
ბამბერგი-ცსკა

**VIII ტური. 7 დეკემბერი**
ცსკა-ზაგრები
ჟალგირისი-პანათინაიკოსი
უნიკახა-ბამბერგი

**IX ტური. 14-15 დეკემბერი**
ცსკა-პანათინაიკოსი
ზაგრები-უნიკახა
ბამბერგი-ჟალგირისი

**X ტური. 21-22 დეკემბერი**
პანათინაიკოსი-ბამბერგი
უნიკახა-ცსკა
ჟალგირისი-ზაგრები

### C ჯგუფი

**I ტური. 20 ოქტომბერი**
პარტიზანი-ეფესი
კვალიფიკაცია A-რეალი
მილანი-მაკაბი

**II ტური. 26-27 ოქტომბერი**
ეფესი-კვალიფიკაცია A
რეალი-მილანი
მაკაბი-პარტიზანი

**III ტური. 3 ნოემბერი**
მაკაბი-რეალი
პარტიზანი-კვალიფიკაცია A
მილანი-ეფესი

**IV ტური. 10 ნოემბერი**
ეფესი-მაკაბი
კვალიფიკაცია A-მილანი
პარტიზანი-რეალი

**V ტური. 17 ნოემბერი**
მაკაბი-კვალიფიკაცია A
რეალი-ეფესი
მილანი-პარტიზანი

**VI ტური. 23-24 ნოემბერი**
ეფესი-პარტიზანი
რეალი-კვალიფიკაცია A
მაკაბი-მილანი

**VII ტური. 1 დეკემბერი**
კვალიფიკაცია A-ეფესი
მილანი-რეალი
პარტიზანი-მაკაბი

**VIII ტური. 8 დეკემბერი**
კვალიფიკაცია A-პარტიზანი
რეალი-მაკაბი
ეფესი-მილანი

**IX ტური. 14-15 დეკემბერი**
რეალი-პარტიზანი
მილანი-კვალიფიკაცია A
მაკაბი-ეფესი

**X ტური. 21-22 დეკემბერი**
ეფესი-რეალი
პარტიზანი-მილანი
კვალიფიკაცია A-მაკაბი

### D ჯგუფი

**I ტური. 19-20 ოქტომბერი**
უნიქსი-მონტეპასკი
პროკომი-კვალიფიკაცია B
ოლიმპია-ბარსელონა

**II ტური. 27 ოქტომბერი**
მონტეპასკი-ოლიმპია
კვალიფიკაცია B-უნიქსი
ბარსელონა-პროკომი

**III ტური. 2-3 ნოემბერი**
მონტეპასკი-კვალიფიკაცია B
ოლიმპია-პროკომი
უნიქსი-ბარსელონა

**IV ტური. 9-10 ნოემბერი**
ოლიმპია-კვალიფიკაცია B
პროკომი-უნიქსი
ბარსელონა-მონტეპასკი

**V ტური. 17 ნოემბერი**
უნიქსი-ოლიმპია
მონტეპასკი-პროკომი
კვალიფიკაცია B-ბარსელონა

**VI ტური. 23-24 ნოემბერი**
მონტეპასკი-უნიქსი
კვალიფიკაცია B-პროკომი
ბარსელონა-ოლიმპია

**VII ტური. 1 დეკემბერი**
უნიქსი-კვალიფიკაცია B
ოლიმპია-მონტეპასკი
პროკომი-ბარსელონა

**VIII ტური. 7-8 დეკემბერი**
კვალიფიკაცია B-მონტეპასკი
პროკომი-ოლიმპია
ბარსელონა-უნიქსი

**IX ტური. 15 დეკემბერი**
უნიქსი-პროკომი
კვალიფიკაცია B-ოლიმპია
მონტეპასკი-ბარსელონა

**X ტური. 21-22 დეკემბერი**
ბარსელონა-კვალიფიკაცია B
პროკომი-მონტეპასკი
ოლიმპია-უნიქსი

კალათბურთი. ევრობასკეტი 2011

# ლიტვის ასიანი

ევრობასკეტის მეორე ეტაპი ესპანეთისა და გერმანიის დაპირისპირებით დაიწყო. რა თქმა უნდა, საინტერესო იყო **ნოვიცკისა და პაუ გასოლის** დუელი, მაგრამ სათანადო მხარდაჭერის გარეშე „დალასის“ სუპერვარსკვლავი მარტო ვერ იგებს თამაშებს, რაც პირველ ჯგუფურ ეტაპზე ორი მარცხით დადასტურდა. ამჯერად, გერმანელები მართლაც ღირსეულად ებრძოდნენ ტურნირის მთავარ ფავორიტს, მაგრამ ესეც არ ალმოჩნდა საკმარისი გამარჯვებისთვის.

გერმანია მეტოქეს შორს არ უშვებდა, მაგრამ ვერც დაწევას ახერხებდა. ბუნდესნაკრებს თამაშის გადარჩენის ბოლო მცდელობა საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე ჰქონდა, როცა **ბენცინგმა** სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა, მაგრამ **სკარიოლოს** ტაიმ-აუტის შემდეგ ყველაფერი ისევ თავის ადგილას დადგა. თავიდან პაუ გასოლმა ჩააგდო ორიდან ერთი საჯარიმო, შემდეგ კი **ნავაროს** გარღვევა დასრულდა ზუსტი ორი ქულით.

ესპანეთმა 77:68 მოიგო და **ბაუერმანის** გუნდს თითქმის აღარ დარჩა მეოთხედფინალში გასვლის შანსი. გერმანიამ თურქეთსა და ლიტვას უნდა მოუგოს და თან სხვა მატჩებიც მისთვის სასურველი ანგარიშით უნდა დასრულდეს.

ძალიან დაძაბული გამოვიდა დღის მეორე მატჩი საფრანგეთისა და თურქეთის ნაკრებებს შორის. ფრანგები მეორე ეტაპზე მაქსიმალური ქულებით გადავიდნენ, თურქებს კი მხოლოდ ერთი მოგება აქვთ და ბუნებრივია, ასეთი გრანდებით დახუნძლულ გუნდში მათთვის ნებისმიერ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

თურქეთმა კარგად ითამაშა პირველი მეოთხედი და ორი ქულით გავიდა წინ, მაგრამ საფრანგეთმა თანდათან მოიპოვა ინიციატივა და მალე **კოლეს** შეგირდებმა მატჩზე სრული კონტროლი დაამყარეს. მეორე მეოთხედის ექვსი ქულით მოგებით, საფრანგეთი დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი უპირატესობით გავიდა, მესამე მეოთხედის ბოლოს კი სხვაობა ანგარიშში 13 ქულა იყო.

„მამლები“ ამ უპირატესობას საფინალო სირენამდე ექვსწუთნახევრით ადრე ინარჩუნებდნენ - 61:48 და თითქოს დაძაბულ ფინალს არაფერი მოასწავებდა, მაგრამ **ილიასოვას** ორი საჯარიმოთი და **თურქოგლუს** საშუალო ტყორცნით დაიწყო თურქეთის 13:2 გაქცევა. ფრანგების უპირატესობისგან პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა - იმავე ილიასოვას სამქულიანი შეტევის შემდეგ ანგარიში გახდა 63:61. თამაშის დამთავრებამდე 45 წამი რჩებოდა.

საპასუხო შეტევაში თურქეთმა **პარკერზე** აიღო ჯარიმა და ფრანგების ლიდერმა ორივე ტყორცნა გამოიყენა - 65:61. სათამაშო რჩებოდა 18 წამი. **არსლანმა** შორეული ტყორცნა ააცილა, მაგრამ ფარქვეშ ბრძოლაში თურქებმა ივარგეს და ბურთი **პრელჯიჩს** მიუვიდა, მან კი სამქულიანი არ ააცილა. ფრანგების ერთქულიანი უპირატესობა (65:64) რვა წამით ადრე.

ისევ ჯარიმა პარკერზე და ტონიმ კვლავ უშეცდომოდ ისროლა ორივე თავისუფალი. თურქეთმა ტაიმ-აუტის დროს პრელჯიჩის სამქულიანზე გაყვანა მოითათბირეს, მაგრამ ამჯერად ამ ხვლამ არ გაამართლა. იქვე ჯარიმა პარკერზე, რომელმაც მხოლოდ ერთი ჩააგდო, მაგრამ ესეც საკმარისი ალმოჩნდა საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად - 68:64.

თურქეთმა საკმაოდ ბევრი, 16 შეცდომა დაუშვა და საფრანგეთმა ამის ხარჯზე 16 ქულა მოიპოვა. ორივე გუნდმა ცუდად ისროლა სამქულიანები: თურქებმა 24-დან 5 ჩააგდეს, საფრანგეთმა - 17-დან 4.

დღის ბოლო მატჩში ლიტვა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უგებდა სერბეთს, მაგრამ საბოლოო დარტყმა თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე მიაყენა, როცა 86:79-ზე 9:2 გაიქცა.

ზედიზედ მეორედ მატჩის გმირებად ლიტვის რეზერვისტები მიიჩნიეს. მასპინძელთა სათადარიგოთა სკამმა 47 ქულა დააგროვა. მათი გამარჯვების მეორე მიზეზი სამქულიანების გამოყენების მაღალი პროცენტი იყო - 20-დან 11 (პირველ ტაიმში - 10-დან 7), აგრეთვე ფარქვეშ მოგებული ბრძოლა - 34:29.

### E ჯგუფი

**გერმანია-ესპანეთი 68:77**

**15:16, 18:20, 22:20, 13:21**

**გ:** ნოვიცკი (19+7 მოხსნა), კამანი (15+11 მოხსნა+2 დაფარება), ბენცინგი (10), ჰერბერი (7), ჰამანი (7), შაფარცკი (7+5 მოხსნა).

**ე:** მ. გასოლი (24+5 მოხსნა), პ. გასოლი (19+7 მოხსნა+2 დაფარება), ნავარო (14+5 პასი), სან ემეტერიო (12), ფერნანდესი (6+5 პასი), კალდერონი (2), რუბიო (0+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლიული (1).

**თურქეთი-საფრანგეთი 64:68**

**14:12, 13:19, 17:26, 20:11**

**თ:** თურქოგლუ (13+8 მოხსნა), ომერ აშიქი (10+11 მოხსნა), ილიასოვა (10+2 დაფარება), ომერ ონანი (8), პრელჯიჩი (8), ოგიუზ სავაში (6), კანტერი (4), ენდერ არსლანი (2).

**ს:** პარკერი (20+6 მოხსნა+5 პასი), ბატუმი (13), ტრაორე (8+2 დაფარება), კაუდი (8+5 მოხსნა), ნოა (7), პიეტრუსი (4), დიაო (3+5 მოხსნა), ჟელაბალე (3), სერაფინი (2).

**სერბეთი-ლიტვა 90:100**

**24:26, 20:28, 24:24, 22:22**

**ს:** კრსტიჩი (21+2 დაფარება), სავანოვიჩი (16), ტეოდოშიჩი (16), ტეპიჩი (12), მაჩვანი (8), კეშელი (6), პეროვიჩი (4), რაშიჩი (3+4 პასი), ბიელიცა (2), მარკოვიჩი (2).

**ლ:** კალნიეტისი (19+7 პასი), ვალანჩუნასი (18+5 მოხსნა+4 პასი+2 დაფარება), იასიკიავიჩუსი (14+7 პასი), პოჩიუსი (13), იანკუნასი (13+7 მოხსნა), იასაიტისი (9+6 მოხსნა), კაუკენასი (8+5 პასი), იავტოკასი (4+5 მოხსნა), სონგაილა (2).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 241-225 | 6 |
| 2. ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 225-212 | 5 |
| 3. ლიტვა | 3 | 2 | 1 | 254-249 | 5 |
| 4. სერბეთი | 3 | 1 | 2 | 261-261 | 4 |
| 5. თურქეთი | 3 | 1 | 2 | 197-200 | 4 |
| 6. გერმანია | 3 | 0 | 3 | 197-228 | 3 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


პარკერი ისევ საუკეთესოა

ფორმულა 1

# სამეფო რბოლა ირანში?

იტალიის გრანპრის წინ, რომელიც უახლოეს უქმეებზე გაიმართება, „ლოტუს-რენოს" ხელმძღვანელობამ ოთხ ახალ სპონსორთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ გამოაცხადა. ბრაზილიის სატელეკომუნიკაციო გიგანტის - Embratel-სა და უმსხვილესი სანავთობო კომპანია OGX-ის ლოგოები გაჩნდება ფრანგული საჯინიბოს ბოლიდებსა და მისი ახალი პილოტის **ბრუნო სენას** კომბინეზონზე. გარდა ამისა, „რენომ" სეზონის ბოლომდე გააფორმა ხელშეკრულება კომპანიებთან - Gillette-თან და Auden McKenzie-თან (ბრიტანეთის ფარმაცევტული კომპანია).

*„უაღრესად საინტერესო სეზონის მსვლელობისას ოთხი ახალი პარტნიორის შეძენა ძალიან მნიშვნელოვანია. მათი დახმარებით შევეცდებით მწვერვალზე ასვლას",* - ამბობს გუნდის შეფი **ერიკ ბუიე**.

■ ■ ■

ირანი ფორმულა 1-ის რბოლის ჩატარების მორიგი კანდიდატი გახდა. ქვეყანაში საერთაშორისო დონის პირველი ტრასა ნიუ-პარანდ-სიტიში აშენდება, რომელიც თეირანის სამხრეთით 45 კილომეტრში მდებარეობს.

პროექტის რეალიზაციის პირველი ეტაპი 30 მილიონ დოლარად არის შეფასებული, მეორე ეტაპი - 55 მილიონი დოლარი დაჯდება. ტრასის პროექტი Apex Circuit Design-ის არქიტექტურული ბიუროს მიერ არის შემუშავებული.



პროექტის ავტორები

*„აღფრთოვანებული დავრჩით ადგილობრივი ლანდშაფტით,* - განაცხადა კომპანიის დირექტორმა **მარტინ ბაერშმიდტმა**. - *დაგეგმვა და მშენებლობა მთლიანად შეესაბამება ფორმულა 1-ის სტანდარტებს".*

*„ირანში სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება ავტოსპორტით. ფორმულა 1-ს ბრწყინვალე მომავალი აქვს აზიურ ქვეყნებში",* - დაამატა პროექტის აღმასრულებელმა დირექტორმა **ალირეზა საბაჰმა**.

მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჩემპიონატის ციფროლოგია

მსოფლიოს ერთი და ჩემპიონატების ოთხი რეკორდი, 41 ეროვნული რეკორდი და სხვა სტატისტიკური მონაცემები ტეგუში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ.

1 - პირველად თავის ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიგეს გრენადისა და ბოტსვანის ნაკრებებმა. თანაც ორივე ტრიუმფი 400 მეტრ დისტანციაზე შედგა. კაცებში გაიმარჯვა გრენადელმა **კირანი ჯეიმსმა**, ქალებში - ბოტსვანის წარმომადგენელმა **ამანტლე მონტშომ**.

1 - პირველად ქალთა მარათონში ყველა მედალი ერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. პოდიუმის სამივე საფეხურზე კენიელები ავიდნენ.

2 - ორ სპორტსმენს ჩამოართვეს მედალი. 110 მეტრზე თარჯრბენში **დაირონ რობლესმა** დისკვალიფიკაცია მიიღო იმის გამო, რომ გარბენის დროს ხელით შეეხო **ლიუ სიანს**. მას ოქროს მედლის დათმობა მოუხდა. **იმანე მერგას** ბრინჯაოს მედალი კი იმის გამო წაართვეს, რომ 15 მეტრი ბილიკის მიღმა გაირბინა.

2 - **ვივიან ჩერუიოტი** მეორე ქალია, ვინც ერთ ჩემპიონატზე დუბლი შეასრულა 5000 და 10000 მეტრის დისტანციებზე. ადრე იგივე გააკეთა **ტირუნეშ დიბაბამ**.

4 - ტეგუში მსოფლიოს ჩემპიონატების ოთხი რეკორდი დამყარდა. მათი ავტორები გახდნენ: **მარია აბაკუმოვა, ვალერი ადამსი, სალი პირსონი** და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში იამაიკის მამაკაცთა ნაკრები, რომელმაც თან მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა.

4 - **დუაიტ ფილიპსმა** მეოთხედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული სიგრძეზე ხტომაში. ტექნიკურ სახეობებში მასზე მეტი ოქრო მოგებული აქვს **სერგეი ბუბკასა** (6) და **ლარს რიდელს** (5).

8 - მსოფლიოს ჩემპიონატის რვა ოქრო აქვს მოგებული **ელისონ ფელიქსს**. 25 წლის ამერიკელი მორბენალი ამ მაჩვენებლით აბსოლუტური რეკორდსმენია. ტეგუში ფელიქსმა ორი ესტაფეტა მოიგო (4x100 მ და 4x400 მ), აგრეთვე ვერცხლი და ბრინჯაო მიიღო 200 და 400 მეტრზე გარბენებში.

11 - ამდენმა მძლეოსანმა შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული: **ბოლტი** (200 მ), **კემბოი** (სტიპლჩეზი), **კირუი** (მარათონი), **ბორჩინი** (20 კმ სიარული), ფილიპსი (სიგრძე), **ჰარტინგი** (ბადრო), **ჰარდი** (ათჭიდი), ჩერუიოტი (5000 მ), **კანისკინა** (20 კმ. სიარული), **რიზი** (სიგრძე), ადამსი (ბირთვი).

18 - ბოლო 18 წლის განმავლობაში ჩინეთმა პირველი ოქრო მოიპოვა ტექნიკურ სახეობებში - **იანფენ ლიმ** მოიგო ბადროს ტყორცნა.

18 - ამ ასაკში მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი გრენადელმა კირანი ჯეიმსმა. ის ამ პირველობის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდა.

20 - პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში ვერც ერთი ამერიკელი ვერ მოხვდა მამაკაცებს შორის ბირთვის კვრაში პოდიუმზე. ამასთან, ასევე ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად აშშ-ის ნაკრებმა მოიპოვა მედალი სიმაღლეზე ხტომაში - პირველ ადგილზე გავიდა **ჯესი უილიამსი**.

28 - **მო ფარა** პირველი ევროპელია ბოლო 28 წლის განმავლობაში, ვინც 10 ათას მეტრზე გაიმარჯვა. 1983 წელს, მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე პირველი მივიდა ფინიშთან ირლანდიელი **იმონ კოგლანი**.

28 - სამხტომში გამარჯვებულმა, ამერიკელმა **კრისტიან ტეილორმა** 28 სანტიმეტრი დაუმატა პირად რეკორდს. მისი საბოლოო შედეგი - 17,96 მეტრი - საუკეთესოა მსოფლიოს ჩემპიონატებზე 1995 წლის შემდეგ, როცა **ჯონათან ედვარდსმა** დაამყარა რეკორდი.

31 - ამდენმა ათლეტმა პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო.

31 - ამ ასაკში **კარმელიტა ჯეტერმა** პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატების ინდივიდუალური ოქრო. ამერიკელი 100 მეტრ დისტანციაზე ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი გახდა.

41 - ამდენმა ქვეყანამ მოიპოვა მინიმუმ ერთი მედალი.

100 - სიმაღლეზე მხტომელმა **ბლანკა ვლასიჩმა** მეასე სტარტი ჩაატარა კარიერაში, რომელშიც ორმეტრიანი სიმაღლე დასძლია.




ამბები

**კალათბურთი**

## ნეშმა ფეხბურთი ითამაშა

„ფინიქს სანზის" გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა** ამერიკის სოკერის ლიგის (MLS) კლუბთან - „ვანკუვერთან" ერთად ჩაატარა ვარჯიში. სხვათა შორის კანადელი ვარსკვლავი ამ გუნდის თანამფლობელია.

ნეშმა ვარჯიშის შემდეგ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა ჟურნალისტებს ლოკაუტთან დაკავშირებით. მან იმედი გამოთქვა, რომ მოთამაშეთა პროფკავშირები და ლიგა მალე მოილაპარაკებენ და გაფიცვა ახალ წლამდე დასრულდება.

**რალი**

## მაკრეი დამნაშავე იყო

ლეგენდარული შოტლანდიელი რალისტის **კოლინ მაკრეის** ტრაგიკული დაღუპვის გამოძიებისას ბრიტანეთის პოლიციამ დაადგინა, რომ ავიაკატასტროფაში დამნაშავე თავად მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი იყო. მაკრეი, რომელსაც პილოტის ლიცენზია არ ჰქონდა, საკუთარი ვერტმფრენით ძალიან ქვემოთ დაფრინავდა, არადა, ამის აუცილებლობა არ იყო.

ინციდენტი 2007 წელს მოხდა და მაკრეისთან ერთად მისი 5 წლის ვაჟი და კიდევ ორი ადამიანი დაიღუპა.

**ველოსპორტი**

**ვუელტა. XVI ეტაპი**

1. **ხუან ხოსე აედო** (არგენტინა, SaxoBank) - 4:41.56; 2. **ალესანდრო პეტაკი** (იტალია, Lampre-ISD) - იგივე დრო; 3. **დანიელე ბენატი** (იტალია, Leopard-Trek) - იგივე დრო; 4. **ვისენტე რეინასი** (ესპანეთი, Omega Pharma-Lotto) - იგივე დრო; 5. **ლი ჰოვარდი** (ავსტრალია, HTC-Highroad) - იგივე დრო; 6. **კონ დე კორტი** (ჰოლანდია, Skil-Shimano) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხუან ხოსე კობო** (ესპანეთი, Geox) - 64:39.14; 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0.20; 3. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0.51; 4. **ბოკ მოლემა** (ჰოლანდია, Rabobank) - +1.41; 5. **მაქსიმ მონფორი** (ბელგია - Leopard-Trek) - +2.42; 6. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Geox) - +3.06; 7. **იაკობ ფუგლსანგი** (დანია, Leopard-Trek) - +3.08; 8. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, Liquigas) - +3.48; 9. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელგია, Omega Pharma-Lotto) - +4.03; 10. **ვოუტერ პოელსი** (ჰოლანდია. Vacansoleil) - +4.18...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**League Trophy**

| | |
|---|---|
| ლეიტონი-დაგენჰემი | 1:1 პენ. 1:2 |

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| ალბასეტე-რეალ ხაენი | 1:0 |
| ნოხა-ლოგრონიესი | 0:2 |
| უკამ მურსია-ალავესი | 0:1 |
| ოსპიტალეტი-ლეგანესი | 3:2 |
| დეპორტივო-ხირონა | 5:1 |
| მარინო-ანდორა | 2:2 პენ. 2:3 |
| რეკრეატივო-ელჩე | 0:2 |
| სანტ ანდრეუ-ორიუელა | 0:1 |
| ეიბარი-ლანსაროტე | 4:0 |
| ლაგოსტერა-სერსედა | 1:1 დ.დ. 2:1 |
| მირანდესი-ლინენსე | 3:1 |
| ოვიედო-სალამანკა | 1:1 დ.დ. 2:1 |
| პონფერადინა-როკეტასი | 3:0 |
| ალმერია-გვადალახარა | 0:0 დ.დ. 2:0 |
| კადისი-ალკალა | 3:1 |
| კარტახენა-ნუმანსია | 0:0 პენ. 0:1 |
| სან როკე-ვილანოვენსე | 2:0 |
| უესკა-ხერესი | 1:0 |
| ერკულესი-ალკოიანო | 1:1 დ.დ. 3:2 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ჰერტა A-სტ. პაული A | 2:1 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ფრაიბურგი A-ბაიერნი A | 2:1 |
| ფრანკფურტი A-შტ. კიკერსი | 1:1 |
| მიუნხენი A-კასელი | 1:1 |
| ჰოფენჰაიმი A-ვორმატია | 6:0 |
| ვალდჰოფი-მეინინგენი | 3:2 |
| ბაიერნი (ა)-ნიურნბერგი A | 2:1 |

**დანიის თასი**

| | |
|---|---|
| ჰოლსტებრო-ჰორსენსი | 0:5 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრომაპიოკარნა-ვასტერასი | 4:1 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| ეირბასი-ბანგორი | 2:4 |
| ბალა-პორტ ტელბოტი | 2:0 |
| კარმარტენი-ლანელი | 0:3 |
| ნიუთაუნი-პრესტატინი | 1:2 |
| ნიუ საინტსი-ნითი | 3:0 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-ვიქტორია | 1:4 |
| პარდუბიცე-სპარტა | 1:3 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ავაი-სანტოსი | 1:2 |
| ბოტაფოგო-სეარა | 4:0 |
| ინტერნასიონალი-ალმერია | 4:2 |
| სან პაულუ-ატ. მინეირო | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი**

| | |
|---|---|
| გერმანია-ესპანეთი | 68:77 |
| თურქეთი-საფრანგეთი | 64:68 |
| სერბეთი-ლიტვა | 90:100 |

**ამერიკა**

| | |
|---|---|
| კანადა-ურუგვაი | 70:68 |
| ვენესუელა-პანამა | 110:74 |
| ბრაზილია-არგენტინა | 73:71 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ს. იულიაევი-ატლანტი | გადაიდო |

**ჩოგბურთი**

**აშშ-ის ღია**

**კაცები**

მიულერი-ნადალი
ფერერი-როდიკი
იანგი-მიურეი
ჯოკოვიჩი-ტიპსარევიჩი
ისნერი-სიმონი

**ქალები**

სტოსური-ზვონარევა
კერბერი-პენეტა
ვოზნიაცკი-პეტკოვიჩი

*ყველა მატჩი გადაიდო*

TV პროგრამა

**8 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვიტესი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონპელიე.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
**02:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ინდეპენდიენტე-ბოკა ხუნიორსი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ოკლაჰომა.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**15:00** მხატვრული ტანვარჯიში.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**18:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სუონსი.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. სუპერმატჩი. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
**22:00** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულუზა-კლერმონი.
**23:40** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ოკლაჰომა.

**I არხი**

**16:20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. საქართველო-მაკედონია. ლიტვა (LIVE).
**21:50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. სლოვენია-საბერძნეთი. ლიტვა (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**22:00** მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. XIV ეტაპი. შვეიცარია (LIVE).
**04:30** ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. გრინ ბეი-ნიუ ორლეანი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი. მიქსტი. ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).
**04:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**16:25** ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. საქართველო-მაკედონია. ლიტვა (LIVE).
**18:40** ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. ფინეთი-რუსეთი. ლიტვა (LIVE).
**21:55** ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. სლოვენია-საბერძნეთი. ლიტვა (LIVE).
**04:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ჩიკაგო (LIVE).

**SPORT+**

**18:45** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. ფინეთი-რუსეთი. ლიტვა (LIVE).

**EUROSPORT**

**07:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).
**11:30** სნუკერი. მასტერსი. IV დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**15:45** სნუკერი. მასტერსი. IV დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. XVIII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**19:45** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. კაცები. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. კაცები. ნიუ იორკი (LIVE).
**05:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. კაცები. ნიუ იორკი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**17:30** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. იტალია (LIVE).
**19:00** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. იტალია (LIVE).
**20:30** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. იტალია (LIVE).
**22:00** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. იტალია (LIVE).
**00:00** ველოსპორტი. გრანპრი. სპრინტი. კვებეკი. კანადა (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი


ები იტალიაში ოჯახთან ერთად

# შოკი ები კრაუჩისგან


ები გუშინწინდელ შოუზე

ორი დღის წინ, ლონდონში ჟურნალ GQ-ის ჯილდოების გადაცემის ტრადიციული ცერემონია გაიმართა და ვარსკვლავებს საზოგადოების წინაშე გამოჩენის კიდევ ერთი საბაბი მიეცათ. შესაბამისად, მოდის მიმომხილველებისთვის ეს იყო კარგი საშუალება, შეეფასებინათ ცნობილი ბრიტანელების ჩაცმულობა.

სრული შოკი გამოიწვია „ტოტენჰემის" ყოფილი და „სტოკ სიტის" ამჟამინდელი ფორვარდის **პიტერ კრაუჩის** მეუღლის, ბრიტანელი მოდელის **ები კრაუჩის** გამოჩენას - მისი შავი, გამჭვირვალე კაბა საერთოდ ვერ ფარავდა შავ თეთრეულს.

საერთოდ, ბრიტანელებში ები დიდი პოპულარობით სარგებლობს. მათ ერთი რამ აინტერესებთ - როგორ შეინარჩუნა მის კრაუჩმა ასეთი ფიგურა გაზაფხულზე ბავშვის გაჩენის შემდეგ?

ამ დღეებში პაპარაცებმა კიდევ ერთხელ აანერვიულეს ების თაყვანისმცემლები. გამოქვეყნდა ფოტოები სერიიდან - „რას აკეთებდა ები ამ ზაფხულს". სურათებზე ის მეუღლესთან და ქალიშვილ **სოფიასთან** ერთად იტალიაში, კუნძულ კაპრიზე ისვენებს.

ჰოკეი

# ათდღიანი მატჩი

ამ დღეებში კანადაში დასრულდა ჰოკეის მატჩი, რომელიც 243 საათი გრძელდებოდა. მისი დასრულების შემდეგ მონაწილეები გინესის რეკორდების წიგნში მოხვდნენ. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ მომქანცველ მარათონში მხოლოდ ქალები იღებდნენ მონაწილეობას, რომლებმაც მამაკაცების მიერ დამყარებულ წინა რეკორდს 65 წუთი დაუმატეს.

სავარაუდოდ, ეს შეხვედრა მსოფლიო ჰოკეის ისტორიაში ყველაზე შედეგიანიც უნდა იყოს - ჯამში გავიდა 2500 გოლი, რომელთაგანაც 250 შაიბა **კორტნი ბრი ჰილის** ანგარიშზე მოდის.

*„პაუზის გარეშე ათი დღის განმავლობაში თამაში იმაზე რთული ყოფილა, ვიდრე თავიდან გვეგონა",* - აღნიშნა მატჩის ერთ-ერთმა მონაწილემ. *„243 წუთი ყინულზე - ეს NHL-ის სამი სეზონის ტოლფასია",* - დაამატა მატჩის ორგანიზატორმა **მეგან ვონმა**.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზატორების მიზანი გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა არ ყოფილა. აქციის მონაწილეებს ჩაფიქრებული ჰქონდათ, საზოგადოების ყურადღება მიექციათ მუკოვისციდოზის (გარე სეკრეციის ჯირკვლების დაავადება) მიმართ, რის გამოც ადამიანების უმრავლესობა 30 წლის ასაკამდე იღუპება.

მატჩის წყალობით ორგანიზატორებმა 162 ათასი დოლარი შეაგროვეს ამ საშინელ ავადმყოფობასთან საბრძოლველად, თუმცა ისინი 400 ათასი დოლარის მოზიდვას ვარაუდობდნენ.



ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# წვიმამ ჩოგბურთი [illegible]

წვიმის გამო მთლიანად გაუქმდა აშშ-ის ღია პირველობის მეცხრე დღე. კაცებმა ვერ გააგრძელეს მერვედფინალური ეტაპი, ქალებმა კი მეოთხედფინალური რაუნდი ვერ დაიწყეს. თანაც, სინოპტიკოსების პროგნოზი არადამაიმედებელია - ნიუ იორკში წვიმის გაძლიერებას ელიან.

არადა, უკვე ათობით მატჩია გადადებული. არ ჩატარდა კაცების ოთხი მერვედფინალი და ქალების ორი მეოთხედფინალი. ასევე გადაიდო წყვილთა მატჩები და იუნიორთა ტურნირის შეხვედრები.

მამაკაცებიდან ვერ მოასწრეს თავიანთი მატჩების ჩატარება ფავორიტებმა: **რაფაელ ნადალმა, ენდი მიურეიმ** და **ენდი როდიკმა.** სამაგიეროდ, ბადის ზედა ნაწილის ფავორიტებმა - **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და **როჯერ ფედერერმა** უკვე ითამაშეს მერვედფინალი და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ, რითაც სხვებზე უპირატესობა მიიღეს. ასე რომ, უამინდობამ ჩოგბურთელები არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

მაგალითად, ნადალს, შესაძლოა, ხუთი დღის განმავლობაში ოთხი მატჩის ჩატარებამ მოუწიოს, მაგრამ თუ წვიმა არ გადაიღებს, ეს გრაფიკი შეიძლება კიდევ შემჭიდროვდეს.

*„ბადის ერთმა ნაწილმა უდიდესი უპირატესობა მიიღო,* - ამბობს დევისის თასზე ამერიკის ნაკრების კაპიტანი **ჯიმ კურიე.** - *ვიღაცას გაუმართლა კენჭისყრისა და ამინდის მხრივ. ვერც კი წარმოიდგენთ, რა საგიჟეთი დაიწყება მას შემდეგ, რაც წვიმა შეწყდება და საშინელ ტემპში გაგრძელდება მატჩების ჩატარება".*

ცნობილია, რომ ამერიკის ღია პირველობის არც ერთი კორტი არ არის აღჭურვილი მოძრავი სახურავით. ასეთი არენები აქვთ ავსტრალიის ღია პირველობასა და უიმბლდონს. როლან გაროსის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ 2016 წლისთვის დაამონტაჟებენ მოძრავ სახურავს. ამერიკის საჩოგბურთო ასოციაცია კი უარს ამბობს არენების მოდერნიზაციაზე და ამას სამუშაოების სირთულესა და მათ ფასს აბრალებს. არტურ ეშის სახელობის კორტის გადახურვა დაახლოებით 200 მილიონი დოლარი დაჯდება.

არადა, ეს პრობლემა მოსაგვარებელია, რადგან ამ ბოლო დროს წვიმას სერიოზული კორექტივები შეაქვს განრიგში: 2008, 2009 და 2010 წლებში მამაკაცთა ფინალი ორშაბათს იმართებოდა. წლევანდელი ჯერჯერობით კვირას არის დაგეგმილი.



# ვოზნიაცკი: წლის ბოლომდე პირველი?

ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში გასვლით, ტურნირის შარშანდელმა ნახევარფინალისტმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** წლის ბოლომდე რეიტინგში პირველი ადგილის შენარჩუნების ძალიან კარგი შანსი მიიღო. აშშ-ის ღიაზე მეოთხედფინალური ეტაპის დაწყებამდე WTA-ის რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურებოდა:



1. კაროლინ ვოზნიაცკი - 8935
2. მარია შარაპოვა - 6226
3. ვიქტორია აზარენკა - 6055
4. ვერა ზვონარევა - 5920
5. ნა ლი - 5870
6. პეტრა კვიტოვა - 5530
7. ფრანჩესკა სკიავონე - 4775
8. კიმ კლაისტერსი - 4501
9. მარიონ ბარტოლი - 4225
10. ანდრეა პეტკოვიჩი - 4025

შეგახსენებთ, რომ ამერიკის ღია პირველობის შემდეგ WTA-ის წლევანდელ კალენდარში მხოლოდ სამი დიდი ტურნირია დაგეგმილი - ტოკიოში, პეკინსა და სტამბოლში (წლის შემაჯამებელი ტურნირი).

■ ■ ■

წვიმის გამო გაუქმებულ დღეს ვოზნიაცკიმ გართობა გადაწყვიტა და ესპანელი **რაფაელ ნადალი** გააჯავრა, რომელსაც კვირას, პრესკონფერენციის დროს კუნთი დაეჭიმა და მაგიდის ქვეშ შეძვრა. დანიელმა ასევე პრესკონფერენციაზე ნადალის პაროდია შეასრულა - სკამიდან იატაკაზე ჩაფოფხდა და ტკივილისგან იმანჭებოდა.

ამასთან, ვოზნიაცკიმ იმედი გამოთქვა, რომ მას სწორად გაუგებენ და ამ საქციელს ბოროტ ხუმრობად არ შეაფასებენ.

*„პრესკონფერენციაზე საკუთარ თავს ოდნავი გართობის უფლება მივეცი. იმედია, ყველა ხვდება, რომ არავის წყენა არ მქონდა ჩაფიქრებული. უდიდეს პატივს ვცემ რაფას და აღფრთოვანებული ვარ მისი მიღწევებითა და თამაშით",* - დაწერა „ტვიტერზე" მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.

# ოპტიმალური შემადგენლობებით

გუშინდელ ნომერში გაგაცანით დევისის თასის ნახევარფინალში ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა. მოგვიანებით ამ ეტაპზე გასული დანარჩენი სამი გუნდის ხელმძღვანელთა არჩევანის შესახებ გახდა ცნობილი.

მოქმედი ჩემპიონი - სერბეთის ნაკრები საჩემპიონო შემადგენლობით დაუხვდება ბელგრადში არგენტინას. მასპინძელთა კაპიტნის **ბოგდან ობრადოვიჩის** განკარგულებაში ყველა ის ჩოგბურთელია, ვინც შარშან ფინალში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ მოიპოვა ისტორიული პირველი ტრიუმფი. ესენი არიან: **ნოვაკ ჯოკოვიჩი, ვიქტორ ტროიცკი, იანკო ტიპსარევიჩი** და **ნენად ზიმონჟიჩი.**

შემადგენლობა დაასახელა სერბების მეტოქის - არგენტინის ნაკრების კაპიტანმა **ტიტო ვასკესმა.** ამ შემთხვევაშიც შემადგენლობა ოპტიმალურია. ბელგრადში მიემგზავრებიან: **ხუან მარტინ დელ პოტრო, დავიდ ნალბანდიანი, ხუან მონაკო** და **ხუან იგნასიო ჩელა.** ოთხივეს უკვე შეუძლია მზადება დაიწყოს მომავალი ნახევარფინალისთვის, რადგან ისინი გამოეთიშნენ ამერიკის ღია პირველობას. სერბებს კი „დიდი სლემის" ბოლო ტურნირის მეოთხედფინალში ორი წარმომადგენელი ჰყავთ - ჯოკოვიჩი და ტიპსარევიჩი, რომლებსაც გუშინ, გვიან ღამით უნდა ეთამაშათ ერთმანეთში.

შეგახსენებთ, რომ წინა ეტაპზე სერბებმა სტუმრად გაანადგურეს შვედეთის ნაკრები - 4:1, არგენტინამ კი ასევე იოლად ყაზახეთის ნაკრები დაამარცხა. სამხრეთამერიკელებს ჯერ არასოდეს მოუგიათ დევისის თასი, თუმცა სამჯერ - 1981, 2006 და 2008 წლებში ითამაშეს ფინალში.

სერბეთსა და არგენტინას ერთმანეთის წინააღმდეგ არასოდეს უთამაშიათ.

■ ■ ■

ოპტიმალური შემადგენლობით ჩავა ესპანეთში საფრანგეთის ნაკრები. პირველად წლევანდელ სეზონში ამ გუნდის კაპიტანმა **გი ფორჟემ** საუკეთესო ჩოგბურთელების შეკრება მოახერხა. ფრანგების ოთხეული ასე გამოიყურება: **გაელ მონფილსი, ჟო-ვილფრიდ ცონგა, ჟილ სიმონი** და **რიშარ გასკე.** ოთხივენი ATP-ის რეიტინგის TOP15-ის წევრები არიან. სათადარიგო მოთამაშეები იქნებიან **მიკაელ ლოდრა** და **ჟულიან ბენეტო.**



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**